# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 15 იანვარი 2000 №5 (1027) | ფასი 50 თეთრი


2

## დინამო შუააზიური ბლოკის და ტაჯიკური ომონის წინააღმდეგ

ოთარ კორღალიძე შარშან გაფუჭებული საქმის გამოსწორებას ეცდება

2

## კალაძე კიევში რჩება

კალაძის დიდი გადაბარგება იშლება?

6

## ანგლო-იტალიური ცარცის წრე

მალდინი ვეას ისევ მილანისკენ ექაჩება

8

## ალექს ფერგიუსონი მარტინ ედუარდსის წინააღმდეგ





რვა ამბავი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ცხოვრებიდან

14

## პრეზიდენტთა სამაია?



ჭუმაიფარაშვილს ჭუმაიფარაშვილისა არ სჯერა

# კახი ასათიანი გადადგომას აპირებსო...

გაგი ძოთილიძის ფოტო



კახი ასათიანი: რა ვქნა?

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის შესახებ ასეთი ხმები კიდევ ერთხელ გავრცელდა. გავრცელდა და უსაფუძვლო სულაც არ გვეჩვენა იმის მერე, რაც სამშაბათს პარლამენტში გამართულ სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა ქვეკომიტეტისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ერთობლივ სხდომაზე ბატონ კახი ასათიანის ფრიად მწვავე გამოსვლა და რეპლიკები მოვისმინეთ. მას ჰქონდა კიდეც აღშფოთების საფუძველი — სპორტის დეპარტამენტი სახელმწიფოსგან დანაპირებ თანხას ვერ იღებს. რასაც იღებს, იმასაც ფრიად შემსუბუქებული ქისით. ჰოდა, საბანი ლამის აღარაფერს სწვდება, აღარც სპორტსმენთა შეკრებებს, აღარც მათ გამგზავრებას უცხოეთში გასამართ შეჯიბრებებზე და ვეღარც შინაური ასპარეზობების ჩატარებას. ამიტომაც, ათლეტთა ერთი ნაწილი პროტესტის ნიშნად ხან შიმშილობას აცხადებს, ხან სპორტიდან წასვლით იმუქრება, ხან უცხოეთში გადახვეწითა და იქაური მოქალაქეობის მიღებით. საკვირველი ისაა, ორი წლის ხელფასმიუღებელი სპორტის მუშაკები რომ არ აჯანყებიან თავიანთი დეპარტამენტის თავმჯდომარეს. თავად თავმჯდომარეს ხსნა სპორტული ლატარიის მონოპოლიაში ეგულება, მაგრამ ყურს არავინ უგდებს. ან როგორ დაუგდებენ, როცა ქვეყნის პრეზიდენტის რეზოლუციით დამშვენებულ ქაღალდებსაც არად აგდებენ. ყოველივე ამის გამო რაღა საკვირველი იქნებოდა კახი ასათიანის გადადგომა. ეს ეჭვი უფრო გაგვიღრმავდა, როცა „მის“ დეპარტამენტში ორი დღის სიარულისა და ყურყუტის მერე თავმჯდომარე ვერ მოვიხელთეთ. გვითხრეს, ეს ორი დღეა არ გვინახავსო. დეპარტამენტში ვერც თავმჯდომარის მოადგილეები ვნახეთ — ერთი შვებულებაში ყოფილა, მეორის ასავალ-დასავალი კი ვერ გავიგეთ. ბოლოს ვიფიქრეთ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი მთლად უპატრონოდ დარჩენილაო, მაგრამ ჩვენი შიში ისევ ბატონმა კახი ასათიანმა გააქარწყლა. გუშინ საღამოს, როცა შინ დავურეკეთ, გვიპასუხა, გადადგომას არ ვაპირებო... ასე რომ, ხმები თავმჯდომარის გადადგომის შესახებ ჯერჯერობით გაზვიადებული აღმოჩნდა. თუმცა ყოველივე ზემოთქმულის მერე ალბათ თქვენც იკითხავთ, დიდი ხნით?

# ოზონი, რეზინი და ცვლილებები

Australian Open

## 42 მილიონი წყალში და რაფტერი ტრიბუნაზე



ანდრე აგასი

ორშაბათს მელბურნში იწყება ახალი ათასწლეულის პირველი დიდი სლემის ტურნირი — ავსტრალიის ღია პირველობა. დოლარებისა და პრესტიჟული ჯილდოს მძებნელ ჩოგბურთელთა ლეგიონი საკმაო ხანია, შეესია მწვანე კონტინენტს და საშობაო არდადეგებზე დასვენების ნაცვლად არც ვარჯიშსა და ოფლისღვრას მორიდებია.

თუმცა არის დანაკარგებიც. წლეულს ავსტრალიაში ასპარეზობას ვერ მოახერხებს რამდენიმე აშკარა ფავორიტი — მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნები პატრიკ რაფტერი, მარსელო რიოსი და მონიკა სელეში, ასევე კოლეგებისგან უსწრაფესი მოწოდებით გამორჩეული გრეგ რუზეცკი და ვინუს უილიამსი.

მელბურნში გუშინ გამართული კენჭისყრის შედეგები, მასპინძელთა ერთი იალლიში და სხვა ამბები იხილეთ მეცხრე გვერდზე.



ლინდსი დევენპორტი

# დემეტრაძემ კიევში გატანა დაიწყო


ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი დემეტრაძე

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა გიორგი დემეტრაძემ კიევის „დინამოში“ დებიუტი ორი გოლით დაიწყო. „დინამო“ საკუთარ ბაზაზე, კონჩა ზასპაში, ქვედა ლიგაში მოასპარეზე „ობოლონი“ პვო-ს ამხანაგურად ეთამაშა.

კიეველებს თავად ლობანოვსკი ხელმძღვანელობდა. მან „ობოლონის“ ძირითად შემადგენლობას „დინამოს“ უკრაინული ხერხემალი დაუპირისპირა: კორნოზენკო, რადჩენკო, გოლოვკო, ეზერსკი, ბოდნარი, გუსინი, მიხაილენკო, კოსოვსკი, სიდოროვი, იაშკინი, კანავალოვი. მეორე ტაიმში შევიდნენ მინდორზე შოვკოვსკი, ვაშჩუკი, ჯიაშტასი, ნესმაჩნი, დმიტრულინი, კარდაში, კორმილცევი, სამოილოვი, ცელიხი, ვეგლინსკი, სერებრიანიკოვი. კიეველებმა მიხაილენკოსა და კარდაშის გოლებით 2:0 მოიგეს.

მეორე მატჩში მათი მეტოქე „ობოლონის“ აზალგაზრდული გუნდი იყო. ლობანოვსკიმ ამჯერად „დინამო“ ამ შემადგენლობით ათამაშა: რომანენკო, სტოიანი, ფიოდოროვი, მამედოვი, კალაძე, ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, შეკოტილინი, მაქსიმიუკი, მელნიკი, დემეტრაძე. მატჩის განმავლობაში მოედანზე ასევე გამოჩნდნენ მარუშაკი, გერასიმენკო, კუტასი, დაცენკო, ლისიცკი, სვიდერსკი, კოვბა, პინჩუკი, შაცკიხი, დუბლი გააზერხეს დემეტრაძემ და შეკოტილინმა. ერთიც პინჩუკმა გაიტანა.

„დინამო“ მზადებას ისევ კონჩა ზასპაში განაგრძობს, სადაც 17-ში „პრიკარპატიეს“ ეთამაშება, 20-ში კი მარიუპოლის „მეტალურგს“. გადაიდო ვლადიკავკაზის „ალანიას“ სტუმრობა, ვლადიმერ გუცაევმა ბელგიაში მომზადება გადაწყვიტა. თავად კიევის „დინამო“ კი ისრაელის ნაცვლად იტალიას მიაშურებს და 10-11 თებერვალს „მილანს“ ორჯერ ამხანაგურად შეხვდება.

**სიმონ მენაბდე**

# ფოცხვერიას გოლმა შახტარს გაამარჯვებინა

ვოლგოგრადის „როტორიდან“ დონეცკის „შახტარში“ გადაბარგებული ვიქტორ პროკოპენკო საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატ მიხეილ ფოცხვერიას ჯერჯერობით გუნდიდან არ უშვებს. ხმები, თითქოს მწვრთნელმა ფეხბურთელი იჯარით ისევ „დნეპრში“ გაუშვა, სიცრუე გამოდგა. პროკოპენკომ ფოცხვერია ძირითადში ათამაშა მარიუპოლის „მეტალურგის“ წინააღმდეგ.

ეს მატჩი ყირიმში შედგა, სადაც „შახტარი“ ემზადება. ანგარიში ლატვიელმა შტოლცერსმა გახსნა, შემდეგ მარიუპოლელმა ბაბიჩმა გაქვითა. მე-80 წუთზე კი ფოცხვერიამ „შახტარს“ გამარჯვება მოუტანა. „მეტალურგთან“ მეორე მატჩში ფოცხვერიას არ უთამაშია. შეხვედრა 0:0 დასრულდა.

**სიმონ მენაბდე**

# კრილია და ნემსაძე ვერ მორიგდნენ

სამარის „კრილია სოვეტოვმა“, რომელიც კვიპროსში ემზადება, გაავრცელა განცხადება, რომ საქართველოს ნაკრების წევრის, გიორგი ნემსაძის აყვანა აღარ სურს. „კრილიას“ მწვრთნელმა ტარხანოვმა ეს მას შემდეგ თქვა, რაც თვალი დაადგა აზერბაიჯანელ კასიმოვს, რომელთანაც საბოლოოდ გაფორმდა კიდეც კონტრაქტი.

თუმცა სხვა წყაროს ცნობით, ბოლო მომენტში თავად გიორგი ნემსაძემ იუარა ამ კლუბში გადასვლა, სადაც კიდევ სამი ქართველი — დავით გვარამაძე, ზურაბ ფოფხაძე და მამუკა წიკლაური თამაშობს. ნემსაძე, ალბათ, თბილისის „დინამოსთან“ ერთად გაემგზავრება მოსკოვში თანამეგობრობის თასზე სათამაშოდ.

**სიმონ მენაბდე**


საქინფორმის არქივიდან

კახი კალაძე და მატიას ალმეიდა

# კალაძის დიდი გადაბარგება იშლება?

უკრაინული სააგენტოების ცნობით, შეიძლება ჩაიშალოს კახა კალაძისა და სერგეი რებროვის გადასვლა იტალიის „მილანში“. მილანურმა გრანდმა ახლახან „ბოლონიიდან“ იტალიური წარმოშობის არგენტინელი მცველი, 18 წლის ფაბრიციო კოლოჩინი იყიდა. ახლა „მილანს“ არაევროკავშირელი ფეხბურთელების შეძენის უფლება აღარ აქვს, კალაძე და რებროვი კი სწორედ არაევროკავშირელები არიან. თუმცა გამოსავალი არის — „მილანმა“ კოლოჩინი ორმაგ მოქალაქეობაზე უნდა დაითანხმოს. კლუბი სწორედ ამგვარად ცდილობს გადაიბიროს მადრიდის „ატლეტიკოდან“ არგენტინელი მცველი ხოსე ანტონიო შამოტი.

**სიმონ მენაბდე**

# გახსოვდეთ მიხეილ მესხი!

ასეა, ტრადიციას არ ელალატება და სპორტის სასახლე მიხეილ მესხის სახელობის ტურნირს მინი-ფეხბურთში წლეულსაც უმასპინძლებს.

ერთ დროს ეს ტურნირი საერთაშორისოც იყო. ალბათ, დღესაც ბევრს ახსოვს 1989 წელი, სპორტის სასახლის გადაჭედილი ტრიბუნები, ცნობილი ფეხბურთელები, დაძაბული მატჩები და დიდი მიხეილ მესხის აცრემლებული და ბედნიერი სახე. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ტურნირმა სახე იცვალა, მოგვიანებით კი არსებობაც შეწყვიტა, თუმც დროებით. შარშან მიხეილ მესხის სახელობის ტურნირის მონაწილეებმა სპორტის სასახლის ტრიბუნები ისევ აახმაურეს, გამარჯვებული კი თბილისის „ლოკომოტივი“ დარჩა, თანაც ისე, რომ გოლი არ გაუშვია.

შარშანდელი ჩემპიონი წლევანდელ გათამაშებას გამოაკლდება, რადგან რკინიგზელები ჩემპიონატის მეორე ეტაპის წინ სრულფასოვანი შეკრების მოწყობას ვარაუდობენ. ამავე მიზეზით ვერ ითამაშებს კიდევ ხუთი კლუბი: „ტორპედო“, „კოლხეთი“, „ბათუმი“, „ვიტ ჯორჯია“ და თსუ. დანარჩენ ათ პირველლიგელს თექვსმეტწლამდელთა და მოყვარულთა ნაკრებები დაემატებიან და 4 ჯგუფად დაყოფილი 12 გუნდი პირველი თებერვლიდან გათამაშებაშიც ჩაებმება. ტურნირის რეგლამენტი რამდენიმე დღეში დადგინდება სფფ-ში.

გულშემატკივარს კი „ბენდელას თასის“ გათამაშების შემდეგ კიდევ ერთი ლამაზი საფეხბურთო სანახაობა ელის — მიხეილ მესხის სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში.

**პაატა ქვანტალიანი**

# დინამო შუააზიური ბლოკის და ტაჯიკური ომონის წინააღმდეგ

ერთ კვირაში თანამეგობრობის ქვეყნების თასის რიგით VIII გათამაშება დაიწყება. ესენგეს ტრადიციულ ტურნირში, როგორც ჩვენში უწოდებენ, ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენელი 15 რესპუბლიკის ჩემპიონი და რუსეთის ჭაბუკთა ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ეს უკანასკნელი უკონკურსოდ იასპარეზებს.

კლუბებისგან ოთხი ოთხგუნდიანი ჯგუფი შეიქმნა. აქედან პირველ ორში განთავსებულნი, ანუ ტურნირის უმაღლესი ლიგის რვა ბინადარი ესენგეს თასისა და სოლიდური ფულადი ჯილდოსთვის იბრძოლებს. გათამაშების საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარს შეადგენს.

საქართველოდან მოსკოვს თანამეგობრობის ტურნირის მუდმივი სტუმარი, ჩვენი მარადი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ეწვევა. თუმცა ჩვენებურები უმაღლესი ჯილდოსთვის ვერ იბრძოლებენ, ამის მიზეზი კი დინამოელთა მიერ შარშანდელ ესენგეს ტურნირზე ნაჩვენები უსუსური შედეგია. უფრო თუ დავაკონკრეტებთ, გასული წლის იანვარში ოთარ კორღალიძის თავკაცობით „დინამო 2“ ესტუმრა რუსეთის დედაქალაქს და ჯგუფში ბოლო საფეხურზე დამკვიდრდა. შედეგად საქართველომ ელიტარულ რვა გუნდში ადგილი დაკარგა და მეორე ჯგუფში მასავით ხელმოცარულ თურქმენეთის ჩემპიონთან ერთად ტურნირის პირველ ლიგაში ჩამოქვეითდა. ასე რომ, წლეულს „დინამოს“ პრესტიჟის აღდგენა და შვილობილის მიერ დაკარგულის დაბრუნება მართებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ყოველივე ჩვენმა ჩემპიონმა ოთარ კორღალიძის ხელმძღვანელობით უნდა გააკეთოს. მწვრთნელს გადაწყვეტილი აქვს, მოსკოვში უძლიერესი შემადგენლობა იახლოს და შარშან გაფუჭებული საქმე გამოასწოროს.

ახლა იმაზე ვთქვათ, რა შანსები აქვს „დინამოს“ D ჯგუფში პირველი ადგილის დაუფლებისთვის, უმაღლეს ლიგაში ხომ მხოლოდ ჯგუფში გამარჯვებული გადადის თუ ჩვენებურთა მეტოქეებს გადაავლებთ თვალს, ერთი შეხედვით კორღალიძის შეგირდებს არ უნდა გაუჭირდეთ თითქმის უსახელო კლუბებთან წარმატების მიღწევა, მაგრამ... როგორც შეამჩნევდით, „დინამოს“ სამივე მოწინააღმდეგე შუა აზიის წარმომადგენელია. ამ რეგიონს კი არც ერთი ადგილი არა აქვს ესენგეს გათამაშების პირველ რვა უძლიერესს შორის. სავსებით მოსალოდნელია, რომ ისინი ყოველნაირად შეეცდებიან, ჯგუფში როგორმე „დინამო“ ჩატოვონ. აქედან გამომდინარე, ჩვენს ჩემპიონს სამივე შეხვედრის მოგება მართებს, სხვანაირად გაუჭირდება შუააზიური ბლოკის დამარცხება. ტაჯიკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის წარმომადგენლები უამბიციოდ და ტყუილად ფულის დასახარჯავად როდი მიემგზავრებიან თანამეგობრობის ტურნირზე სათამაშოდ, უფრო მეტიც — დუშანბეს „ვარზობი“ D ჯგუფში მხოლოდ პირველი ადგილის დაკავებას გეგმავს და მოსკოვში გათამაშების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე აპირებს ჩასვლას სავარჯიშოდ. გუნდის თავკაცს, სსრკ-ს დამსახურებულ მწვრთნელ შარიფ ნაზაროვს უძლიერესი შემადგენლობა მიჰყავს საასპარეზოდ.

შვილი ორაზ ნაზაროვი ტაჯიკეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და კლუბის ერთ-ერთი ლიდერია. თავდასხმაში ორაზის მეწყვილეა ხამიდოვი. მწვრთნელი დიდი იმედებს ამყარებს ვეტერან ალიერ აშურმამადოვზე, რომელიც საბჭოურ პერიოდშიც აგორებდა ბურთს. „ვარზობს“ კაპიტნობს ახალგაზრდა პერსპექტიული მეკარე, ვინმე კნიპელი. გუნდმა ტაჯიკეთის 12-კლუბიან გათამაშებაში 22 მატჩიდან 18 მოიგო, 3-ჯერ ფრედ ითამაშა და მხოლოდ 1 მარცხი იწვნია. „ვარზობი“ 1998 წელს ქვეყნის თასსაც ფლობდა. შარიფ ნაზაროვის შეგირდები ფინანსური თვალსაზრისითაც სოლიდურად გამოიყურებიან. გუნდს ჰყავს რეგიონის მასშტაბებით საკმაოდ ძლიერი ფარმკლუბი, რომელიც ბიშკეკში გამართული ცენტრალური აზიის ტურნირის გამარჯვებული გახდა. რაოდენ უცნაურად არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ „ვარზობს“ ესენგეს თასის გათამაშებაში მონაწილეობისთვის სპონსორიც გამოუჩნდა განსაკუთრებული დანიშნულების ბრიგადის მეთაურის, გენერალ-მაიორ სუხრობ კასიმოვის სახით. კასიმოვი ტაჯიკურ საფეხბურთო სამყაროში ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებსო, განაცხადა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა აბდუქარიმ შეხოვმა და დასძინა — „ვარზობს“ მოსკოვში მხოლოდ ერთი მიზანი, პირველი ადგილის დაუფლება ექნება და გაისად უძლიერესთა შორის წარმატებულად გამოსვლაზე ვიზრუნებთ.

ტაჯიკების ამბიციური განწყობილება სრულიად გასაგები და ანგარიშგასაწევია. საბჭოურ ფეხბურთში ყოველთვის ხელმოცარული შუააზიელები უბრძოლველად არას დათმობენ და ვიმეორებ, „დინამოს“ ოდნავი მოდუნების უფლებაც არ ექნება.

**ხვიჩა სანიკიძე**

**D ჯგუფი**

დინამო (თბილისი, საქართველო)
ვარზობი (დუშანბე, ტაჯიკეთი)
ირტიში (პავლოდარი, ყაზახეთი)
ცაგ-დინამო (ბიშკეკი, ყირგიზეთი)

*22 იანვარი „დინამო“ — ცაგ „დინამო“ (16 საათი)*
*23 იანვარი „დინამო“ — „ვარზობი“ (16 საათი)*
*25 იანვარი „დინამო“ — „ირტიში“ (20 საათი)*

# შერისხულნი და უარყოფილნი

## ჯიუტი ფაქტები

საფეხბურთო კონფლიქტები — გაჩნდა ფეხ ბურთი და მასთან დაკავშირებული კონფლიქტური სიტუაციებიც შეიქმნა. საერთოდ ასე ხდება — როგორც წესი, მწვრთნელი და წამყვანი, ვარსკვლავური იმიჯის ფეხბურთელები ვერ რიგდებიან, რაც თითქმის ყოველთვის მოთამაშეთა გუნდიდან მოკვეთით მთავრდება.

ჩვენთვის უმთავრესი ქართული ფეხბურთია და რახან ჩვენში ეს თამაში დღემდე ვერ გამოსულა „ერთი გუნდის“ მარწუხებიდან, სწორედ მასში არსებული კონფლიქტების შესახებ ვისაუბროთ. როდესაც ვწერთ „ერთ გუნდს“, მხედველობაში გვაქვს არსებული ტრადიცია — ადრე სრულიად ქართული ფეხბურთის სახეს თბილისის „დინამო“ განსაზღვრავდა და „ერთი გუნდის“ ინსტიტუტსაც ის ასაზრდოებდა. ახლა თბილისის „დინამო“ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა შეცვალა და ეს წოდებაც მან მიიღო მემკვიდრეობით.

არ გეგონოთ, რომ ქართულ კონფლიქტებს ეროვნული ნაკრების ცუდი შედეგები განსაზღვრავდეს. ფეხბურთში კონფლიქტური სიტუაციების ნუსხა რა ხანია განაზოგადეს და რადგანაც ზოგიერთ მათგანს „ქართული კონფლიქტებიც“ ემთხვევა, სწორედ მათზე ვისაუბრებთ.

მაშ ასე, რამ შეიძლება გამოიწვიოს უთანხმოება ეროვნული გუნდის შიგნით? რატომ შეიძლება უარყოს მწვრთნელმა თუნდაც ვარსკვლავური იმიჯის მქონე ფეხბურთელის სამსახური?

### პირველი — ფეხბურთელი ვერ ერგება გუნდის სქემას.

თანამედროვე ქართული ფეხბურთი და შესაბამისად საქართველოს ნაკრები არც ისეა განებივრებული ვარსკვლავური იმიჯის მქონე (ვთქვათ უბრალოდ — ძლიერი) მოთამაშეებით, რომ მწვრთნელმა, თუნდაც თავისი სტილის ერთგულებისთვის, უარი განაცხადოს მათ გამოყენებაზე, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის ისტორიამ ნამდვილად იცის ასეთი ფაქტები და მათი მოყვანა სწორედ ამ ქვეთავში იქნება უპრიანი.

ძალიან შორს არ წავალთ და ოციოცდახუთიოდე წლით უკან გადავახედებთ მკითხველს — მანუჩარ მაჩაიძე და სსრკ-ს ნაკრები. ამ ორი სახელის გაგონებაზეც კი ყველაფერი გასაგები უნდა იყოს მისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მანუჩარ მაჩაიძე „მხრებით ათრევდა „დინამოს“, ორიოდ კინკილა მატჩიც ჩინებულად ჩაატარა სსრკ-ს პირველ გუნდში (როცა მიიწვიეს), მას მაინც არ სწყალობდნენ წლების მანძილზე.

ძნელია, დაეთანხმო მწვრთნელს, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ ავტორიტეტულ და ძლიერ ფეხბურთელს „ვერ ხედავს“, მაგრამ ფეხბურთმა ხომ ისეც იცის, რომ თუ გუნდის სქემას არ სჭირდება, ფეხბურთელის სიძლიერე ცუდი საბუთია გუნდში „ასაყვანად“.

მაჩაიძისდარი ბედი ეწვია რუსეთის „საყვარელ ფეხბურთელ“ ფიოდორ ჩერენკოვსაც, მთელი თავისი კარიერის მანძილზე იგი ნიჭიერ, ძლიერ, ტექნიკურ, მაგრამ ამავე დროს სსრკ-ს ნაკრების სქემაზე ვერმორგებულ ფეხბურთელად დარჩა.

იმავე ბედი გაიზიარეს თანამედროვე ვარსკვლავებმა — რობერტო ბაჯომ, დენილსონმა, მოლსმა... კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება.

მიზეზები არასოდეს ელევათ მწვრთნელებს — მაჩაიძე „ბურთს ატარებდა“, ბაჯო იტალიის ნაკრების „დინამიურ ტემპს“ აგდებს და მისი ყაიდის პლეიმეიკერი „არც სჭირდება იტალიურ გუნდს“, მოლსი რაიკარდისთვის „ზედმეტია“ და ამგვარები, მთავარი კი ისაა, რაზეც სათაურშია საუბარი.

### მეორე — მწვრთნელი: დიქტატორი თუ მოწყალე.

ეს შემთხვევაც ძალიან ხშირია, საქართველოშიც მოხდა ამგვარი ფაქტები და სანამ მათ შესახებ შევუდგებოდეთ მსჯელობას, ჯერ ის ვთქვათ, რაზეა საუბარი.

საქმე ეხება მწვრთნელებს, რომლებიც არ პატიობენ შეცდომებს ფეხბურთელებს და მწვრთნელებს, რომლებიც დაშვებული შეცდომებისა თუ ჩაგდებული მატჩის შემდეგ ერთ შანსსაც აძლევენ მოთამაშეს.

საერთოდ, მწვრთნელის პროფესია ცალხაზოვან ჩარჩოებში ვერ თავსდება და ვერც ერთს დააბრალებს კაცი — ეს დიქტატორია, ის კი მოწყალეო. შეიძლება ერთ შემთხვევაში ერთნაირად მოიქცეს ნაკრების თავკაცი, მეორე შემთხვევაში — სხვანაირად.

დავიწყოთ საკმაოდ შეხმატკბილებული თავკაც-შეგირდით — ვლადიმერ გუცაევი და მიხეილ ფოცხვერია. ფოცხვერია სწორედ ისეთ ფეხბურთელთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთაც პროფესიულ აზროვნებას ვერ დაუწუნებ. იგი გუცაევის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო და მწვრთნელიც სწყალობდა, მერე კი, როცა მიშას საქმეები და კარიერა აეწეწა და ტრავმის მოშუშების შემდეგ ეროვნულ ნაკრებში პირველი მატჩიც ჩაატარა... გუცაევს იგი გადაავიწყდა.

მიზეზი? შეიძლება წვრილმანი და სასაცილო, მაგრამ ფეხბურთში ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა და დიდ საფეხბურთო ქვეყნებშიც, სხვათა შორის.

ფოცხვერიამ უკრაინის ნაკრების კარში გასატანი ვერ გაიტანა და მეორე ტაიმში შეცვალეს. ის იყო და ის, მიხეილ ფოცხვერიას ნაკრებში შეცვლაზეც არ უთამაშია და ფაქტობრივად ნაკრებიდანაც მოიკვეთა. ის კი არა, გუცაევის მემკვიდრე იოჰან ბოსკამპს არც კი გაეგონა ამ ფეხბურთელის შესახებ.

ფოცხვერია ერთ ჩაგდებულ მომენტს (შეიძლება თამაშსაც) გადაჰყვა, ამ შემთხვევაში ვლადიმერ გუცაევმა შანსი აღარ მისცა მოთამაშეს, თუმცა... ისიც გასათვალისწინებელია, რომ არც ჰქონია „გავრილიჩს“ ექსპერიმენტების დრო — მას თავისი უჭირდა.

დაახლოებით იგივე მოხდა, როცა „უემბლიზე“ შეცვალეს გოჩა გოგრიჭიანი. იგი შეცვლის მომენტიდან ფაქტობრივად „გარდაიცვალა“ ეროვნული ნაკრებისთვის.

ბოსკამპ — ზაზა ჯანაშიას ურთიერთობაც დაახლოებით „მწვრთნელის დიქტატურას“ უსვამს ხაზს. რეჟიმის დარღვევისთვის ჰოლანდიელმა ზაზა ნაკრებში არ ათამაშა და ბოლოს მოკვეთა კიდეც — სანამ მე გუნდში ვიქნები, ეგ ვერ ითამაშებს — არაერთხელ განაცხადა ბოსკამპმა და იგი ბოლომდე შეუვალი იყო.

თუმცა საპირისპირო შემთხვევებსაც ჰქონდათ ადგილი „შინდისფერთა“ შორის და ამის მაგალითი ქეცბაია-—გუცაევის ორმხრივი კომპრომისია — მწვრთნელიც და ფეხბურთელიც აღიარებდნენ, რომ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა, ერთად მუშაობასაც შეუძლებლად თვლიდნენ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი დათმეს და ქეცბაია ნორვეგიასთან თბილისური მატჩში ისევ დაბრუნდა ნაკრებში.

ეს ქვეთავი, ალბათ, ყველაზე ტევადია, როცა საქმე ნაკრებიდან უარყოფილ ფეხბურთელებს ეხებათ. იმიტომ, რომ ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც ადამიანები არიან და ხსენებულ კონფლიქტებს სწორედ ადამიანური სიმპატია-ანტიპათიები ასაზრდოებს.

### მესამე — საბაზო გუნდის ინსტიტუტი

ეს ინსტიტუტი და ცნება „საბაზო გუნდი“ ძირითადად პოსტსაბჭოური ქვეყნების საფეხბურთო მოვლენაა. ჯერ ერთი, ნაკრების საბაზო გუნდების გამოძებნამ სწორედ აქ შეისხა ხორცი და მეორეც — პოსტსაბჭოურ (ალბათ, აღმოსავლეთევროპულიც) ქვეყნებში ჯერ ისე არ არის საქმე დაყენებული, რომ რამდენიმე გუნდი შეინახოს ქვეყანამ, კეთდება, როგორც წესი, ერთი სუპერგუნდი და სწორედ მისი ფეხბურთელები შეადგენენ ნაკრების ბირთვს. ასე ეფუძნება რახანია უკრაინის ნაკრები კიევის „დინამოს“, სლოვენიისა — „მარიბორს“, ჩეხეთისა — „სლავიას“ და „სპარტას“, რუსეთისა — სპარტაკს“.

ამგვარი პრინციპის გამო კი შეიძლება რუსეთს ნაკრებში ითამაშოს ტიტოვმა და კოვტუნმა და ვერ ითამაშოს ვერეტენნიკოვმა და ნიღერგაუსმა (ამათ „სახალხო ფეხბურთელებს“ ეძახიან რუსეთში).

ჩვენს ნაკრებს ამგვარი რამ არ ემუქრება — ქართველ ლეგიონერებს „საბაზო გუნდის“ — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ჯერაც ვერ უწევენ კონკურენციას და როცა ასეთი ვინმე გამოჩნდა (იგივე ზაზა ჯანაშია), ფეხბურთში ერთად მოსულმა აწ უკვე ლეგიონერებმა ყველას მიანიშნეს, რომ ერჩივნათ სწორედ იმ თავდამსხმელთან თამაში, რომელთანაც შეწყობილნი არიან და „ზურგიდანაც კი გრძნობენ მას“. ამაში უჩვეულო არაფერია. ეს მრავალჯერ მომხდარა ჩვენშიც და სხვაგანაც და რახან შინდისფერთა „საბაზო გუნდი“ 1993-94 წლების „დინამოა“, გარეშე ფეხბურთელებისთვის ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრება გაცილებით ძნელია.

ერთ საგაზეთო სტატიაში ნაკრებ გუნდებში ამა თუ იმ მიზეზით ვერმოხვედრილ ფეხბურთელთა შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება ძნელია, მაგრამ „სარბიელის“ მომდევნო ნომრებში სხვა ზოგად ქვეთავსებსაც შემოგთავაზებთ და, ვფიქრობთ, სურათი გაცილებით ნათელი გახდება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**





ბადრი კოთიაშვილის ფოტო

ზაზა ჯანაშია, თემურ ქეცბაია, მიხეილ ფოცხვერია — ერთხანს სამივე მათგანი შერისხეს ნაკრების მწვრთნელებმა, ოღონდ სულ სხვადასხვა მიზეზით

# არჩილმა თურქებს ვერაფერი დააკლო

ჰოლანდიის მეორე დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერი „ნაქ ბრედა“ მეორე წრისთვის მზადებას ნაახალწლევსვე შეუდგა. ბრედელებმა ქვედალიგელები გამოსცადეს საქმეში. ჯერ სტუმრად „უნიტასს“ 7:1 აჯობეს, შემდეგ კი საკუთარ „ფუჯისტედიუმზე“ MVV-ს 3:0 მოუგეს.

არჩილ არველაძემ, რომელიც კვლავაც „ბრედაშია“, პირველ მატჩში დუბლი გააკეთა, მეორეში კი პენალტი შეაგდო.

შობის შემდეგ კი „ბრედა“ თურქეთს ეწვია და ანთალიის ახლოს მდებარე დაბა ბელეკში დაბინავდა. გუნდი სწორედ აქ დაასრულებს მეორე ეტაპისთვის გენერალურ მზადებას.

გუშინ ჰოლანდიელებმა თურქული შეკრების პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. „ბრედას“ მეტოქე თურქეთის მეორელიგელი „კაიზერისპორი“ იყო. „ბრედა“ მე-18 წუთზე ახალწვეულ ჯეფრის გოლით იგებდა, მაგრამ შემდეგ თურქებმა ყოფილ თბილისის დინამოელ დენიტ დონდტს ერთბაშად ოთხი გოლი გაუტანეს.

ამის შემდეგ არჩილმა პენალტით ერთი გაქვითა, თუმცა „კაიზერმა“ მეხუთეც გაიტანა და 5:2 მოიგო. „ბრედა“ მომდევნო მატჩს ერთ-ერთი ბულგარული გუნდის წინააღმდეგ გამართავს.

**სიმონ მენაბდე**



ბადრი კოთიაშვილის ფოტო

არჩილ არველაძე

# ქინქლაძე ნაკრებში, ალბათ, არ ჩამოვა

„დერბის", როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვანი მატჩები ელის, ვიდრე ნაკრებს კვიპროსში" — უთხრა ქართველმა ნახევარმცველმა SKy-ის გიორგი ქინქლაძე, ალბათ, არ ჩამოვა საქართველოს ნაკრებში, რომელიც 31 იანვრიდან 8 თებერვლამდე კვიპროსის ტურნირში ითამაშებს. „დერბი ქაუნთის", როგორც ჩანს, ახლა უფრო მნიშვნელოვანი თამაშები ელის, ვიდრე ეროვნულ ნაკრებს კვიპროსში — უთხრა ქინქლაძემ SKy-ის.

ქინქლაძე არ უარყოფს, რომ ნაკრებში დაბრუნების შანსი „დერბიში" გადასვლამ გაუჩინა, თუმცა თან აცხადებს, საერთაშორისო მატჩებიც ძალიან მნიშვნელოვანიაო.

„დერბიში" ქინქლაძისადმი ინტერესი ლონდონის „არსენალის" სარეზერვო გუნდის კარში გატანილმა გოლმა ერთიორად გაზარდა. დღეს „მიდლსბროს" წინააღმდეგ ქართველი, ალბათ, კიდევ გამოჩნდება „დერბის" ძირითადში.

SKy-სთვის მიცემულ ინტერვიუში ქინქლაძე ირწმუნება, რომ „დერბი" არ გავარდება. „მესამედ ჩემს ინგლისურ კარიერაში არ გავვარდები. ამაში ღრმად დარწმუნებული ვარ" — ამბობს იგი. შეგახსენებთ, გიორგი „მანჩესტერ სიტისთან" ერთად ჯერ პრემიერლიგიდან პირველში, მერე კი მეორე დივიზიონში დაქვეითდა.

„ჩვენ გვეგონა, რომ ბევრი დრო გვქონდა და კარგი გუნდი გვყავდა. მაგრამ მოვტყუვდით და პრემიერლიგაში ადგილი ვერ შევინარჩუნეთ. „დერბიში" ასე არ იქნება, რადგან გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთელები გვყავს. თუ ისე განვაგრძობთ, როგორც ბოლო სამი ტურია, მაშინ სახიფათო ზონას გავცილდებით" — აღნიშნა ქინქლაძემ.

„ახლანდელ პრემიერლიგაში გაცილებით მეტი ვარსკვლავია, ვიდრე სამი წლის წინ. მაგრამ ტემპი იგივე დარჩა. აქ ყველაფერი წამიერად ხდება. გაჩერდები, დაფიქსირდები და ბურთსაც დაკარგავ. ჰოლანდიაში კი ყველაფერი პირიქით იყო".

„დერბის" მართლაც უმნიშვნელოვანესი მატჩები ელის — 15-ში „მიდლსბროსთან", 23-ში „ქოვენთრისთან" და 5 თებერვალს „შეფილდთან". ბოლო ორ შეხვედრას „ცხვრები" შინ, „პრაიდ პარკზე" მართავენ და მდგომარეობის გამოსწორების კარგი შანსი აქვთ. ეს მატჩები საბოლოოდ ჩამოაყალიბებს იმ შემადგენლობას, რომელმაც პრემიერლიგაში დარჩენისთვის უნდა იბრძოლოს. კლუბი პირველი წრის ბოლოდან, ფაქტობრივად, სახეს შეიცვლის და მასში მოხვედრა იოლი არ იქნება.

ამიტომ უპრიანად მიგვაჩნია, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ქინქლაძეს გვერდში დაუდგება და მას კვიპროსის ტურნეზე არ გამოიძახებს.

ქინქის ფანებმაც უნდა გაუგონ. ფორმაში შესული და „დერბის" ძირითადში მოთამაშე ჩვენებურს ნაკრებისთვის გაცილებით მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე „ცხვრების" სარეზერვო გუნდისთვის. ამჯერად ქინქლაძეს სერიოზულ კონკურენციას უწევენ ებრაელი ნიმნი და ნორვეგიელი ბოჰინენი.

ჯიმ სმიტი ჯერჯერობით ბოჰინენისკენ იხრება.

**სიმონ მენაბდე**



ზურაბ ქათამაძის ფოტო

გიორგი ქინქლაძე

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I-VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი(სიონი),ჩხაბერიძე,კ. ჯანაშია(თავისუფალი აგენტები),ვ. მაისურაძე(თბილისი) | | |
| დინამო<br>*ოთარ კორღალიძე* | აშვეთია(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(ჩელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი),ზირაქიშვილი(სპარტაკი,ვარნა,ბულგარეთი),ხომერიკი(ბათუმი),თ. კობიაშვილი(?) | გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე,რუხაძე,მიქაძე,ა. ჩიხრაძე,(თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერ სიტი,ინგლისი),ლობჟანიძე(უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო) | ვიტ ჯორჯია 3:2 |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი) | |
| ბათუმი<br>*ჯანი კარნევალე* | პაპიძე(თბილისი),კანტიძე(თამაშიმიატოვა),უვაკვე,გადელია(?) | ხომერიკი(დინამო),ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი),პეტრიაშვილი(სამგურალი),ბარნოვი(ლოკომოტივი),გ. ნოზაძე(საუ), კაკაბაძე(ცხუმი) | |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კოტრიკაძე* | | ი. ხაჭაპურიძე,ძოძუაშვილი(სამგურალი),მერლანი(თსუ) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3 |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე(დინამო) | მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი) | |
| დილა<br>*მერაბ კოჭლაშვილი* | | | |
| იბერია<br>*ხოხო ფრუიძე* | | | |

| IX-XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), დ. ჯანელიძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია(დინამო),კვარაცხელია (თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია),ჯულელი(?) | |
| გორდა<br>*იასონ ალადაშვილი* | | | |
| თსუ<br>*თენგიზ კაცია* | | | |
| მერანი<br>*უმწვრთნელოდ* | | | |
| თბილისი<br>*რამაზ შუქლაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი(ლოკომოტივი),აბრამიძე(ტორპედო,მოსკოვი,რუსეთი),ისიანი(სიონი),ლ. მელქაძე, ა. ჩიხრაძე(?),ვ. გაგუა(სკონტო,ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი),ვ. მაისურაძე (ტორპედო),პაპიძე (ბათუმი) | |
| სამგურალი<br>*იასონ ბზიკაძე* | ი. ხაჭაპურიძე,ძოძუაშვილი(ვიტ ჯორჯია),პეტრიაშვილი(ბათუმი) | | |
| ხობი<br>*ფრიდონ გოცირიძე* | | | |
| არსენალი<br>*მამუკა გვეჭკორი* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), ლაცაბიძე (სპარტაკი, ვარნა, ბულგარეთი), დაუშვილი(სიონი) | | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საითაც ძალამ გაიწია




№9

ილიკა ჭელიშვილი

პირველმა ეროვნულმა ჩემპიონატმა გზის ნახევარი გაიარა — დამთავრდა პირველი წრე...

სათქმელი დაგროვდა.

რა გუნებაზეა ნოდარ ახალკაცი? როგორი სატარებელი გამოდგა ახალი ტვირთი?

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც საუბარია არა მარტო პირველი წრის ამბებზე.

*— ნათქვამია, ჯერ ფონს იკითხავენ და წყალში მერე შევლენო. პირიქით ხომ არ მოხდა, ნაჩქარევი ნაბიჯი ხომ არ გამოგვივიდა? გულშემატკივართა ერთ, საკმაოდ მოზრდილ ნაწილს, იმთავითვე კრიტიკულად განწყობილს, დღემდე არ შეუცვლია პოზიცია და ეჭვით უყურებს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის მომავალს.*

— მე ეს არ მიკვირს, და, თუ დამიჯერებთ, არც მაღიზიანებს. ამას წინათ ფეხბურთის ერთმა თავგამოდებულმა გულშემატკივარმა დამირეკა და ხაზგასმული კატეგორიულობით მითხრა: ეროვნული ჩემპიონატის არც ერთ მატჩს არ დავსწრებივარ და არც ვაპირებო. ამ კაცს, დანამდვილებით ვიცი, ოცდაათი წლის მანძილზე „დინამოს", „სპარტაკის", „ტორპედოს" და სხვების თამაში არ გაუცდენია, სტადიონზე ვერავინ მიასწრებდა... ახლა აქეთ არც იხედება. ასეთები განა ცოტანი არიან. დასანანია, მაგრამ რას იზამ. ჩვენ ერთი პასუხი გვაქვს: თხუთმეტ თებერვალს ქართულმა ფეხბურთმა საბოლოო არჩევანი გააკეთა და ამ გზიდან არ გადაუხვევს. დღეს ამ თემაზე კამათი ზედმეტი მგონია. საკამათო და საკეთებელი სხვაც ბევრი გვაქვს, ქართულმა ფეხბურთმა ახლა დაიწყო ბრძოლა არსებობისთვის, თვითდამკვიდრებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებში აღიარებისათვის. ამ ბრძოლაში, დარწმუნებული ვარ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

*— იმედი დიდი ყავარჯენია, მაგრამ რეალურად მაინც რას ემყარება თქვენი ეს ოპტიმიზმი?*

— პოლიტიკოსობას არ ვიჩემებ, ეგ ჩემი საქმე არ არის, თუმცა, დღეს ისეთი ამბები ხდება, მოედნის მიღმაც ვიხედები და ქუჩაში გამოტანილი ლოზუნგებისთვისაც მომიკრავს თვალი, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის, რომ საბჭოთა კავშირში და აღმოსავლეთ ევროპაში დღეს მიმდინარე პროცესებს სპორტთან კავშირი არა აქვს? სპორტი ცხოვრების ნაწილია, ცხოვრება კი თვალსა და ხელს შუა იცვლება.

ვინ იფიქრებდა, რომ რუსეთის ფედერაცია სახელმწიფო სუვერენიტეტს გამოაცხადებდა, ცოტა ხანში კი უკრაინაც ასევე მოიქცეოდა? გამორიცხული არ არის, ხვალ-ზეგ ამ რესპუბლიკებმა ოლიმპიურ თამაშებში, სხვა შეჯიბრებებში დამოუკიდებლად მონაწილეობა მოითხოვონ. ამ დღეებში უკრაინის „სპორტივნა გაზეტაში" მეტად საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა — იქაური ცნობილი ფეხბურთელები ეროვნული ჩემპიონატის საჭიროებაზე ლაპარაკობენ. მეტსაც გეტყვით — რესპუბლიკელთა სპორტული სუვერენიტეტის იდეას, როგორც ჩანს, უკვე ცენტრალური პრესაც იზიარებს. „სოვეტსკი სპორტი", მაგალითად, გამოსავალს სწორედ დეცენტრალიზაციაში ხედავს და... მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკას იმოწმებს. არადა, იმავე „სოვეტსკი სპორტმა" და სხვა ცენტრალურმა გაზეთებმა რამდენიმე თვის წინ, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სეპარატიზმში „გვამხილეს" და სულ თითი გვიქნიეს: ჩვენს იქით გზა არა გაქვთ, გონს მოეგეთ, თორემ მშრალზე დარჩებითო... რამ განაპირობა ასეთი მეტამორფოზა? უწინარესად, რა თქმა უნდა, პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებამ და იმან, რომ მტკიცე პოზიცია ბოლომდე შევინარჩუნეთ, ამასობაში კი თანამზრახველებიც გამოგვიჩნდნენ. ყოყმანი და მერყეობა რომ დაგვეწყო, არა მგონია, სპორტის ცენტრალურ მმართველობას რაიმე დათმობაზე ეფიქრა.

მოკლედ, დიდი ცვლილების პირისპირ ვდგავართ, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, სპორტის მემატიანე თხუთმეტი თებერვლის ამბებს გვერდს ვერ აუვლის, დამფუძნებელი ყრილობის თამამ და ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას უთუოდ პატივს მიაგებს.

*— დამფუძნებელ ყრილობაზე მეც დამოუკიდებელ ფედერაციას და ეროვნულ ჩემპიონატს მივეცი ხმა და, ვატყობ, თქვენი ოპონენტის როლში ვერ გამოვდგები. ოპონენტები კი, იცოცხლეთ, ბლომად არიან. თქვენთან სასაუბროდ რომ მოვდიოდი, ერთი ნაცნობი დამემგზავრა და მთელი ავტობუსის გასაგონად მიმტკიცებდა, მოსკოვი არ უნდა მოგვემდურებინა, დამოუკიდებლობა არ უნდა მოგვეთხოვაო... ამასობაში საქმე იქითკენ მიდის, ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია კი არა, მგონი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იშლება. ვინ იცის, აწი იქნებ ვიაჩესლავ კოლოსკოვმაც შეცვალოს თავისი ფედერაციის წესდება და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობაც შემოგვთავაზოს.*

— კოლოსკოვი ჯერ ვერ მოიცლის წესდებისათვის. იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებით ნერვებდაწყვეტილ ხალხს პასუხის გაცემა ხომ უნდა. სხვათა შორის, ამას წინათ კიდევ ერთი დეპეშა გავგზავნეთ მოსკოვში და, თუკი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობას აღიარებენ, მოლაპარაკება და თანასწორუფლებიანი პარტნიორობა შევთავაზეთ. კოლოსკოვისაგან ასეთი პასუხი მივიღეთ: „გაცნობებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ არის საკავშირო ფედერაციის წევრი და მისი სტატუსის განსაზღვრა ჩვენს კომპეტენციაში არ შედის. იმისათვის, რომ შევუდგეთ მოლაპარაკებას თანასწორუფლებიან პრინციპებზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უნდა გაწევრიანდეს სსრკ ფეხბურთის ფედერაციაში"... ძლივს დავაღწიეთ თავი და ისევ უკან გვეპატიჟება. ჯერ ჩვენი ქვეშევრდომი გახდით და თანასწორუფლებიანობაზე მერე ვილაპარაკოთო. ამაზე უთქვამთ: საითაც ძალამ გაიწია, სამართალიც იმას გაჰყვაო. კოლოსკოვს თავი მართალი ჰგონია — ჯერჯერობით მის ხელშია ძალაუფლება. ჯერჯერობით!

*— ბატონო ნოდარ, თითქმის ათი წუთია ვსაუბრობთ და ეროვნულ ჩემპიონატზე არაფერი გვითქვამს, როგორ აფასებთ პირველი წრის შედეგებს, გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი?*

— ცალკეულ გუნდებზე და მატჩებზე არ შევჩერდები. სატურნირო ცხრილში, როგორც სარკეში, ჩანს, ვინ კარგად ითამაშა და ვინ — სუსტად. მაგრამ ცხრილის მიღმაც ბევრი რამე რჩება. მე, როგორც ფედერაციის პრეზიდენტი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ „კულისებმიღმა" ამბებს ვაკვირდები: სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მწვრთნელ-ფეხბურთელთა ურთიერთდამოკიდებულება, დისციპლინა, მსაჯობა, მაყურებელი... ეროვნულმა ჩემპიონატმა, თუმცა გადამწყვეტი შეხვედრები ჯერ წინ არის, თვალნათლივ დაგვანახვა ქართული ფეხბურთის დღევანდელი შესაძლებლობანი, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. გამოკვეთა ყურადსაღები და მომავლისთვის მნიშვნელოვანი ტენდენციები. უწინარესად ის გვახარებს და გვაიმედებს, რომ იმატა ფეხბურთისადმი ინტერესმა. ეროვნული ჩემპიონატის ავ-კარგზე, რატომღაც, მეტწილად თბილისის მაგალითით მსჯელობენ. გადით დედაქალაქიდან, ნახეთ ხობის, ზუგდიდის, რუსთავის, ფოთის სტადიონები. ხშირად ცარიელი ადგილი არ რჩება ტრიბუნაზე. წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად იმატა სპორტული ბრძოლის სიმძაფრემ, ამაღლდა ჩემპიონატის პრესტიჟი, თამაშისა და თავის გამოჩენის საშუალება




ნოდარ ახალკაცი

მიეცა რესპუბლიკის ყველა ფეხბურთელს — ახალგაზრდას თუ გამოცდილს, იგივე ითქმის მწვრთნელებზეც, რომელთა შრომა აქამდე მიჩქმალული იყო; დაიზოგა ათეული ათასობით მანეთი, საბჭოთა კავშირის ერთი ქალაქიდან მეორეში გაუთავებელ მგზავრობას რომ სჭირდებოდა. ამავე დროს, დაიზოგა დროც. შეიქმნა სრულფასოვანი წვრთნის შესაძლებლობა; გაუმჯობესდა ფეხბურთელების, მწვრთნელების, მსაჯების ანაზღაურება, გამოკეთდა საფეხბურთო კლუბების ფინანსური მდგომარეობა; ფეხბურთს დაუბრუნდა არაერთი ვეტერანი სპორტსმენი, ფედერაციაში სამუშაოდ მოვიდნენ ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია, ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობენ თენგიზ სულაქველიძე, თამაზ კოსტავა, დავით მუჯირი, ვახტანგ კოპალეიშვილი, ნოდარ ხიზანიშვილი, ამირან მინაშვილი; ნელ-ნელა შემოგვაქვს პროფესიული ფეხბურთის ელემენტები, გამოჩნდა ახალი ხალხი — ფეხბურთისთვის თავდადებული ადამიანები, რომელთა ორგანიზატორული ნიჭი და საქმიანი თვისებები დღეს ასე გვჭირდება. ქართულ ფეხბურთს ერთი პატრონი ჰყავს, გარედან დიქტატი და ჩარევა გამორიცხულია.

*— თქვენ პროფესიული ფეხბურთი ახსენეთ. პროფესიონალიზმი გადამწყვეტია ყველა საქმეში, მათ შორის, ფეხბურთშიც. ამ ჭეშმარიტებას ყველანი ვაღიარებთ, მაგრამ სიტყვას საქმე არ მოსდევს ხოლმე. ჩემი აზრით, ბევრ უსიამოვნებას ავიცილებდით, საკონტრაქტო სისტემა რომ შემოგვეღო ქართულ ფეხბურთში.*

— ყველა ტრადიციულ საფეხბურთო ქვეყანაში გუნდებს შორის, ფეხბურთელს, მწვრთნელსა და კლუბს შორის ურთიერთობა სწორედ კონტრაქტით რეგულირდება. მომავალი სეზონისათვის ეს სისტემა ჩვენშიც დაინერგება. მწვრთნელ-სპეციალისტებს, კლუბების ხელმძღვანელებს უკვე დავურიგეთ კონტრაქტის სავარაუდო ვარიანტის ტექსტი, შემუშავდა სხვა სამართლებრივ-ფინანსური დოკუმენტებიც. უამისოდ დღეს ძალიან გვიჭირს, ფედერაციას ზოგჯერ უფლებამოსილება არა აქვს, ჩაერიოს კონფლიქტურ სიტუაციაში. მაგალითად, ლანჩხუთის „გურიის" უფროსი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს მურთაზ ხურცილავა, ფოთიდან — ჯონი ჯანელიძე, სამტრედიიდან — ჯუმბერ ჯალაღანია, რომელი მხარეა მართალი, რა დაედო საფუძვლად ამ გადაწყვეტილებებს, ვის მიმართოს მწვრთნელმა, რომელ ინსტანციაში დაიცვას თავისი ინტერესები? სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, მწვრთნელის ბედი გარეშე ხალხის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული და ამის გამო არაერთი კარგი სპეციალისტი დავკარგეთ. კვალიფიციურ მწვრთნელთა ნაკლებობა ჩვენი ტრადიციული პრობლემაა, არადა, მწვრთნელი მთავარი ფიგურაა ფეხბურთში. ვცდილობთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ პროფესიონალ, ავტორიტეტულ მწვრთნელთა გამოცდილება. ჩვენი თხოვნით ფეხბურთს დაუბრუნდა ანატოლი ნორაკიძე, რომლის ხელი უკვე დაეტყო სოხუმის „ცხუმს", სეზონის ბოლოს მოეწყობა მწვრთნელთა სემინარი, მომავალში, ალბათ, უცხოეთშიაც მივავლენთ ჩვენს სპეციალისტებს. საზღვარგარეთის ქვეყნებთან კონტრაქტი აუცილებელია, მითუმეტეს, ისინიც გამოთქვამენ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს. მაგალითისთვის დავასახელებთ ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, ისრაელის, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციებს. ქართული ფეხბურთისადმი დიდ ინტერესს იჩენენ უცხოელი ჟურნალისტებიც, რომლებიც ხშირად ჩამოდიან თბილისში.

*— იოზეფ ბლატერის მოსკოვში სტუმრობის შემდეგ, ფიფას ან უეფას ხომ არ შეხმიანებიხართ?*

— არა. იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის გამო ეს საქმე მომავლისათვის გადავდეთ.




ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეებმა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ბედი გულთან მიიტანეს

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი

I წრე

**იუვენტუსი 3:2 ლაციო**

1:0 ზიდანი (12), 2:0 კონტე (30), 3:0 კოვაჩევიჩი (43), 3:1 რავანელი (51პ), 3:2 მანჩინი (80)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, მირკოვიჩი, მონტერო, იულიანო, ბირინდელი, კონტე, დავიდსი (ტაკინარდი 84), ბაკინი (პესოტო 68), ზიდანი, ფ. ინძაგი (დელ პიერო 77), კოვაჩევიჩი
ლაციო: ბალოტა, გოტარდი, ნეგრო, მიხაილოვიჩი (ნესტა 46), პანკარო, ლომბარდო, სიმეონე, ვერონი (დ. სტანკოვიჩი 46), ნედვედი, რ. მანჩინი, რავანელი (დ. მარკოლინი 62)
გაფრთხილება: მირკოვიჩი, რავანელი
მსაჯი: მესინა

სერია A-ს ლიდერი „ლაციო" მის უახლოეს მდევარ „იუვენტუსს" იტალიის თასზე დაუპირისპირდა. უნდა აღინიშნოს, რომ ტურინში „დელე ალპიზე" გამართული შეხვედრა მართლაც ლიდერთა შესაფერისი გამოდგა და მასპინძელთა, იუვენტუსელ ფეხბურთელთა გამარჯვებით დასრულდა — 3:2. საპასუხო მატჩი დედაქალაქში, „ოლიმპიურ" სტადიონზე, 26 იანვარს გაიმართება. უეჭველია, ტურინულ კლუბს რომში ნამდვილი ბრძოლა მოუწევს.

თუმცა პირველ ნახევარში მოვლენები ისე განვითარდა, რომ საპასუხო შეხვედრა თითქმის ყოველგვარ აზრს კარგავდა. „ბებერმა ქალბატონმა" ტაიმი სამბურთიანი უპირატესობით მოიგო. მე-12 წუთზე „იუვენტუსის" ლიდერმა ზინედინ ზიდანმა ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა, რასაც 30-ე წუთზე ანტონიო კონტეს მეორე გოლი მოჰყვა. ხოლო ტაიმის მიწურულს, 43-ზე წუთზე, იუგოსლაველმა ლეგიონერმა დარკო კოვაჩევიჩმა სხვაობა სამამდე გაზარდა.

მეორე ნახევარში რომაელებმა საკმაოდ რთულ ამოცანას გაართვეს თავი — მათ მეტოქეს ორი უპასუხო ბურთი გაუტანეს. 51-ე წუთზე „იუვენტუსის" გამოცდილმა მცველმა პაოლო მონტერომ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და არბიტრმა თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ უყოყმანოდ მიუთითა. რომაელთა ახალწვეულმა ფაბრიციო რავანელიმ პენალტი ზუსტად შეასრულა. ჭაღარათმიანი „ლაციოში" ფრანგული მარსელის „ოლიმპიკიდან" სულ ახლახან გადაბარგდა და უკვე ზედიზედ მეორე შეხვედრაში გამოიჩინა თავი.

მატჩის დასასრულამდე ათი წუთით ადრე „ლაციოს" ვეტერანმა ფეხბურთელმა რობერტო მანჩინიმ გაიბრწყინა. თანაგუნდელ დეიან სტანკოვიჩს მშვენიერი საგოლე გადაცემა დაუფასა და „ბებერ ქალბატონს" მეორე გოლი გაუტანა, რითაც თავის გუნდს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი შეუნარჩუნა. ზემოთ მოგახსენეთ, რომ საპასუხო შეხვედრა 26 იანვარს რომში „სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართება.



ტურინელი დარკო კოვაჩევიჩი (№18) და რომაელი პაოლო ნეგრო ჰაერში

# მალდინიმ ვეას მილანში დაბრუნება სთხოვა




ჟორჟ ვეამ ინგლისში, პირველივე თამაშში „ტოტენჰემის" წინააღმდეგ თავი გამოიჩინა

1995 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის, ლიბერიელი ჟორჟ ვეას დებიუტი ნისლიან ალბიონზე ფრიად წარმატებული გამოდგა. „მილანიდან" ლონდონის „ჩელსიში" განათხოვრებულმა ფორვარდმა პირველივე შეხვედრაში გოლი გაიტანა და თავის ახალ კლუბს „ტოტენჰემთან" შეხვედრაში გამარჯვება მოუტანა. ვეამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია და მილანელთა თავკაცი ალბერტო ძაკერონი უსამართლოდ ექცეოდა, როდესაც გუნდის სასტარტო შემადგენლობაში არ აყენებდა.

იტალიის ჩემპიონი, ალბათ, ძალიან ნანობს, რომ ვეა გაუშვა, რადგან როგორც თავად მოთამაშემ ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე განაცხადა, „მილანის" კაპიტანმა პაოლო მალდინიმ მას პირადად დაურეკა და კლუბში დაბრუნება სთხოვა. „მილანის" ფეხბურთელებს ჩემი დაბრუნება სურთ. ზოგიერთ მათგანს ტელეფონითაც ვესაუბრე. კაპიტანმა პაოლო მალდინიმ იტალიაში დაბრუნება შემომთავაზა" — თქვა ლიბერიელმა ფორვარდმა.

„მილანის" ხელმძღვანელობას ამის შესახებ ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა „ჩელსის" თავკაცი ჯანლუკა ვიალი ამბობს, რომ იტალიელები ლონდონურ კლუბს უკვე შეეხმიანნენ და სეზონის დასრულების შემდეგ ვეას დაბრუნება მოითხოვეს. „მათ ამის სრული უფლება აქვთ. „ჩელსის" ვეა არ უყიდია, იგი „მილანის" საკუთრებაა. ამიტომ ფეხბურთელი ნებისმიერ დროს შეიძლება მოგვთხოვონ" — აცხადებს ვიალი.

მოგეხსენებათ, ვეას გადაბირებას „ჩელსის" გარდა ლონდონის „არსენალი" და მარსელის „ოლიმპიკიც" ცდილობდნენ. თუმც ლიბერიელი საბოლოოდ „სტემფორდ ბრიჯზე" აღმოჩნდა. ვიალი „მილანს" მაინც ემადლიერება, რომ დროებით სწორედ „ჩელსიში" გაუშვა.

„ჩელსის" მწვრთნელს თავისი გუნდის შეტევის ხაზი ადარდებდა, რადგან ფორვარდებმა — კრის სატონმა და ჯანფრანკო ძოლამ მიმდინარე სეზონში თამაშს აშკარად უკლეს, ხოლო თავდასხმაში ეულად დარჩენილ ტორე ანდრე ფლოს მეტოქის მცველებთან გამკლავება გაუჭირდა. ამიტომ ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ვეას ლონდონში ჩასვლა სწორი და დროული გადაწყვეტილება იყო.

ჯანლუკა ვიალიმ უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს რომელიმე ფორვარდის გაყიდვას აპირებდეს. „ყველა თავდამსხმელის შენარჩუნება მსურს — ამბობს მთავარი მწვრთნელი — პრემიერლიგა საკმაოდ ხანგრძლივი ტურნირია, ფონს მხოლოდ ორი ან სამი თავდამსხმელით ვერ გახვალ. გარდა ამისა, „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგაშიც ასპარეზობს, ამიტომ გუნდში მინიმუმ ოთხი მაღალი კლასის ფორვარდი უნდა ირიცხებოდეს. მართალია, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არავის სიამოვნებს, მაგრამ კლუბის ინტერესები ყველამ უნდა გაითვალისწინოს და კონკრეტულ მომენტში სათამაშოდ მზად იყოს. მჯერა, რომ გუნდის წევრები გამიგებენ. ვეას რაც შეეხება, იგი ნამდვილად დიდი ფეხბურთელია, მისი გამოცდილება და ტექნიკა კლუბს უეჭველად სასიკეთოდ წაადგება. მერწმუნეთ, თუ ვეა სეზონის ბოლომდე შევინარჩუნეთ, მომდევნო ხუთი თვე „ჩელსის" აღმავლობის პერიოდი იქნება."

ახალ კლუბში ვეას ყველა გულთბილად შეხვდა, მათ შორის ჯანფრანკო ძოლაც. იტალიელმა წლეულს სასტარტო შემადგენლობაში 12 შეხვედრა ჩაატარა, ხოლო შეცვლაზე 11-ჯერ გამოჩნდა. ჯამში კი მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხა.

„მიმდინარე სეზონი ჩემთვის ისედაც წარუმატებელია, ამიტომ ვეას გამოჩენა პრობლემა არ გახლავთ. სათანადო დონეზე მანამდეც ვერ ვთამაშობდი. ვფიქრობ, ლიბერიელის ჩამოყვანა „ჩელსის" უთუოდ აზეირებს" — აცხადებს ძოლა.

**ბარი ძოქსი, როიტერი**

## ფეხბურთის რუკასთან



ფრანგულ „მონპელიეში" მოასპარეზე ფორვარდი ნიკოლა უედეკი უახლოეს მომავალში ალბათ კლუბს დატოვებს და შოტლანდიურ გლაზგოს „სელტიკში" გადაბარგდება. მანამდე კი „მონპელიემ" არგენტინული „არგენტინოს ხუნიორსიდან" ნახევარმცველი მარიანო ჰერონი ითხოვა, თუმც არ გამორიცხავენ, რომ ექვსი თვის შემდეგ იყიდოს კიდეც. ჰერონი კლუბში კამერუნელი მარსელ მაუვეს პოზიციაზე ითამაშებს. ეს უკანასკნელი აფრიკის ქვეყნების თასზე საასპარეზოდ თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს.

**არგენტინელი მცველი ედუარდო ბერიზო, რომელიც ფრანგულ მარსელის „ოლიმპიკში" თამაშობს, სამშობლოში ბრუნდება. ფრანგულმა კლუბმა ბერიზო სეზონის დასაწყისში შეიძინა, მას შემდეგ, რაც ცენტრალური მცველი ლორან ბლანი მილანის „ინტერში" გადავიდა. თუმც ბერიზომ ახალ კლუბში თავი ვერაფრით გამოიჩინა. სეზონის დასაწყისში არგენტინელის შეძენის სურვილს სამი ესპანური და ორი იტალიური კლუბი, მათ შორის ფლორენციის „ფიორენტინა" გამოთქვამდა, მაგრამ ახლა მათგან არაფერი ისმის და ბერიზოც სამშობლოს მიაშურებს, სადაც „რივერ პლეიტის" ღირსებას დაიცავს.**

ავსტრიელი ჰანს კრანკლი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, რომელმაც 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებს ორი გოლი გაუტანა, ამიერიდან გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე კიოლნის „ფორტუნას" უთავკაცებს. „კლუბთან ნამდვილად დიდი მუშაობა დამჭირდება, თუმც ვთვლი, რომ საერთო ძალისხმევით ყველაფერი მოგვარდება" — აცხადებს კრანკლი. „ფორტუნა" ამჟამად მწვავე კრიზისს განიცდის და მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნაც ემუქრება. ავსტრიელმა კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა. ახალი პოსტის დასაკავებლად მან „ზალცბურგის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა მიატოვა. ესპანური „ბარსელონას" წარსულში ცნობილ ფორვარდს თავისი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე ავსტრიულ კლუბებში — ვენის „რაპიდში", „მიოდლინგში", „ტიროლსა" და „გერასდორფში" უმუშავია.

**ესპანურმა მადრიდის „რეალმა" მცველი რობერტო კარლოსი და ნახევარმცველი ხოსე მარია გუტი თითოეული 30 ათასი დოლარით დააჯარიმა. კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის შეხვედრაში „რაჯა კასაბლანკას" მოთამაშეთა წინააღმდეგ, მათ უმსგავსო და არასპორტული საქციელი ჩაიდინეს, რის გამოც წითელი ბარათითაც დაისაჯნენ. „მათმა საქციელმა მადრიდის „რეალს" სახელი შეულახა" — იუწყება კლუბის პრესატაშე. ხსენებულ შეხვედრაში წითელი ბარათით კიდევ ერთი მადრიდელი — კრისტიან კარემბუ დაისაჯა, თუმცა სამეფო კლუბს იგი ფულადი სასჯელით არ დაუჯარიმებია.**

ესპანური „ვალენსიას" ფრანგმა მცველმა ალენ როშმა, რომელმაც გასული წლის სექტემბერში საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო, ვარჯიში დაიწყო. ექიმთა განცხადებით, ფეხბურთელი ჯერჯერობით სათანადო ფორმაში არ იმყოფება, ამიტომ უახლოესი ორი კვირის მანძილზე ალბათ ვერ ითამაშებს.

**იტალიის ჩემპიონი „მილანი" მადრიდის „ატლეტიკოს" არგენტინელი მცველით — ხოსე ანტონიო შამოტით დაინტერესდა. „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ამ დღეებში მადრიდს ეწვია, რათა ფეხბურთელისთვის იტალიაში გადასვლა შეეთავაზებინა. მილანური გუნდის პრესატაშის განცხადებით, ამჟამად „ატლეტიკოს" პასუხს ელიან. ხოსე შამოტი 31 წლისაა. სერია A-ში მას სამი სეზონი გაუტარებია, როდესაც თავისი კარიერის ადრეულ პერიოდში რომის „ლაციოს" ღირსებას იცავდა. თუ ეს გარიგება შედგა, შამოტი რიგით მეორე ატლეტიკოელი ფეხბურთელი იქნება, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში ესპანეთი დატოვა და „მილანს" შეუერთდა. შეგახსენებთ, რომ გასული წლის დეკემბრის მიწურულს ფორვარდი ხოსე მარი რომერო გადავიდა „ატლეტიკოდან" „მილანში".**

რუსეთის ნაკრებისა და იტალიური „რომას" ნახევარმცველი დმიტრი ალენიჩევი სერია A-ში მოასპარეზე „პერუჯაში" გადაბარგდა. მის სანაცვლოდ რომაულმა კლუბმა პერუჯელთა იაპონელი ლეგიონერი ჰიდეტოში ნაკატა მიიღო და თან ერთობ სოლიდური თანხა — 15,8 მილიონი დოლარი დაამატა. მოსალოდნელია, რომ რუსი ნახევარმცველი „პერუჯას" სასტარტო შემადგენლობაში მომდევნო შეხვედრაში გამოჩნდება. მისი ახალი კლუბი კვირას ტურინის „იუვენტუსს" დაუპირისპირდება. ალენიჩევი „რომაში" 1998 წელს მოსკოვის „სპარტაკიდან" გადავიდა. მანამდე რვა სეზონი მან მეორე მოსკოვურ კლუბ „ლოკომოტივში" გაატარა.

**ესპანური „ოვიედოს" სლოვაკმა ნახევარმცველმა პეტერ დუბოვსკიმ ქვეყნის თასის შეხვედრაში „ლოგრონიესის" წინააღმდეგ ტრავმა მიიღო და მინიმუმ ერთი თვე ვერ ითამაშებს. ექიმთა ცნობით, სლოვაკს მყესი დაეჭიმა. „ოვიედო" ამჟამად კრიზისს განიცდის და პრიმერადივიზიონის გათამაშების ცხრილში მე-18 ადგილზეა.**

ესპანეთის მეორე დივიზიონის ერთ-ერთმა ლიდერმა „ლევანტემ" ხორვატი ფორვარდი ტომისლავ ერცეგი შეიძინა. 28 წლის ხორვატ თავდამსხმელს მანამდე შვეიცარიის, გერმანიისა და იტალიის სხვადასხვა კლუბებში უთამაშია. საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში მას 7 შეხვედრა აქვს ჩატარებული. „ლევანტემ" ერცეგი იტალიური „პერუჯასგან" იყიდა და მასთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა.

## ესპანეთი

### თასის მერვედფინალის წილისყრა

სარაგოსა — რეალი; ორენსე (II) — ბარსელონა; რეალ უნიონი (III) — ატლეტიკო; ესპანიოლი — სელტა; ოსასუნა (II) — დეპორტივო; მერიდა (II) — ოვიედო; კომპოსტელა (II) — ვილიარეალი (II); ლეიდა (II) — რაიო ვალეკანო

*პირველი მატჩები გაიმართება 19 იანვარს, საპასუხოები — 2 თებერვალს*

### ამხანაგური მატჩი

სენეგალი 0:0 კამერუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანის

## სვეტი

### პლიაჟი?

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამო ახლადა ალაპარაკდნენ.

ლუის ვან გაალს უთქვამს, არ მოგვიწვიეთ და ჯანდაბას, მაგრამ ჩვენი აზრი მაინც გეკითხათო.

ნაახალწლევს რიოსა და სან პაულუს უდიდეს სტადიონებზე გამართულმა შეხვედრებმა დაადასტურა, რომ მსოფლიოში უძლიერესი საკლუბო გუნდები ბრაზილიას ჰყოლია. მაგრამ რამდენად ასახავს რეალობას ეს ამბავი?

აქ საქმე იმაში როდია, რომ „რეალმა“ და „მანჩესტერმა“ ფინალს ვერ მიაღწიეს და ტიტულისთვის ვერ იბრძოლეს. „რეალს“ ასე თუ ისე ეჭირა თავისი მარკა და წლევანდელი სეზონის გათვალისწინებით ნორმალურადაც ითამაშა. „მანჩესტერმა“ საერთოდ წაშალა საკუთარი თავი, ბრაზილიელებმა კი მოინდომეს.

სამხრეთი ტურნირების მხარეა. იქ უყვართ და აფასებენ ამგვარ რამეებს. მაგრამ არა მგონია სერიოზულად შეიძლებოდეს იმაზე ლაპარაკი, რომ მოწინავე ბრაზილიური კლუბები მოწინავე ევროპულ გუნდებს სჯობიან. თუკი სჯობიან რამით, ეს მათი ვარსკვლავების მართლაც ზღაპრული ტექნიკაა. თუმცა, ვარსკვლავებიც ევროპამოვლილი ვეტერანები არიან (ამ ტურნირზე ასე იყო).

ამ ტურნირზე ბრაზილიელები შემსრულებელთა ხარჯზე იმარჯვებდნენ, მათი ტაქტიკური დონე კი სავალალო იყო. რიოსა და სან პაულუს ორი მოწინავე გუნდი რეალურად ვერ ქმნიდა იმგვარ სათამაშო სურათს, უცხო მაყურებელი რომ დაეინტერესებინა. ამ მხრივ სამაგალითოდ გამოგვადგება „კორინთიანს“ — „რეალის“ შეხვედრა, რომელიც ფრედ დასრულდა და რომელშიაც არცთუ ძალმოსილმა „რეალმა“ რამდენიმე „პატარა გაკვეთილი“ ჩაუტარა სამხრეთელებს. ამ გაკვეთილების ჩამოთვლა ახლა სვეტს გაგვიწელავდა.

საწყენი ის კი არ არის, რომ ტურნირმა მსოფლიოს უძლიერესი კლუბები ვერ შეკრიბა. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატად წოდებული ტურნირი, საპლიაჟო შეჯიბრის იერით წარიმართა. საკვირველია, რომ „მანჩესტერმა“ ამგვარი რამისთვის უარი თქვა მსოფლიოს უძველეს შეჯიბრში, ასოციაციის თასისთვის ბრძოლაზე. საკვირველია, რომ იგივე „მანჩესტერი“ ერთადერთხელ („ნეკაქსასთან“ თამაშამდე სამი საათით ადრე) შეუშვეს „მარაკანაზე“ სავარჯიშოდ. საკვირველია, რომ „ვასკუსთან“ თამაშის დილას იმავე „მანჩესტერმა“ ორ საათს ითამაშა ფრენბურთი პლიაჟზე, მწვრთნელი ფერგიუსონი, ძირითადად „ზაგარზე“ ლაპარაკობდა. მაშინ რატომ მიდიხარ? მსოფლიოს ჩემპიონატი და ასეთი ლაპარაკი?

მელბურნიო, კასაბლანკაო. კიდევ რა ერქვა? ტურნირში ჩართვას „ფლამენგო“ ითხოვდა. ჩაერთოთ, უკეთესი იქნებოდა.

სად იყო „ბოკა“, „რივერი“ ან „ბარსა“, „ლაციო“, „იუვე“, თუნდაც „პალმეირასი“? რა შუაშია გეოგრაფია? მსოფლიოს ჩემპიონატზე კი არიან ხოლმე იამაიკა და ავსტრალია-ზელანდია, მაგრამ იქ იმდენი ევროპა და ამერიკაა, რომ ბალანსი დაცულია. ასე რომ, ნამდვილი საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატი წინა გვაქვს.

# მსოფლიოს ჩემპიონატი ბლატერმა მოიგო(ნა)

**კლუბთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა წუხელ, გვიან ღამით გაირკვა და ტურნირიც ისტორიის კუთვნილება გახდა. ალბათ, ჩემპიონატის ავკარგიანობაზე საუბარი ნაადრევი არ არის**



ზეპ ბლატერმა იდეას ხორცი შეასხა

მთავარი კითხვა, რომელიც შეჯიბრის დაწყებამდე დაისვა, ასეთია — გაუწევდნენ დანარჩენი მსოფლიოს კლუბები ევროპელებს და სამხრეთამერიკელებს ღირსეულ კონკურენციას? უარყოფითი პასუხი მეორე კითხვას ბადებდა: ვის სჭირდება ეს ტურნირი, როდესაც ევროპა და სამხრეთამერიკა ისედაც არკვევდნენ მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობას საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში? სატურნირო ცხრილი და გამართული მატჩების ცქერა ყველას საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევს. განსაკუთრებით საინტერესო, ვფიქრობთ, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოწყობის იდეის ავტორისა და ხორცის შემსხმელის შეხედულებაა. ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერზე მოგახსენებთ. მან თქვა: „ბევრი თვლიდა, რომ ფავორიტები ეგრეთ წოდებულ „მეორეხარისხოვან“ კლუბებს გამანადგურებელი ანგარიშით 10:0 ან 11:0 მოუგებდნენ. როგორც ვნახეთ, მსგავსი არაფერი მომხდარა. ვერც მოხდებოდა — ასეთი უსუსური გუნდები უბრალოდ აღარ არსებობენ. გამაოცა „ალ ნასრის“, „რაჯას“ და „მელბურნის“ კარგმა თამაშმა. ბლატერმა ორიოდე კრიტიკული შენიშვნაც გამოთქვა. პირველი კალენდარს შეეხებოდა. ბრაზილიელმა ორგანიზატორებმა იეშმაკეს და ცხრილი ისე შეადგინეს, რომ სათამაშოდ გასულ „ვასკუს“ და „კორინთიანსს“ მეტოქეთა მატჩების შედეგები წინდაწინვე სცოდნოდათ. ამ ფაქტორმა მესამე ტურში იჩინა თავი, „ალ ნასრთან“ შეხვედრაში „კორინთიანსმა“ იცოდა — მეტოქისთვის ორი ბურთის სხვაობით უნდა მოეგო. ბლატერმა არადამაკმაყოფილებელ მსაჯობაზეც თქვა. არბიტრთა მომზადების დონე თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს რომ ჩამორჩება, ამაზე იმდენი ითქვა და დაიწერა, ახალს ვერაფერს ვიტყვით.

აი, ასე შეაფასა ფიფას პრეზიდენტმა უკვე ჩამთავრებული საკლუბო ჩემპიონატი. მისი საუბრის ქვეტექსტში აშკარად იკითხება, რომ ტურნირში უარყოფით მხარეებს დადებითი ბევრად სჭარბობდა. ბლატერი მიგვანიშნებს, კალენდრის უკეთესად შედგენა უადვილესი საქმეა, არც მსაჯობის პრობლემაა გადაუჭრელი, სანაცვლოდ კი მოკრძალებული კლუბები მსოფლიოს სარბიელზე გავიყვანეთო.

ბლატერის კომპეტენტურობისა სრულიად გვჯერა, მის გულწრფელობაში კი ერთი სუბიექტური ფაქტორი გვაეჭვებს. როგორც ვთქვით, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ბლატერის პირმშოა და საკუთარ შვილს ხომ არ მოსჭრის თავს? ფიფას მეთაური კითხვას ასე სვამს — როგორ სჯობს, ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ, თუ ყოველწლიურად გამართვა? კითხვის შინაარსი აღნიშნული ტურნირის პერსპექტიულობაში გვარწმუნებს, პერიოდულობის საკითხი კი სავარაუდოდ მარტში გაირკვევა.

ხუთიოდე თვეც და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანას აირჩევენ. რიოში მყოფ ბლატერს ამ საკითხზეც მოუხდა კომენტარის გაკეთება, მით უმეტეს, რომ ბრაზილია ერთ-ერთი კანდიდატია. ფიფას პრეზიდენტმა, როგორც მის მდგომარეობას შეეფერება, სრული ნეიტრალიტეტი დაიცვა. ვინმეს მიმართ სიმპათიის ნაადრევად გამჟღავნება არ მჩვევიაო, უთქვამს ბლატერს. მარადონას ხსენებაზე კი თავი სინანულით გაუქნევია, რა კარგი ბიჭია და როგორ ილუპებაო.

**გიორგი დარჯანია**

# ერთი ჩემპიონატი ეცოტაავათ

90-იანი წლების დასაწყისში ევროპის პოლიტიკური რუკა შეიცვალა. საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის დაშლით ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები გაჩნდნენ. შესაბამისად, უეფას წევრი ფედერაციების რიცხვიც გაიზარდა. ისინი საკუთარ ჩემპიონატებს მართავენ და ევროტურნირებშიც მონაწილეობენ. თუმცა ერთი ქვეყანა მაინც არსებობს, სადაც ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საშველი არ დადგა — ბოსნია. ყოფილი იუგოსლავიის ამ რესპუბლიკაში ჩემპიონატი რომ ვერ გაიმართა, მიზეზი სპორტის ფარგლებს სცილდება და უფრო ღრმა ფესვები აქვს. ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირება, სამწუხაროდ, ჩვენთვისაც ნაცნობი თემაა. ბოსნია-ჰერცეგოვინაში ადგილობრივ მუსლიმანთა გუნდები სერბებთან არ კადრულობენ თამაშს, სერბები — ხორვატებთან, ეს უკანასკნელნი კი — მუსლიმანებთან. ჰოდა, ჯადოსნური სამკუთხედიც შეიკრა. ამ ფონზე ბოსნია-ჰერცეგოვინის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა ნახევრად ფიქტიურია. ნახევრად, რადგან ნაკრების წევრთა შეკრება და ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპზე თამაში მაინც ხერხდება. მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ ნაკრები ხომ არ არის? ბოსნიურ ფეხბურთში დაპირისპირება იმდენად გაღრმავდა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ეთნოჯგუფების წარმომადგენლებმა თავიანთი ფედერაციებიც შექმნეს.

მოგეხსენებათ, ფიფა-უეფას ურყევი წესია: ერთი ქვეყანა — ერთი ფედერაცია — ერთი ჩემპიონატი. ამ წესს ერთი გამონაკლისი მაინც გააჩნია, ბრიტანელები ამ ორგანიზაციებში ოთხი ფედერაციით არიან წარმოდგენილნი. თუმცა იმ კერძო შემთხვევას თავისი დიდი ხნის ისტორია აქვს და მორიგი პრეცედენტის დაშვების საბაბად ვერ გამოდგება. მაგალითისათვის, ბასკები საფეხბურთო დამოუკიდებლობისთვის კარგა ხანია, უშედეგოდ იბრძვიან.

ბოსნიური ფეხბურთის პრობლემით უეფაც შეწუხებულა და 1998 წელს კეთილი ნება გამოიჩინა — ორი ექსიუგოსლავიური კლუბი თავისივე სახელობის თასზე სათამაშოდ დაუშვა. 2000-2001 წლების ევროთასების სეზონი ზაფხულში დაიწყება. ევროპული ფეხბურთის მამები კი ახლავე აცხადებენ, ბოსნიისთვის სამი ადგილი რეზერვში გვაქვსო. ერთი კლუბი ჩემპიონთა ლიგის, ორი დანარჩენი უეფას თასის გათამაშების შესარჩევ ეტაპზე იასპარეზებს. სავარაუდოდ, ბოსნიელთათვის ინტერტოტოზეც მოიძებნება ადგილი.

თუმცა უეფას ერთი მოთხოვნაც აქვს: ერთიანი ეროვნული ჩემპიონატის გამართვა სავალდებულოა. ამ განცხადებით უეფამ ბოსნიელებს ხელი გაუწოდა, როგორი იქნება საპასუხო ნაბიჯი? ბოსნია-ჰერცეგოვინის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი მუსიბ უსანოვიჩი პესიმისტურად არის განწყობილი. მისი თქმით, ხორვატები და სერბები თანამშრომლობაზე უარს ამბობენ. ზაფხულამდე ცოტა დრო რჩება და მხარეებს შორის შეთანხმების სურვილიც არ ჩანს. ამიტომ ვფიქრობთ, უეფას კეთილი ნება ნებადვე დარჩება და ბოსნიურ ფეხბურთს სახეიროს არაფერს მოუტანს.

**გიორგი დარჯანია**

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

**— მაშ, ვინ ყოფილა მსოფლიოში ყველაზე მაგარი?**

— ედმუნდო ყოფილა.

**— კიდევ?**

— კიდევ რომარიო.

**— კიდევ?**

— აღარ ვიცი, რომელიმე ლუიზაო, ან დოდო...

**— აღიარებ, რომ ყველაზე კარგად ბრაზილიელები თამაშობენ ფეხბურთს?**

— ვაღიარებ, რომ ბრაზილიაში ყველაზე კარგად ბრაზილიელები თამაშობენ.

**— ევროპაში?**

— ევროპაში? ევროპაში არგენტინელები.

**— და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ვინ არის?**

— ჟორჟ ვეა.

**— შენ როდინდელ ამბავს ლაპარაკობ?**

— დღევანდელს.

**— მა, რივალდო ვინღაა?**

— არა. ვინ ამბობს? რივალდო რონალდოს ჯობია.

**— თუ რივალდო რონალდოს ჯობია, საკამათო რაღაა...**

— რონალდო აღარ თამაშობს და რივალდოც იმიტომ ჯობია.

**— ეგ საქმეს არ ცვლის. ორივე ბრაზილიელია და ორივე ევროპელებმა დაასახელეს.**

— სამხრეთამერიკელებმა თუ დაასახელეს ევროპელი თავიანთ საუკეთესო ფეხბურთელად?

**— იქ ევროპელები არ თამაშობენ.**

— რატომ?

**— ისედაც ბევრი ვარსკვლავი ჰყავთ.**

— სურინამელებიც საუცხოოდ თამაშობენ ევროპაში. სურინამში კი საერთოდ არ თამაშობენ.

**— ამით რისი თქმა გინდა?**

— მე არაფრის. სულ შენ გინდა რაღაცის თქმა.

**— ფაქტი ჯიუტია.**

— მართლაც ჯიუტია, სად არის დენილსონი?

**— დენილსონი რა შუაშია?**

— აბა, მაინცდამაინც შირერს უნდა აგინო?

**— და გაზა?**

— გაზასაც მიადგა.

**— გაზა სად არის?**

— დენილსონთან ნამდვილად არ არის.

**— ჟუნინიოსთან ხომ არის?**

— აი, სულელი. ჟუნინიოა გაზასთან, გაზა კი არ არის ჟუნინიოსთან.

**— და ორივენი დენილსონთან არიან.**

— დენილსონი არსად არ არის და როგორ იქნებიან დენილსონთან?

**— მოთამაშე დენილსონი ჯობია თუ უთამაშებელი რონალდო?**

— მაინც რივალდო ჯობია.

**— რივალდო სადაურია?**

— ფიგუ პორტუგალიელია, ამიტომ ვერ გავიგე, რატომაა რივალდო საუკეთესო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «მანჩესტერ იუნაიტედის» მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონისა და თავმჯდომარის, მარტინ ედუარდსის რვა კონფლიქტი



ალექს ფერგიუსონი



მარტინ ედუარდსი

1987 წლის ზაფხული

მიზეზი: „იუნაიტედის" საქმეებში გარკვევის შემდეგ ფერგიუსონმა რონ ატკინსონის დანატოვარი შემადგენლობა დაიწუნა და თავმჯდომარეს ცხრა ახალი ფეხბურთელის ყიდვა მოსთხოვა. მწვრთნელი იგონებს, რომ ედუარდსმა უარი განუცხადა: „გავოცდი იმით, თუ როგორ გაოცდა ის. არასდროს მსმენოდა მისგან ფინანსურ საკითხებზე წუწუნი და ამიტომაც აუცილებელ ცვლილებებზე თამამად ჩამოვუგდე სიტყვა".

*გაიმარჯვა ედუარდსმა, რომელმაც ფერგიუსონს ჯონ ბარნსი, პიტერ ბერდსლი და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი არ აყიდინა.*

1995 წლის ზაფხული

მიზეზი: მარტში უელსელმა ფორვარდმა, მარკ ჰიუზმა განაცხადა, რომ „იუნაიტედთან" კონტრაქტის განახლებას აპირებდა და ამით გულდამშვიდებული ფერგიუსონი ზაფხულზე დასასვენებლად გაემგზავრა. ის დარწმუნებული იყო, რომ ჰიუზი კარიერას მის გუნდში დაასრულებდა, მაგრამ უეცრად შეიტყო, რომ უელსელი „ჩელსიში" გაიყიდა.

*ედუარდსმა ეშმაკობით იძალა.*

1996 წლის მაისი

მიზეზი: ფერგიუსონს კონტრაქტის ვადა გაუვიდა და დაიმუქრა, შეიძლება გუნდი დავტოვოო, რითაც კლუბის თავმჯდომარე აიძულა, იგი ბრიტანეთის უძვირეს მწვრთნელად ექცია. ფერგიუსონი 1999 წლის თებერვალშიც ასევე მოიქცა.

*ფერგიუსონმა ედუარდსს დიდი ხელფასი დასტყუა.*

1998 წლის ზაფხული

მიზეზი: გასულ სეზონში პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული და ფეხბურთის ასოციაციის თასიც „არსენალმა" მოიგო, რამაც ფერგიუსონს ახალი ფორვარდების ყიდვის აუცილებლობა დაანახა. იგი მთელი ზაფხულის მანძილზე ცდილობდა პატრიკ კლუივერტის და გაბრიელ ბატისტუტას გადაბირებას, თუმცა ედუარდსს ეს იდეა გულზე არ ეხატებოდა.

*კლუივერტი „ბარსელონაში" გადავიდა, ბატისტუტა კი „ფიორენტინაში" დარჩა.*

1998 წლის აგვისტო

ფერგიუსონმა ფორვარდის ძიება განაგრძო და ყურადღება „ასტონ ვილას" ფორვარდზე დუაიტ იორკზე შეაჩერა, მისი იმჟამინდელი ასისტენტი ბრაიან კიდი კი ჯონ ჰართსონის შეძენას ამჯობინებდა. ფერგიუსონი იძულებული შეიქნა, ედუარდსისთვის კატეგორიულად განეცხადებინა, რომ მასზე უკეთ გუნდის ავანჩავანი არავინ იცის და სწორედ მას უნდა დაუჯერონ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე.

*დუაიტ იორკი „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა.*

1998 წლის აგვისტო

იორკის ყიდვის შემდეგ ფერგიუსონმა დაიჩემა, რომ კლუბის ხელმძღვანელთა მიერ შედგენილ გასაყიდ სათადარიგო თავდამსხმელთა სიიდან ნორვეგიელი ოლე გუნარ სოლსკიაერი ამოეღოთ. მასში „ტოტენჰემ ჰოთსპური" 5,5 მილიონ გირვანქას იხდიდა. კლუბის ხელმძღვანელებს იმედი ჰქონდათ, რომ სოლსკიაერი თავად არ ისურვებდა დარჩენას, მაგრამ ფერგიუსონმა სოლსკიაერსაც აალებინა სარფიან გარიგებაზე ხელი.

*სოლსკიაერმა ჩემპიონთა თასის ფინალში „ბაიერნს" გამარჯვების გოლი გაუტანა.*

1999 წლის დეკემბერი

„იუნაიტედის" კაპიტანი, როი კინი დაჟინებით ითხოვდა ხელფასის მომატებას, რაც ედუარდსს არ სურდა, რადგან საამისოდ კლუბის სახელფასო სისტემა უნდა დაერღვია. ფერგიუსონი კინის ხელფასის გაზრდას უჭერდა მხარს.

*დღეს კინი „იუნაიტედშია" და კვირაში 50 ათას გირვანქას იღებს.*

1999 წლის შემოდგომა

„მანჩესტერ იუნაიტედი" ორ ცეცხლს შუა მოექცა. ერთი მხრივ მას ბრაზილიაში კლუბთა პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლას აიძულებდნენ, მეორე მხრივ კი საამისოდ ტრადიციული შეჯიბრება, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი უნდა დაეთმო. ფერგიუსონი წასვლის წინააღმდეგი იყო, ედუარდსი — მომხრე.

*„იუნაიტედმა" ბრაზილიაში ითამაშა.*

# ორ წელიწადში ის ფორტეპიანოს მიუჯდება

*სერ ალექს ფერგიუსონმა მსოფლიო მასმედიაში ყოველდღიური გამოჩენით შესაძლოა ბევრს თავიც მოაბეზრა, მაგრამ მისი აზრები ჩვენთვის ფაქტობრივად უცნობია. რატომ? იმიტომ, რომ იგი ვრცელ ინტერვიუებს იშვიათად აძლევს.*

**— სერ, თქვენ ვრცელი ინტერვიუები არ გიყვართ. რატომ?**

— მართალი ბრძანდებით. ყოველდღიურ, სავალდებულო ინტერვიუებს მაგალითად მატჩის წინ და შემდეგ ვაძლევ, მაგრამ ვრცლად საუბარი, ვთქვათ ისე, როგორც ახლა თქვენთან ვსაუბრობ, არ მიყვარს.

— *რატომ?*

— ძალიან მარტივი მიზეზის გამო — დრო არასდროს მაქვს. დახედეთ ჩემს სამუშაო მაგიდას და ყველაფერი ნათელი იქნება. (კლიფში, „მანჩესტერ იუნაიტედის" საწვრთნელ ცენტრში, ალექს ფერგიუსონს პატარა ოფისი აქვს, სადაც უდგას ფურცლებით, დავთრებით, საფეხბურთო ჟურნალებითა და ვიდეოკასეტებით დახუნძლული მაგიდა)

**— ხალხის ინტერესი როგორც პირადად თქვენს, ასევე კლუბის მიმართ ძალიან დიდია. ხანდახან საკუთარი თავისა ხომ არ გიკვირთ? თქვენს წარმატებას ხომ საზღვარი არ აქვს.**

— დიახ, მიკვირს. ვერავინ შეძლებს ისეთი წარმატების წარმოდგენას ან, თუნდაც, წინასწარ განსაზღვრას, მე რომ მქონდა. ძალიან ვამაყობ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" 13 წელიწადია ვმუშაობ. თითოეული ტიტული, რომელიც აქ მოვიპოვე, მიბიძგებდა ახალი სიმაღლეებისკენ და მუდამ ვცდილობდი გუნდი მეტად დამეხვეწა. კმაყოფილების შეგრძნება არასდროს დამუფლებია, პირიქით, ყოველთვის უკეთესი და უფრო სანახაობრივი ფეხბურთის გამოგონებას ვლამობდი.

**— 29 ჯილდოს პატრონი, ალბათ, მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი ბრძანდებით. რაიმე საიდუმლო ხერხი გაქვთ?**

— ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ ამდენ შეჯიბრებაში გავიმარჯვე. დარწმუნებული გახლავართ, რომ შრომისმოყვარეობას ყოველთვის მოაქვს შედეგი. ჩემი უპირატესობა ის გახლავთ, რომ ამ გუნდში ძალიან დიდი ხანია ვმუშაობ. ყველაფერი რაც „იუნაიტედთანაა" დაკავშირებული ჩემთვის ცნობილია. ვიცნობ ყველას და უმნიშვნელოვანესია, რომ ყველა პატივს მცემს, თან ტიტულების გამო არა. ასეთი მდგომარეობა საქმეს ერთიორად მიიოლებს. გარდა ამისა, ფეხბურთის მწვრთნელობა ჩემი მოწოდებაა. ჯერ კიდევ 22 წლის რომ ვიყავი, ვიცოდი, რომ ფეხბურთის მწვრთნელი უნდა გამოვსულიყავი. გულითა და სულით საქმეში ვარ ჩაფლული, მიყვარს ყოველი დღე, რომელსაც საწვრთნელ მოედანზე ვატარებ, მიყვარს ფეხბურთელების აღზრდა და გუნდის სათამაშო სტილის ჩამოყალიბება.



ალექს ფერგიუსონი მოედანზე თავს ბედნიერად გრძნობს

**— რა თვისებებით უნდა იყოს შემკული კარგი მწვრთნელი?**

— თავად უნდა იყოს დისციპლინირებული, კარგად უნდა ერკვეოდეს ადამიანთა ბუნებაში და მათთან მორგება შეეძლოს. მე ჩაკეტილი ბუნების კაცი არ გახლავართ, ბევრ საკითხში ღია ვარ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერს მაინც ჩემებურად ვაკეთებ, ოღონდ ამისათვის უნდა დავრწმუნდე, რომ გზა, რომელიც მე ავირჩიე, სწორია. სპეციალურ ჟურნალში სათამაშო სისტემებზე რომ ვკითხულობ, მათი გავლენის ქვეშ იოლად არ ვექცევი, საკუთარი მიმართულებით ვაგრძელებ სვლას და წარმატებები მაჩვენებს, რომ სწორადაც ვიქცევი. მსოფლიოში უამრავ გულშემატკივარს მოსწონს „მანჩესტერ იუნაიტედის" თამაშის სტილი. აქ მარტო შედეგს არ ვგულისხმობ, სანახაობაზე ვამბობ. სწორედ ეს მანიჭებს დიდ სიამოვნებას.

**— თქვენმა გუნდმა გასულ წელს დიდი წარმატებები მოგიტანათ. რამ განაპირობა 1999 წლის „მანჩესტერ იუნაიტედის" ასეთი ტრიუმფი?**

— დაუვიწყარი წელიწადი უპირატესად ჩვენმა გუნდურმა სულისკვეთებამ განაპირობა. თითოეული მოთამაშე თანაგუნდელისთვის იბრძოდა. ჩვენი გუნდი დიდი ფეხბურთელებისგან შედგება, მაგრამ ყველანი ყველაფერზე მაღლა, საკუთრივ „მანჩესტერ იუნაიტედს" ვაყენებთ. მოედანზე ყველა ტიპის ფეხბურთის მოთამაშე შემადგენლობის გაყვანა შემიძლია და გარწმუნებთ, ყველა გუნდი ძლიერი იქნება.

**— დღემდე ხომ არ გესიზმრებათ ისტორიული 2:1 მიუნხენის „ბაიერნთან" ჩემპიონთა თასის ფინალში?**

— ფეხბურთში ისეთი რაღაცეები ხდება, კაციშვილი ვერ ახსნის. „ბაიერნთან" შეხვედრა დღემდე ვერ გამიცნობიერებია. ნუთუ ვინმე მეტყვის ვინ მოიგო ის თამაში და საერთოდ, რა მოხდა ბარსელონაში მატჩის ბოლო წუთზე? ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ, ალბათ, ბედმა გაგვამარჯვებინა. ფეხბურთის ღმერთები უბრალოდ ჩვენს მხარეს იყვნენ.

**— როდის აპირებთ თანამდებობიდან გადადგომას? მეტი ტიტულის მოგება ხომ შეუძლებელია?**

— ფერგიუსონი ორი წლის შემდეგ გადადგება. ალბათ, მერეც ფეხბურთთან ვიქნები დაკავშირებული. იქნებ „მანჩესტერ იუნაიტედში" მრჩევლად ან რაიმე სხვა თანამდებობაზე დავრჩე, ან იქნებ უეფაში დავიწყო მუშაობა. ერთი კი ნამდვილად ვიცი, მწვრთნელი აღარ ვიქნები. საფეხბურთო მწვრთნელის საქმიანობა სულ უფრო და უფრო ძნელდება, იზრდება გარეშე გავლენები, მოთამაშეთა აგენტები, მასმედია, ფეხბურთელების ჩახლართული კონტრაქტები, წარმატების გაძლიერებული მოთხოვნა. მე კი სიამოვნება მინდა ცხოვრებისგან მივიღო.

**— როგორ აპირებთ სიამოვნების მიღებას?**

— ძალიან ბევრს ვიმოგზაურებ და უცხო ენებს დავეუფლები. უფრო სწორედ დავხვეწ, რადგან ფრანგულად და გერმანულად ცოტას ვლაპარაკობ, გერმანულად უკეთესად, ვიდრე ფრანგულად. აგრეთვე მინდა ფორტეპიანოზე ვისწავლო უკეთ დაკვრა. ერთი ნამდვილად ვიცი, მანჩესტერიდან არ გადავსახლდები. მართალია სამშობლო, შოტლანდია ძალიან მიყვარს, მაგრამ ჩემი ოჯახი მანჩესტერში ცხოვრობს, აქ არის ჩემი სამი ვაჟი და ოთხი შვილიშვილი. მათთვის მეტ დროს გამოვნახავ.

**— თანამედროვე მწვრთნელებს დრო არ აქვთ. თქვენი შემთხვევა — გუნდის ასაშენებლად მრავალი წლის დახარჯვა — გამონაკლისია. დღეს დაუყოვნებლივ ითხოვენ შედეგს და ფინანსურ მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას.**

— ეს მართალია და, იმავდროულად, ფეხბურთის განვითარებისთვის ძალიან ცუდი. თანამედროვე ფეხბურთში მწვრთნელებს წარამარა ათავისუფლებენ თანამდებობებიდან, ეს ლოგიკა კი ჩემთვის გაუგებარია. წარმატებულ მწვრთნელთა უმრავლესობა კლუბში დიდხანს მუშაობდა. მაგალითად, გი რუ გაიხსენეთ. იგი „ოსერში" 30 წელიწადია მუშაობს და ყველაფერი, რასაც მან ამ პატარა კლუბთან მიაღწია აბსოლუტურად უნიკალური გახლავთ.

**— თქვენც დიდი ხანი მოგცეს. „მანჩესტერ იუნაიტედს" სათავეში 1986 წელს ჩაუდექით, ჩემპიონი კი პირველად 1990-ში გახდით.**

— დიახ, მათ ჩემი სწამდათ და ამიტომაც მოითმინეს. რისთვისაც მადლობელი ვარ. დღეს კი იშვიათად თუ ნახავთ მშვიდად მომუშავე მწვრთნელს. საქმეში ძალიან დიდი ფულია ჩარეული და ამიტომ დაუყოვნებლივ შედეგს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

**— არის თქვენთვის ქვეყნად ვინმე, ვისაც კარგი მწვრთნელის ნიმუშად დაასახელებდით?**

— ჩემთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი ყოველთვის საკუთარი იდეების განვითარება იყო, თუმცა წარსულის მწვრთნელთაგან ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას „გლაზგო რეინჯერსის" თავკაცი სკოტ საიმონი და შოტლანდიის ნაკრების თავკაცი ჯაკ სტეინი ახდენდნენ. თანამედროვეთაგან უდიდეს პატივს ვცემ გი რუს, ფაბიო კაპელოს, ლუის ვან გაალს, ჯოვანი ტრაპატონის, ოტმარ ჰიცფელდს და მარჩელო ლიპის. ამას მათი ტიტულები კი არა, ხასიათები მალაპარაკებს.

**— „მანჩესტერ იუნაიტედის" მომავალს როგორ უყურებთ? დღეს ეს კლუბი მსოფლიოში უმდიდრესია. ნუთუ კიდევ უფრო გამდიდრება და წარმატებათა მოპოვება შესაძლებელია?**

— რატომაც არა, ამის საწინააღმდეგო მიზეზებს ვერ ვხედავ. კლუბი ისე კარგადაა სტრუქტურიზებული, რომ ვგონებ ჩემი წასვლის შემდეგაც მიაღწევს წარმატებას.

**— ზოგადად ფეხბურთის მომავალზე რაღას იტყვით?**

— ფეხბურთი გზის გასაყართან დგას. დღეს ურთულესი მდგომარეობაა და ამაში დამნაშავე ბოსმანის წესია. ასეთი ზიანი ფეხბურთისთვის არასდროს არავის მიუყენებია. სატრანსფერო თანხები ძალიან დიდია, ენითაუწერელია ხელფასებიც, ტელევიზიის მოტანილი ფული ხომ ყველაფერს აბრუნებს და ასეთ პირობებში ფეხბურთმა შეიძლება საკუთარი თავის მართვის სადავეები ხელიდან გაუშვას.

**— გამოსავალს თუ ხედავთ?**

— ყველაფერი ძველი მიმართულებისკენ უნდა დაიქაჩოს და ფეხბურთელებიც უფრო გონიერნი უნდა გახდნენ. გარდა ამისა აუცილებელია მთავრობების ჩარევა, რათა ბოსმანის წესებით მოყენებული ვნება საბედისწერო არ გახდეს. სხვა გზას ვერ ვხედავ.

**„ფიფა მაგაზინიდან" თარგმნა პაპუნა ძიდიამ**

## კაცების ბადე



# AUSTRALIAN OPEN 2000

*სულ რაღაც ორიოდ დღეში მელბურნში სეზონის ოთხი დიდი სლემის ტურნირიდან პირველი — ავსტრალიის ღია პირველობა დაიწყება. ჩოგბურთის ისტორიაში დამკვიდრების მსურველებს სამხრეთ ნახევარსფეროს ოზონნარევ ხვატში 7 მარათონული მატჩის გამართვა მოუხდებათ, სამაგიეროდ, იღბლიანები ორი კვირის თავზე მზის დამწვრობის გარდა საოცნებო მთავარ ჯილდოსა და დოლარების გვარიან რაოდენობას მიიღებენ*

## ქალების ბადე



# უფრო სწრაფად, უფრო მაღლა

**ჩოგბურთის** ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ისტორია საუკუნის დასაწყისში, 1905 წელს იღებს დასაბამს, როდესაც რამდენიმე მოხალისემ მელბურნში „ვეარჰაუსმენ კრიკეტ გრაუნდზე" იმ დროისთვის ავსტრალიაში არცთუ პოპულარული სპორტის მოკრძალებული ჩემპიონატი ჩაატარა.

შორეულ წარსულში ტურნირი რეგულარულად იცვლიდა სახელებსა და მისამართებს. მას ხან ავსტრალაზიის პირველობა ერქვა, ხან ავსტრალიის ჩემპიონატი, სიტყვა „ღია" კი სათაურში 1969 წელს დამკვიდრდა, როდესაც ჩოგბურთი გაპროფესიონალების გზას დაადგა.

მელბურნის გარდა სხვადასხვა დროს ტურნირი პერტში, ადელაიდაში, სიდნეისა და ბრისბენში ჩატარებულა, ერთხელ კი სულაც ახალ ზელანდიაში გადაბარგდა. ავსტრალიელებს მომთაბარეობა 1972 წელს ამოუვიდათ ყელში და ჩემპიონატიც ყველაზე მეტი მაყურებლის შემკრებ ქალაქს — მელბურნს გადაულოცეს.





თუმცა ცვლილებები ამითაც არ დასრულებულა: ჯერ იყო და 1988 წელს „კუიონგის" მოძველებული საჩოგბურთო ცენტრიდან იგი ნახევარ მილიარდ დოლარად აშენებულ „ფლინდერს პარკში" გადაიტანეს, მერე კი რატომღაც ეს სათაურიც არ მოეწონათ და 1996-ში „ფლინდერსი" „მელბურნპარკად" გადააკეთეს.

ულტრათანამედროვე სპორტულ კომპლექსს ამჟამად 15 ათას მაყურებლიანი ცენტრალური და 23 სხვა კორტი გააჩნია და ყოველწლიურად თითქმის ნახევარ მილიონ ჩოგბურთის ქომაგსაც მასპინძლობს. რეპორტაჟები კი მელბურნიდან მსოფლიოს 160 ქვეყანასა და ასეულობით მილიონ ოჯახზე გადაიცემა მთელს მსოფლიოში.

როგორც წესი, ავსტრალიელები თავისი ტურნირისთვის არაფერს იშურებენ და პრობლემებიც იშვიათად ექმნებათ, მაგრამ წლეულს ერთი უსიამოვნო გამონაკლისი მოხდა.

ახალი ათასწლეულის პირველი ტურნირისთვის მასპინძლები ახალი, 10 ათას კაციანი, მოძრავსახურავიანი სტადიონის აშენებას გეგმავდნენ. ეს განცხადება დიდი ზარზეიმით გაკეთდა შარშანდელი სეზონის დასაწყისში და საქმეში 42 მილიონი დოლარი დაიხარჯა, მაგრამ მშენებლობის ტემპები უჩვეულოდ ნელი გამოდგა.

„ყველას გვინდოდა, რომ როგორღაც მაინც მოგვესწრო ამის გაკეთება, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. დროში შეზღუდვის გამო ეს ამბიციური პროექტი მხოლოდ საგაისოდ ამუშავდება" — მოუბოდიშა საზოგადოებას ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის თავკაცმა ჯეფ პოლარდმა.

დანაკარგი ცვლილების მოყვარულმა ოზებმა იმითღა აანაზღაურეს, რომ ცენტრალურ კორტს ლეგენდარული ავსტრალიელის, ორი დიდი სლემის მომგები როდ ლეივერის სახელი მიანიჭეს.

ბოლო 10 წლის კაცი ჩემპიონები

**1990 — ივან ლენდლი (აშშ)**
**1991 — ბორის ბეკერი (გერმანია)**
**1992 — ჯიმ კურიე (აშშ)**
**1993 — კურიე**
**1994 — პიტ სამპრასი (აშშ)**
**1995 — ანდრე აგასი (აშშ)**
**1996 — ბეკერი**
**1997 — სამპრასი**
**1998 — პეტერ კორდა (ჩეხეთი)**
**1999 — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 4:6,6:0, 6:3, 7:6**

ავსტრალიის ღია პირველობის საფარი „რიბაუნდ ეისი" იგივე ჰარდია, ოღონდ ზემოდან რეზინის თხელი ფენა ფარავს. ამ სპეციფიკის გამო „ოუფენი" ფიზიკური მზადყოფნის ერთ-ერთ უმძიმეს გამოცდად იქცევა ხოლმე — ავსტრალიურ ხვატში რეზინი სიმკვრივეს კარგავს, ჩოგბურთელებს ფეხები შიგ ეფლობათ და მოძრაობის სირთულე, დახარჯული ენერგია და კოჟრების რაოდენობა ორმაგდება.

როგორც წესი, „რიბაუნდ ეისი" სისწრაფით შუალედურია ჰარდსა და თიხნარს შორის, რაც ხანგრძლივ მატჩებსა და უკანა ხაზზე თამაშის ოსტატთა უპირატესობას უწყობს ხელს, მაგრამ წლეულს ცოტა სხვაგვარი ვითარებაა.

ავსტრალიელებს უკვე დიდი ხანია, „ოუფენზე" თვისტომის გამარჯვება სწყურიათ, ნელი საფარი კი მათი თამაშის სტილს ნამდვილად არ შეეფერება. შარშან ოზების საუკეთესო ჩოგბურთელმა პატრიკ რაფტერმა ლამის ოფიციალურადაც კი ითხოვა, თუ ჩემი სიკეთე გინდათ, ცოტა ტემპი დააჩქარეთო.

ტურნირის ორგანიზატორმა პოლ მაკნამიმ ყურთ ილო რაფტერის მოთხოვნა და მართლაც ასე მოიქცა, მაგრამ ბედის ირონიით კიკინიანი ავსტრალიელი წლევანდელ ტურნირში ტრავმის გამო მაინც ვერ იასპარეზებს.

სამაგიეროდ, ამ სიახლიდან მწვანე კონტინენტელთა სხვა ჯილები — მარკ ფილიპუსისი და ლეიტონ ჰიუიტი იხეირებენ. „რაფტერის შეჩერება ამ პირობებში ძალიან ძნელი იქნებოდა. ბურთი ძალიან სწრაფია და თანაც უჩვეულოდ მაღლა ხტება. წლეულს ძლიერი მოწოდების პატრონ, მაღალ და ჯანიან ჩოგბურთელებს წარმატების მეტი შანსი ექნებათ" — განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ანდრე აგასიმ.

თავად აგასი ტურნირის უპირველეს ფავორიტადაც ითვლება, თუმცა კენჭისყრაში მას არცთუ ძალიან გაუმართლა: გამარჯვების თითქმის ყველა პრეტენდენტი მის ახლომახლოს, ბადის ზედა ნახევარში მოხვდა. ასე რომ, ხოტორა ანდრეს, რომელსაც წლეულს მელბურნში გელფრენდი შტეფი გრაფი უქომაგებს, ფინალამდე პიტ სამპრასი, რიჩარდ კრაიჩეკი, მარკ ფილიპუსისი, ტომას ენკვისტი და ძმანი მისნი გადაელობებიან.

სამაგიეროდ, ბედს ნამდვილად ვერ დაემდურება ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ევგენი კაფელნიკოვი, რომელიც ამ სეზონში საშინლად ასპარეზობს: „ამაზე უკეთესს ვერც ვინატრებდი, ყველა ამ საშინელი მოწოდებების პატრონებს ფინალამდე არ შევხვდები. თუმცა ასე შორს გახედვასაც არ ვაპირებ. თავს უცილობელ ფავორიტად არ მივიჩნევ, სხვები ამ წუთისთვის ჩემზე უკეთ თამაშობენ და ზეწოლასაც ნაკლებს ვგრძნობ".

*განუთესავები, მაგრამ სახიფათოები: ლეიტონ ჰიუიტი, მარატ საფინი, მაიკლ ჩანგი, ჟერომ გოლმარი, ნიკოლა ესკუდე.*

ბოლო 10 წლის ქალი ჩემპიონები

**1990 — შტეფი გრაფი (გერმანია)**
**1991 — მონიკა სელეში (აშშ)**
**1992 — სელეში**
**1993 — სელეში**
**1994 — გრაფი**
**1995 — მარი პირსი (საფრანგეთი)**
**1996 — სელეში**
**1997 — მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)**
**1998 — ჰინგისი**
**1999 — ჰინგისი — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 6:2, 6:3**

წლევანდელ ტურნირს, კაცების არ იყოს, ქალების ბადეც დიდი დანაკარგებით ხვდება. თუ პატრიკ რაფტერს, მარსელო რიოსსა და გრეგ რუზეცკის კარგა ხანია, ტრავმების გამო არ უთამაშიათ და მათ არყოფნას ორგანიზატორები შეგუებულნიც იყვნენ, ვინუს უილიამსმა და მონიკა სელეშმა უარი მხოლოდ ამ კვირაში შემოთვალეს.

აქედან გამომდინარე, გამარჯვების რეალურ პრეტენდენტთა სია მოულოდნელად შესამჩნევად შემოკლდა: „ფავორიტებად სამს — საკუთარ თავს, მარტინა ჰინგისსა და სერენა უილიამსს დავასახელებდი" — განაცხადა ორიოდ დღის წინ უიმბლდონის ჩემპიონმა ლინდსი დევენპორტმა.

მსოფლიოს პირველ ჩოგანს, 19 წლის მარტინა ჰინგისს ავსტრალიასთან მეტად ტკბილი მოგონებები აკავშირებს: ბოლო სამი წელია, მელბურნში იგი ერთეულებშიც იმარჯვებს და წყვილებშიც, თუმცა ამ მიღწევის კიდევ ერთხელ გამეორება და ტრიპლდაბლის ოთხმაგ დუბლად გადაქცევა წინანდელებზე გაცილებით მეტად გაუჭირდება.

დევენპორტის მიერ დასახელებულ სამეულთან გამკლავების რეალური შანსი კი, ალბათ, მხოლოდ ორ ფრანგს — შარშანდელ ფინალისტ ამელი მორესმოსა და ყოფილ ჩემპიონ მარი პირსს თუ ექნებათ.

*განუთესავები, მაგრამ სახიფათოები: კიმ კლაისტერსი, ჯენიფერ კაპრიატი, ალექსანდრა სტივენსონი.*

**ავთანდილ სვანიძე**

### კაცების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- აგასი (1) — პუერტა
- შალკენი — ბლანკო
- მანტია — ზაბალეტა
- სიმერინკი — ვუდბრიჯი
- ილი — ტარანგო
- ნოვაკი — ჰიპფლი
- შერჩეული — გაუდენცი
- შერჩეული — ფილიპუსისი (16)
- კრაიჩეკი (9) — სანტორო
- ესკუდე — კურიე
- პეტროვიჩი — შერჩეული
- გუმი — ვინსიგერა
- დიასი — შერჩეული
- ალონსო — არაზი
- ვისენტე — ბერასატეგი
- ბლექი — მარტინი (8)
- სამპრასი (3) — არტურსი
- ლარო — ტილსტრომი
- როსე — მოია
- გემბილი — გუსტაფსონი
- სირიანი — სკოლარი
- ვუდფორდი — შერჩეული
- შერჩეული — დოსედელი
- სრიჩაპანი — კუჩერა (14)
- ჰენმანი (11) — გოლმარი
- შუტლერი — მარინი
- კარბახერი — ჰილი
- გროსჟანი — მოტომურა
- ლუბიჩიჩი — სეკულოვი
- დამი — ვუდრაფი
- პრეჩი — შერჩეული
- ფრომბერგი — ენკვისტი (6)
- კუერტენი (5) — პორტასი
- ვოინეა — სპადეა
- ჰიუიტი — გოლდსტაინი
- კორეტხა — სარგსიანი
- სტოლტენბერგი — ბიორკმანი
- ვესელსი — შერჩეული
- ჟიბი — პოცი
- მემიტი — ნორმანი (12)
- პიოლინი (13) — ივანიშევიჩი
- კლავეტი — ჰრბატი
- ფერერა — ბასტლი
- იოჰანსონი — კულტი
- გაუდიო — შერჩეული
- მანტა — ალამი
- მელიგენი — ბერენდი
- კანასი — კიფერი (4)
- ლაპენტი (7) — მედვედევი
- ვან ლოტუმი — კლემანი
- კროსლაკი — ლოპეს-მორონი
- ჩანგი — ფედერერი
- დრეიპერი — ფერერო
- ტილმანი — ა. მარტინი
- შერჩეული — ელ აინაუი
- შერჩეული — ჰაასი (10)
- კოსტა (15) — შერჩეული
- შერჩეული — შერჩეული
- დიუპუი — როდრიგესი
- მირნი — აგენორი
- შერჩეული — კუბეკი
- შერჩეული — საფინი
- ვაცეკი - სტანოიჩევი
- ნიპშილდი — კაფელნიკოვი (2)

### ქალების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- ჰინგისი (1) — ლუჩიჩი
- ენენი — შერჩეული
- ვატანაბე — ჰაბსუდოვა
- ტალაია — მოლიკი
- ტანასუგარნი — გრანდე
- სრებოტნიკი — ნეიდლი
- გავალდონი — შერჩეული
- მანდულა — ტესტიუ (12)
- სანჩეს-ვიკარიო (13) — აბე
- შერჩეული — რეიმონდი
- დეშომ-ბალრე — გალიარდი
- სტიუარტი — ვენტო
- ჩერვანოვა — შერჩეული
- სერნა — დრეიკი
- მაკში — ვავრინეცი
- ტიუ — შეტი (6)
- ს. უილიამსი (3) — გრეჭემი
- სანჩეს ლორენსო — პრატი
- აპელმანსი — ელვუდი
- რუბინი — სმეშნოვა
- ფრეზერი — კალენსი
- რაცანო — ხლადკოვა
- სნაიდერი — შაფნესი
- ნოლა — ლოხოვცევა (16)
- მარტინესი (10) — კლეინოვა
- სპირლეა — ბარაბანშიკოვა
- ბახევა — პლიშკე
- დიას-ოლივა — კოსტანიჩი
- ტელოუნი — ფოლდენეი
- დრაგომირი — შერჩეული
- გარსია — ბრანდი
- პანოვა — კუტცერი (8)
- მორესმო (7) — ტორენს-ვალერო
- შნიდერი — ოსტერლოჰი
- პეტროვა — სიდო
- ნემეჩკოვა — ბლექი
- შერჩეული — ჩი
- უი — კურტუა
- კაპრიატი — შვარცი
- კლაისტერსი — ვან რუსტი (14)
- ჰუბერი (15) — პუგერტი
- სტივენსონი — კარლსონი
- სუგიამა — მალეევა
- ნურლანდერი — გერში
- ორემანსი — ბარნა
- ლი — ნაჩუკი
- კოშტო — რიტნერი
- შერჩეული — პირსი (4)
- ტოზია (5) — ნაგიოვა
- შერჩეული — ჰოპმანსი
- შერჩეული — დოუზი
- დომინიკოვიჩი — ლუა
- მაკქუილანი — მონტოლიო
- სუარესი — დემენტიევა
- დეში — ზულაგა
- შერჩეული — ალარი (9)
- კურნიკოვა (11) — ვარტუში
- რიპნერი — ზვერევა
- ჰრდლიჩკოვა — რუანო-პასკუალი
- კუტი კისი — დოკიჩი
- შერჩეული — პისნიკი
- ვაინგარტნერი — კრემერი
- მორარიუ — შერჩეული
- პიტკოვსკი — დევენპორტი (2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# 13 ტური

## ანონსი

| | |
|---|---|
| 15 იანვარი. ვერის ბაღი. 13.00<br>**სსუ — მაკაბი** | 16 იანვარი. ვერის ბაღი. 13.00<br>**ასკ — დინამო** |
| 15 იანვარი. ვერის ბაღი. 15.00<br>**შევარდენი — სდასუ** | 16 იანვარი, ვერის ბაღი. 15.00<br>**გორი — სტუ** |
| 15 იანვარი. ბათუმი. 14.00<br>**ბასკო — თსუ** | 16 იანვარი. რუსთავი. 14.00<br>**აზოტი — ვითა** |

გოჩა ივლიანეშვილის ფოტო



პირველი წრის ვითა — აზოტი. რუსთაველი არჩილ ჟღენტი (შავ ფორმაში) ვითელთა გარემოცვაში

საკალათბურთო კულუარებში თუკი ამა თუ იმ გუნდის სამომავლო პერსპექტივაზე, ან კიდევ საჩემპიონო ამბიციაზე ჩამოვარდება სიტყვა, უპირველესად უეჭველად „ბასკოს“ იხსენიებენ. ზოგი მაინც „აზოტისკენ“ იხრება, აქაოდა უფრო ნაცადი და ბევრისმნახველი გუნდია, ზედიზედ ორჯერ ფინალშიც გაულწევია და აქამდე ხელმოცარული ახლა ნაღდად აისრულებს გულის წადილსო. ამასობაში „ვითა“ ყველამ დაივიწყა. გუნდი, რომელსაც შვიდჯერ დაუპყრია შინაური კალათბურთის უმაღლესი მწვერვალი და წლების მანძილზე სხვათაგან გამორჩეული იმიჯიც შეუქნია, წლეულს არნახულ კრიზისს განიცდის. დრომ მოიტანა ასე, არსებობის ისტორიაში, როგორც არასდროს, ისე დასუსტდა შვიდგზის ჩემპიონი და მეთერთმეტე ეროვნულშიც სადღეისოდ მეხუთე საფეხურამდე დაქვეითდა. თვალი და ყური კი ძნელად თუ შეეჩვევა ამ ამბავს, ალბათ, ამასაც დრო სჭირდება...

და მაინც, რა დრო და ვითარებაც არ უნდა იყოს, „ვითა“ — „აზოტის“ დაპირისპირებას ყოველთვის რაღაც გამორჩეული ინტერესით მოელის ქომაგი. ვისაც კალათბურთი უყვარს და ამ გუნდების დამოკიდებულობაზეც სმენია რაიმე, კვირას არც რუსთავში ჩასვლას დაიზარებს. ასეა, სწორედ მეტალურგთა ქალაქი უმასპინძლებს მეცამეტე ტურის ცენტრალურ შეხვედრას.

გავიხსენოთ პირველი წრე, როცა ვიცე-ჩემპიონი „აზოტი“ აქეთ სტუმრობდა ზედიზედ ორჯერ ფინალში გამამწარებელ „ვითას“ და ფავორიტადაც მიიჩნეოდა. მაშინაც ჩემპიონმა გამოაჩინა ფხა, პროგნოზები თავდაყირა დააყენა და ორი ქულის მოსურნე მომხვდრებს შანსი არ დაუტოვა.

თითქოს წარსული წყენა არ კმაროდაო და ახლა ეს მარცხიც ტვირთად დააწვა ოთარ ხმელიძის გუნდს, რომლისთვისაც „ვითასთან“ წაგება, თანაც საკუთარ კედლებში, თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. რუსთაველ გულშემატკივარსაც ანგარიში უნდა გაუწიონ კალათბურთელებმა, ყველა ყველაა, მაგრამ ამას ისინი, ალბათ, ვეღარ გადაიტანენ.

ობიექტურნი რომ ვიყოთ და ორივე გუნდის შესაძლებლობებიც რეალურად შევაფასოთ, სადღეისოდ „აზოტი“ ერთი თავით მაღლა დგას მეტოქეზე. რუსთაველთა თბილისური მარცხიც, ალბათ, უფრო ფსიქოლოგიურ ფაქტორებს უნდა მივაწეროთ, რაც „აზოტს“ „ვითასთან“ თამაშისას აშკარად ზღუდავს. ისე არ გაიგოთ, თითქოს ვითელებს იმ ღვაწლს ვუკარგავდეთ, რაც მათ „აზოტის“ პირველ წრეში დამარცხებაში დაიდეს, მაგრამ თუ საქმის ვითარებაში უფრო ღრმად ჩავიხედავთ და ამ გუნდების ცალკეულ რგოლებს ერთმანეთს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ერთადერთი უკანა ხაზია, სადაც ორივე ბანაკში მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის მოთამაშეები ილვწიან.

„ვითას“ წარმატების საწინდარი კი უპირველესად უკანახაზელების ქმედებაა. შორს არ წავალთ და ამ გუნდის ბოლო შეხვედრას გავიხსენებთ სდასუ-სთან, როცა უსტიაშვილმა და ტურაშვილმა ჯამში თორმეტი ქულა გააკეთეს. აქედან გამომდინარე, სტუდენტებს მატჩის ბედის სათავისოდ გადაწყვეტა აღარ გასჭირვებიათ. ყოველივე კი, ვფიქრობთ, „აზოტისთვისაც“ საგულისხმო უნდა იყოს.

რუსთაველთა სასტარტო ხუთეული ისეთი გაქანების მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, რომ შეუძლებელია განჭვრიტო, თუ რომელი მათგანი ითავებს ლიდერობას კონკრეტულ შეხვედრაში. ირაკლი ჯაფარიძის პორტუგალიაში წასვლის შემდეგ აზოტელთა შემადგენლობაში გამორჩეული ფიგურა უდავოდ რამაზ გოგობერიშვილია, რომელსაც ბოლო ხანს ისრაელმოვლილი რევაზ ჩხეიძეც შეეშველა. ორივე მათგანი თითქმის ერთი და იმავე ამპლუის მოთამაშეა, მაგრამ მწვრთნელი ოთარ ხმელიძე მათ ფუნქციებს ისე უნაწილებს, რომ მატჩის სიმძიმე გოგობერიშვილზეც და ჩხეიძეზეც თანაბრად განაწილდეს. გამთამაშებელ არჩილ ჟღენტს ძირითადად თანაგუნდელთა პასებით მომარაგება აკისრია, თუმცა მოულოდნელი გარღვევებით მეტოქეებს ხშირად თავსატეხს უჩენს. სამმატჩოდ, ალბათ, სურდოშეყრილი ზაზა გაბისონიაც გამოჯამრთელდება, რომელიც უნარიანად აკოწიწებს გუნდის უკანა ხაზს და დაცვასაც ერთიორად შეუვალს ხდის. ფარზე კი მიხეილ ბერუაშვილი და ზვიად ბაბიაშვილი ირჯებიან. ისინი მეტოქის ცენტრებთან, ახალკაცი-ქევხიშვილთან შეეცდებიან თავიანთი სიძლიერის დამტკიცებას.

ვითელთა სნაიპერ ნუგზარ კოკოლიშვილს ხმელიძე სავარაუდოდ, რევაზ ჩხეიძეს მიუჩენს. თუ ჩხირომ მწვრთნელის დავალებას თავი გაართვა, „აზოტს“ ამოცანის გადაჭრა შედარებით გაუიოლდება.

დანარჩენ შეხვედრათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას ბათუმური მატჩი იქცევს. დღემდე დაუმარცხებელ ზღვისპირელებს თსუ-სთან თამაშში პირველად გაუძღვება „ვითას“ ყოფილი და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე. ამ უკანასკნელის თქმით, ამ მატჩში იქნებ „ბასკომ“ თავისი შესაძლებლობები სრულად ვერც კი გამოავლინოს, რადგან წრეებს შორის შესვენებისას მოწყობილ შეკრებაზე მწვრთნელს შეგირდები ერთობ დაუტვირთავს და ამის შედეგი მოგვიანებით წარმოჩნდებაო, ამბობს. ასეა თუ ისე, აჭარული გუნდი მხოლოდ ორ ქულას გეგმავს ნოდარ ქორქიას თსუ-სთან, რომელსაც პირველ წრეში თბილისშიც სასტიკად გაუსწორდა (116:79).

თავის მხრივ თსუ-მ „დინამოდან“ ვანო აბულაძის გადაბირებით ცენტრში არსებული პრობლემები რომ მოიხსნა, წინა ტურში სსუ-ს ადვილად სძლია, მაგრამ ჩემპიონატის უსუსტეს წარმომადგენლის დამარცხება „ბასკოსთან“ მატჩის წინ დიდი ვერაფერი ნუგეშია.

ფავორიტიც, რაღა თქმა უნდა, აჭარული გუნდია. საკითხავი ისღაა, რამდენად სერიოზულად მიუდგება „ბასკო“ საუნივერსიტეტო კლუბის წინააღმდეგ შეხვედრას, თორემ მათ წარმატებულ სერიას რომ შეწყვეტა არ ემუქრება, ეს დღესავით ნათელია.

თუკი ვინმეს არხეინად ყოფნის უფლება აქვს, ეს ტექნიკურ უნივერსიტეტის გუნდია. ნუგზარ ჭეიშვილის სტუ ხვალ „გორს“ დაეჭიდება და რა უნდა მოხდეს, ფეხი რომ დაუცდეს. აქ იმის გახსენებაც ღირს, რომ „გორი“ ის გუნდია, რომელსაც თვით შვიდგზის ჩემპიონი „ვითა“ გაუკრავს ბეჭებზე, მაგრამ სხვათაგან განსხვავებით ტექნიკოსები ექსპერიმენტებს ნაკლებად მიმართავენ და „ვითას“ მაგალითის შემხედვარეებმა საეჭვოა, გულში მსგავსი რამ გაივლონ.

დიდი მარჩიელობა არც სსუ — „მაკაბის“ დღევანდელ შეხვედრას სჭირდება. არც ამ ტურში უწერიათ გახარება ჯერაც გაუმარჯვებელ სოხუმელებს. „მაკაბისაც“ ექვსეულზე უჭირავს თვალი და ნურას უკაცრავად, ქულებს არ ფლანგავს.

კარგი თამაში აჩვენა და მომზადებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა სდასუ-მ გასულ უქმეებზე. ამ გუნდმა „ვითას“ დამარცხებით სანუკვარ ოთხეულშიც შეაღწია და მადაგახსნილი სტუდენტები, ალბათ, „შევარდენთანაც“ მობილიზებულნი გამოვლენ. ერთი კია, საავიაციო ქარხნის გუნდთან ისინი იოლ გასეირნებას არ უნდა ელოდნენ, რადგან „შევარდენი“ საკმაოდ მებრძოლი კლუბია და უამისოდ არავისთან არაფერს დათმობს. ბევრი იქნება დამოკიდებული სდასუელთა მწვრთნელ ლევან მოსეშვილზეც. მას საამატჩოდ შესაბამისი განწყობის შექმნა მართებს და შეგირდებიც მოსაგებად უნდა შემართოს, თორემ „შევარდენს“ სიურპრიზებიც ეხერხება...

ასკ — „დინამოს“ დაპირისპირება ისეთ შეხვედრათა კატეგორიას განეკუთვნება, სადაც წინასწარ ვერაფერს იწინასწარმეტყველებ. ერთი კი ცხადზე უცხადესია, ორივე გუნდი არცთუ მაღალი კლასის მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და ამიტომაც ცხრილის ქვემოთა ნაწილში საყურყუტოდ არიან განწირულნი.

**გიორგი ბიკაშვილი**

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

# ვებერი ხომ ჰყავდათ

13 იანვარი

**საკრამენტო 107:103 სან ანტონიო**

საკრამენტო: ვებერი (34 ქულა, 19 მოხსნა), ვილიამსი (22)
სან ანტონიო: დანკანი (33 ქულა, 20 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 100:108 ჰიუსტონი**

გოლდენ სტეიტი: ბლეილოკი (25 ქულა, 11 პასი), კეფი (24 ქულა, 10 მოხსნა), ჯემისონი (21)
ჰიუსტონი: მობლი (23), ფრენსისი (19 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

**იუტა 93:83 მაიამი**

იუტა: რასელი (19), მელოუნი (18)
მაიამი: მურნინგი (29), ლენარდი (25)

**მინესოტა 103:85 ბოსტონი**

მინესოტა: ბრენდონი (20 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), გარნეტი (19 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)
ბოსტონი: პირსი (17)

**ნიუ ჯერსი 110:105 კლიპერსი**

ნიუ ჯერსი: კიტლზი (22), მარბერი (21 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)
კლიპერსი: ოდომი (26), ანდერსონი (23)

ჩემპიონ „სან ანტონიოს“ ძლევა, ბუნებრივია, ნებისმიერი გუნდისათვის საპატიოა. მის წინააღმდეგ ყველა მეტოქე ბოლომდე იბრძვის და ბოლომდე იხარჯება, რათა შემდეგ ჩემპიონის მძლეველის სახელით იტრაბახოს. ყველამ და მათ შორის, რაღა თქმა უნდა, „საკრამენტომაც“ მშვენივრად იცის, რომ „სან ანტონიოს“ ნებისმიერი გამარჯვება ბრძოლის ფასად ეძლევა, თან წაგებებსაც უხშირეს ტეხასელებმა. აი, შონ ელიოტი რომ გვყოლოდაო, მაშინ... ხშირად იხსენებენ ელიოტს სანანტონიოელები. გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, ამპლუით ფრთა ელიოტმა კი ზაფხულში თირკმელი გადაინერგა და უკეთეს შემთხვევაში ამ სეზონის ბოლოს თუ ითამაშებს და მაშინაც ნამდვილად არ იქნება თავისი სპორტული ფორმის პიკზე.

თავდაპირველად ჩემპიონმა იმძლავრა. პირველ მეოთხედში გაიბრწყინა მათმა ლიდერმა ტიმ დანკანმა. ამ თორმეტწუთეულში „სფურზის“ მთავარმა დამრტყმელმა ძალამ ერთბაშად 16 ქულა მიითვალა, მაგრამ მასპინძლები ოდნავ დაწინაურებულ „სან ანტონიოს“ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ და მეოთხედი მხოლოდ ოთხი ქულის სხვაობით დათმეს, პირველი ნახევარი კი შვიდით — 54:61.

ბოლო მეოთხედის შუაწელს ჩემპიონს დაღლა შეეტყო. დევიდ რობინსონი, გუნდის ძირითადი ცენტრი, ჩვეულად ველარ ირჯებოდა. არადა, მანამდე „ადმირალმა“ 17 ქულა და 8 მოხსნა გააზერხა, გადამწყვეტ მონაკვეთამდე კი ჯანი აღარ მოჰყვა. ოდნავ მოდუნდა დანკანიც და აქ აფეთქდა „საკრამენტო“. მისმა ლიდერმა კრის ვებერმა ისე გაილაღა, მეტოქე გუნდის მთელი ნაჯაფარი მდინარე საკრამენტოს გაატანა. მან ზედიზედ ათი ქულა მიითვალა და ორნახევარი წუთით ადრე 101:96 გაიყვანა წინ თავისი გუნდი. ახლა უკვე „სან ანტონიოს“ მოუხდა წვალება გასათანაბრებლად, მაგრამ მასპინძლები მედგრად იდგნენ დაცვაში.

„ერთი სიამოვნებაა მათი (რობინსონისა და დანკანის) ყურება, თორემ სულაც არაა სასიამოვნო მათ წინააღმდეგ თამაში — ამბობდა „საკრამენტოს“ იუგოსლაველი ცენტრი ვლადე დივაცი — დევიდის წინააღმდეგ უამრავჯერ მითამაშია და უფრო ხშირად ის მჯობნიდა. ამ ბოლო დროს მეც ხშირად ვძლავრობ, მაგრამ ამ თამაშში რობინსონს მართლა ვერ გავუმკლავდი, დანკანმა ხომ მთლად აგვიკლო. ბედად ჩვენ კრისი (ვებერი) გვყავდა და მან გვიშველა.“

დიდი ბრძოლა გაიმართა სოლტ ლეიკ სიტიში. იქაურმა „იუტა ჯაზმა“ ძლივსძლიობით მოუგო „მაიამი ჰითს“ და ამაში წილი იუტელთა ახალწვეულმა არმონ გილიამმაც დაიდო. მან თავისი ათი ქულიდან ცხრა ბოლო მეოთხედში გააზერხა, ფარიც დაიპყრო და რვა მოხსნაც მოაყოლა. მაიამელებს დენ მარლის დიდი იმედი ჰქონდათ. მან წინა მატჩში „მინესოტას“ ერთბაშად ცხრა სამქულიანი ჩაუგდო და იქნებ ახლაც გამოიღოს ხელიო, მაგრამ ის, რაც მარლიმ „მინესოტასთან“ ჩაიდინა, ყოველდღე არ ხდება, მარლიც ამჯერად ცხრის ნაცვლად ორ სამქულიანს და ექვს ქულას დასჯერდა, ბოლო წუთები კი მთლიანად „იუტასი“ იყო.

„ჰიუსტონ როკიტსს“ ორი დეკემბრის აქეთ სტუმრად არ მოეგო და რომ არა კუტინო მობლი, ვერც ახლა იმარჯვებდა. ამ ბიჭმა კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მობლის 23 ქულაზე მეტი ადრეც გაუკეთებია, მაგრამ აქედან 14 ბოლო მეოთხედში შეაშველა თავის შეჭირვებულ გუნდს და სეზონში მეთერთმეტე გამარჯვებაც მოუტანა.

**ირაკლი ფირაშვილი**

REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან



იუტა — მაიამი. იუტელი ჯეფ ჰორნაჩეკი დაჩოქილი ებრძვის ენტონი კარტერს

# ჯორდანი ვიზარდსის მეწილეა

როგორც აღმოჩნდა, დიდი ხნით არ განშორებია კალათბურთს მაიკლ ჯორდანი. მხოლოდ ამჯერად ჯორდანი ბურთს და მოედანს არ დაბრუნებია, იგი კლუბ „ვაშინგტონ ვიზარდსის“ ერთ-ერთ მფლობელად და ხელმძღვანელად მოგვევლინა. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, ამას წყალი არ გაუვა და ჯორდანი უკვე ოფიციალურად მოერგო ადმინისტრატორის სკამს. სანამ ყველაფერი გაფორმდებოდა, ცხადია, ამ მოვლენას წინ დიდი სჯა-ბაასი უსწრებდა. მხარეები რამდენიმე დღის წინ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და საბუთიც სულ მალე გაფორმდა. კლუბის მთავარმა მფლობელმა, 75 წლის ეიბ პოლინმა თავისი კუთვნილი აქციების ნაწილი მიჰყიდა ყოფილ სუპერვარსკვლავს. ჯორდანს თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია არც პოლინისგან, არც სხვა თანამფლობელებისგან, ტედ ლეონსისის და ჯონ ლედესკისგან. ეს ორი პიროვნება ფაქტობრივად ერთ იურიდიულ პირს წარმოადგენს და კლუბის აქციათა 44 პროცენტს ფლობს. იმისთვის, რომ პოლინს თავისი აქციები გაეყიდა, ამ ორი ბოსის თანხმობაც იყო საჭირო. ამ მხრივ ჯორდანს არ გასჭირვებია საქმის მოგვარება.

აღსანიშნავია, რომ კლუბი ცდილობს, ეს ფაქტი დიდად არ გაახმაუროს, რაც თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ამ შეთანხმების არც ერთი მონაწილის აზრი ცნობილი არ არის. ისინი უბრალოდ ვერ მოიხელთეს, კლუბის პრესატაშემ კი კომენტარისგან თავი შეიკავა.

ამგვარად მაიკლ ჯორდანი შეიქნა „ვაშინგტონ ვიზარდსის“ ერთ-ერთი მფლობელი. ყოფილი კალათბურთელი აქტიურად ჩაებმება კლუბის ყოველდღიურ საქმიანობაში. იგი გააკონტროლებს საკალათბურთო ოპერაციებს, კერძოდ, გააფორმებს მოთამაშეებთან კონტრაქტებს, აწარმოებს მოთამაშეთა მიღება-გაშვებას და დრაფტში კალათბურთელთა აყვანას. მას დაეკისრება აგრეთვე ოფისის მთავარი პერსონალის სამსახურში მიღება და გაშვება. ვაშინგტონში დიდი იმედი აქვთ, სჯერათ, რომ ჯორდანის უზარმაზარი ავტორიტეტი დაეხმარება დაჩიავებულ გუნდს ჭაობიდან ამოსვლაში.

# ფილზის სახელს უკვდავყოფენ

„შარლოტ ჰორნეთსმა“ და მთლიანად ქალაქმა საამაყო შვილი დაკარგა — ბობი ფილზი. გლოვა კვლავ გრძელდება. „შარლოტი“ პარასკევს შინ ხვდებოდა „ნიუ იორკს“. კლუბის ერთ-ერთ თავკაცის პეტ მაკკრორის განცხადებით, თამაშის დაწყებამდე დარბაზი ფეხზე წამოდგომით და წუთიერი დუმილით მიაგებდა პატივს განსვენებულის ხსოვნას, უჩვენებდნენ ეპიზოდებს ფილზის თამაშებიდან, ცხოვრებიდან. დარბაზში აღიმართება შავი ალამი, რომელზეც თეთრად წააწერენ კალათბურთელის მაისურის ნომერს — 13-ს. შავი ალამი არ ჩამოიხსნება სეზონის ბოლომდე.

მაკკრორმა ისიც თქვა, რომ 13-ნომრიანი მაისურით ამიერიდან ველარავინ ითამაშებს „შარლოტში“. ჩვეულებრივ მუდმივნომრიან მაისურას აძლევენ მოთამაშეს, რომელმაც მშობლიურ გუნდს განსაკუთრებული წარმატება მოუტანა, ანაც მთელი კარიერის განმავლობაში უერთგულა. თუმც ყოფილა შემთხვევები, როცა გარდაცვლილისთვის მიუციათ იგი. მაგალითასთვის დრაჟენ პეტროვიჩიც იკმარებს, რომელიც ასევე ავტოკატასტროფაში დაიღუპა და შემდეგ მისმა კლუბმა „ნიუ ჯერსი ნეთსმა“ მისი სამნომრიანი მაისურა სამუდამოდ აღმართა დარბაზის ჭერზე.

ფილზს განსაკუთრებული გმირობა არ ჩაუდენია და „შარლოტშიც“ სულ არასრული სამი სეზონი გაატარა, მაგრამ კლუბი ცდილობს, ჯეროვანი პატივი მიაგოს მას. ეს ამბავი ოფიციალურად 9 თებერვალს გაფორმდება, რის შემდეგაც ფილზი შეიქმნება პირველი კალათბურთელი, ვისაც „ჰორნეთსმა“ მუდმივი ნომერი მისცა.

# ევროლიგა

**II ჯგუფური ეტაპი. II ტური. 12-13 იანვარი**

## E ჯგუფი

**ბარსელონა 68:65 თოფაში**

ბარსელონა: ალსტონი (13), დე ლა ფუენტე (6), დუენიასი (15), ელსონი, გასოლი (12), გოლდვაიერი (13), გუროვიჩი, ნავარო, რენციასი (9), როდრიგესი

თოფაში: ბაში, დემირალი (2), გრიფიტი (3), ქონუქი (4), ოქური (4), რიმაცი (17), რივერსი (30), როჯერსი (5), ილმაზი

**ცსკა 71:76 ალბა**

ცსკა: ალანოვიჩი, დაინეკო (16), ეინიკისი (14), კარასიოვი (13), კირილენკო (4), კუდელინი (14), პანოვი (6), სკელინი, ვეტრა (4)

ალბა: ალექსისი (14), ბოგოევიჩი (17), დეჰია (10), ფემერლინგი (13), ჰამინკი (2), ოკულაია (11), პაპიჩი, როდლი (9)

**ბენეტონი 88:75 ჟალგირისი**

ბენეტონი: ბულერი (3), დი სპალატრო (4), ედნი (23), მაესტრელო, მარკონატო, ნესი (13), ნიკოლა (14), პიტისი (17), სანტოსი, ტრაინა (14)

ჟალგირისი: ბატლერი (7), გარნერი (6), მასიულისი (7), სლანინა (8), სტუმბრისი (19), ტიმინსკასი (4), ზიდეკი (7), ე. ჟუკაუსკასი (13), მ. ჟუკაუსკასი (4)

## G ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი 89:61 ბუდუჩნოსტი**

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (5), დე მიგელი (3), ტ. ედვარდსი (14), გრანტი (6), ნაკიჩი (3), პაპანიკოლაუ (8), რობინსონი (19), სულისი (3), ტარლაჩი (18), დუშან ვუკჩევიჩი (10)

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (10), ბულატოვიჩი (2), პაიოვიჩი (2), რადონიჩი (2), რადუნოვიჩი, შჩეპანოვიჩი (17), შეკულიცი, ტომაშევიჩი (13), ტოპიჩი (10), დრაგან ვუკჩევიჩი (5)

**მაკაბი 65:55 პო ორტეზი**

მაკაბი: ბრისკერი (10), კომეგისი, ჰენფელდი (5), ჰაფმანი (16), ჯამჩი (1), მაკდონალდი (19), პოპა (2), შარფი, შეფერი, შელეფი (12)

პო ორტეზი: ფატუ (8), დ. გადუ (5), ტ. გადუ (1), გულიაში (10), მაზინგი (3), რიზაშე (10), სვინსონი (13), ჩილოემბა, ტრუვიონი (5)

**ვილერბანი 75:64 კახა სან ფერნანდო**

ვილერბანი: ბილბა (6), ბლომი (4), ლარანიაგა (23), ლოვერნი (7), მაქსი (15), პერსევო (2), პლუვი, სოლსი (4), სონკო (14)

კახა სან ფერნანდო: ბრაგოლი (4), კორალესი (7), ფერნანდესი, ფორტიე (11), რომერო (8), შუტე (9), სმიტი (7), სოლანა (6), ტერნერი (12)

## F ჯგუფი

**პანათინაიკოსი 85:50 შოლე**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (13), ბოდიროგა (13), ბუდურისი, ბერკი (7), ფოცისი (8), კალაიძისი, კატაში (8), კოხი (12), მაგლოსი (3), რებრაჩა (21)

შოლე: ბარდე, ბილონი (2), დიუბო (3), ევოდო, გოტიე (16), ჰეიესი (7), ჟანო (3), მარკიზი (6), მიკუ (5), სტივენსონი (8)

**ოლიმპია 69:63 პაოკ**

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (8), ბერი (4), ბრეეცი (2), გოლემაცი (2), იასიკევიჩუსი (22), კოტნიკი (10), მილიჩი (16), მოდრიჩი, ზდოვცი (5)

პაოკ: ალექსანდერი (12), ანგელიდისი, ბალოიანისი (11), ბაზარევიჩი (15), ბ. ედვარდსი (10), იანულისი (14), მასლარინოსი (1), ნიკოლაიდისი, პერალი, პრელევიჩი

**რეალი 98:78 ცრვენა ზვეზდა**

რეალი: ა. ანგულო (16), ლ. ანგულო (14), ჯორჯევიჩი (15), გალილეა (8), ერეროსი (17), იტურბე (10), მიხაილოვი (8), ნუნიესი, სკოტი (11), სტრიულენსი (9)

ცრვენა ზვეზდა: ალექსიჩი, ბოლიჩი (4), ბოშკოვიჩი (1), იესტრატიევიჩი (29), ლუკოვსკი (13), რადმანოვიჩი (8), რაკოჩევიჩი (6), სტანოევიჩი (14), ტიცა (8), ვუიანიჩი

## H ჯგუფი

**ფორტიტუდო 81:63 პივოვარნა**

ფორტიტუდო: ანკიზი, ბაზილე, ფუჩკა (9), გალანდა (13), გაი (2), კარნიშოვასი (9), იარიჩი (14), მაიერსი (19), პილუტი, ს. ვრანკოვიჩი (15)

პივოვარნა: დრაგშიჩი (2), გოლოვიცი (13), ჰაფნარი (17), იურაკი (8), კაზაფეროვიჩი, ლისიცა (19), მილეტიჩი (2), ნახბარი, ჟარკოვიჩი (2)

**ეფესი 84:74 ვარეზე**

ეფესი: ბეშოქი (10), დრობნიაკი (16), ფირინჯიოღლუ (1), ქუთლუაი (6), მულაომეროვიჩი (23), რიდი (2), თურქოღლუ (14), ვექილოღლუ (11)

ვარეზე: ფოიერა, კისურინი (9), მენეგინი (15), პოცეკო (9), სანტიაგო (16), ვესკოვი (18), ვუხერერი (7), ზანუს-ფორტესი

**ციბონა 64:81 ულქერი**

ციბონა: ალიპოჯიჩი (2), ბეიკერი, გირიჩეკი (13), კრსტიჩი, მარცელიჩი (2), პრკაჩინი (10), სარლია (18), სესარი (8), ი. ვრანკოვიჩი (11)

ულქერი: ალენი (15), ერდენაი (15), გონლუმი, კოტუროვიჩი (4), ოზთურქი (2), პოუპი (16), სარიჯა (11), თოფსაკალი (7), ილდირიმი (11)

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 69:51 | 75:67 | 17.02 | 68:65 | 3.02 | 11 | 1 | 916:810 | 23 |
| 2 | ბენეტონი | 68:72 | | 61:81 | 3.02 | 16.02 | 88:75 | 8 | 4 | 864:816 | 20 |
| 3 | ცსკა | 76:72 | 77:75 | | 71:76 | 3.02 | 17.02 | 7 | 5 | 898:868 | 19 |
| 4 | ალბა | 20.01 | 66:76 | 10.02 | | 81:55 | 80:64 | 6 | 6 | 876:894 | 18 |
| 5 | თოფაში | -10.02 | 20.01 | 87:73 | 76:66 | | 77:73 | 5 | 7 | 867:879 | 17 |
| 6 | ჟალგირისი | 60:68 | 10.02 | 20.01 | 89:70 | 62:68 | | 2 | 10 | 854:907 | 14 |

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 100:80 | 16.02 | 96:69 | 85:50 | 3.02 | 11 | 1 | 963:801 | 23 |
| 2 | ოლიმპია | 71:86 | | 69:63 | 73:63 | 3.02 | 17.02 | 7 | 5 | 922:920 | 19 |
| 3 | პაოკ | 19.01 | 9.02 | | 72:71 | 83:76 | 82:53 | 6 | 6 | 865:820 | 18 |
| 4 | რეალი | 63:66 | 76:74 | 3.02 | | 17.02 | 98:78 | 6 | 6 | 883:893 | 18 |
| 5 | შოლე | 10.02 | 66:77 | 48:66 | 20.01 | | 69:59 | 2 | 10 | 756:853 | 14 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 61:76 | 20.01 | 65:64 | 10.02 | 56:64 | | 1 | 11 | 775:958 | 13 |

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვილერბანი | | 70:65 | 61:54 | 75:64 | 17.02 | 3.02 | 9 | 3 | 847:781 | 21 |
| 2 | მაკაბი | 73:61 | | 54:65 | 17.02 | 3.02 | 65:55 | 8 | 4 | 905:828 | 20 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 65:55 | 65:63 | | 3.02 | 89:61 | 16.02 | 8 | 4 | 823:753 | 20 |
| 4 | სან ფერნანდო | 10.02 | 20.01 | 65:66 | | 75:73 | 77:60 | 5 | 7 | 828:830 | 17 |
| 5 | ბუდუჩნოსტი | 19.01 | 59:67 | 9.02 | 88:65 | | 68:71 | 5 | 7 | 880:902 | 17 |
| 6 | პო ორტეზი | 72:61 | 10.02 | 19.01 | 79:74 | 68:72 | | 3 | 9 | 813:876 | 15 |

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ეფესი | | 99:63 | 17.02 | 69:60 | 84:74 | 3.02 | 8 | 4 | 882:831 | 20 |
| 2 | ფორტიტუდო | 76:56 | | 2.02 | 92:78 | 16.02 | 81:63 | 7 | 5 | 878:842 | 19 |
| 3 | ულქერი | 20.01 | 76:68 | | 9.02 | 79:70 | 68:78 | 7 | 5 | 913:902 | 19 |
| 4 | ციბონა | 71:69 | 71:61 | 64:81 | | 3.02 | 17.02 | 6 | 6 | 885:929 | 18 |
| 5 | ვარეზე | 9.02 | 19.01 | 82:86 | 89:77 | | 80:70 | 4 | 8 | 878:923 | 16 |
| 6 | პივოვარნა | 79:91 | 9.02 | 84:95 | 19.01 | 73:83 | | 2 | 10 | 854:989 | 14 |

# აღარც მამა-შვილობა?


REUTERS

ოლიმპია — პაოკ 69:63. ოლიმპიელი შარუნას იასიკევიჩუსი იანის იანულისსა (მარცხნივ) და ბრანისლავ პრელევიჩს შორის

ამ კვირაში ვინმე ბრატისლავ ჯორჯევიჩი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ სპორტულ დირექტორად დანიშნეს. ხუთშაბათ საღამოს კი ეს პატივცემული კაცი საკუთარ შვილზე დაიბოღმა. აბა, რა იქნებოდა, როცა ალექსანდრ ბრატისლავის ძე ჯორჯევიჩმა, მადრიდის „რეალის“ გამთამაშებელმა, საკუთარი მამის გუნდს კალათი ამოუვსო და მეთერთმეტე საევროლიგო მარცხი აგემა. სამეფო გუნდის წევრებს სრული დატვირთვით არ უთამაშიათ, უფრო ვარჯიშობდნენ, ხოლო „ცრვენა ზვეზდამ“ საბოლოოდ დაკარგა მერვედფინალში გასვლის შანსი. ის კი არა, თუკი ბელგრადელებმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს, მომავალ ევროლიგაში იუგოსლავია ერთ ადგილს ავტომატურად დაკარგავს.

მომავალ ევროლოგაში საერთოდ უგუნდოდ დარჩენის რეალური საფრთხე ემუქრება ლიტვას. კაუნასის „ჟალგირისი“, შარშანდელი ევროლიგის გამარჯვებული, მყარად დაფუძნებულა ჯგუფის ფსკერზე და იქიდან ამოსაძრომად დარჩენილი ოთხივე მატჩი უნდა მოიგოს. ამ ტურში ლიტველებს ყოფილმა თანაგუნდელმა, ტრევიზოს „ბენეტონის“ ამერიკელმა ტაიუს ედნიმ მოუღო ბოლო. მან პირველ ტაიმში 19 ქულა გააკეთა და ჯერ კიდევ მაშინ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

ათენის „პანათინაიკოსმა“ ისეთი ამბით დაიწყო „შოლეს“ რბევა, კაცი იფიქრებდა, ევროლიგის შედეგიანობის ყველა რეკორდის დამხობა გადაუწყვეტიაო. მე-14 წუთზე ბერძნები 44:12 (!) იგებდნენ და ამ დროს მათმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ლამის მთელი შემადგენლობა შეცვალა და სათადარიგოებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. „პანათინაიკოსმა“ იოლად და დიდი ანგარიშით მოიგო, ოღონდ, იმ დღეს რეკორდებზე ნადირობაზე ჩანს, არ უფიქრია. ამ მოგებით ათენელებმა გაინაღდეს ჯგუფში პირველი ადგილი და ახლა, მერვედფინალსა და მეოთხედფინალში (თუკი გავლენ) საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნებათ.

ერთი მოგებაც და იგივე სიტუაციაში იქნება „ბარსელონა“, რომელსაც უმძიმესი ბრძოლა გადახდა ბურსას „თოფაშთან“. ესპანელები დამაჯერებლად ლიდერობდნენ, ტაიმი 41:24 მოიგეს და თითქოს თავი ქუდში ჰქონდათ. გრიპშეყრილი ასიმ ფარსის არყოფნაში, „თოფაშმა“ მთლად დათმო ფარი (24:40). ბურსელთა ამერიკელმა დევიდ რივერსმა იუკადრისა თანაგუნდელთა დაჩიავება და დიდებული სპექტაკლი მოაწყო: მეორე ტაიმში რვა სამქულიანი ჩააგდო, რომელთა წყალობით „თოფაშმა“ ანგარიში გაათანაბრა. მატჩი დამატებითი დროისკენ მიდიოდა, მაგრამ ამერიკელი „ბარსელონასაც“ ჰყავდა: ენტონი გოლდვაიერმა საფინალო სირენისთანავე ისროლა სამქულიანი და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

სტამბოლის „ულქერმა“ და ზაგრების „ციბონამ“ სხვადასხვაგვარად დაიწყეს ტურნირი. თურქებს ექვსი ტურის შემდეგ ერთადერთი მოგება ჰქონდათ, რის გამოც გააგდეს მწვრთნელი ჩეთინ ილმაზი და მურათ დიდინი მოიყვანეს. ამის შემდეგ „ულქერმა“ ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგო. „ციბონა“ კი რვა ტურის შემდეგ ექვსი მოგებით იწონებდა თავს, ოღონდ მერე ზედიზედ ოთხჯერ წააგო. ამ ტურში ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ. ხორვატებმა, პირველად კლუბის ისტორიაში, ერთი კონკრეტული თამაშისთვის საგანგებო შეკრება მოაწყვეს, მაგრამ მაინც არაფერი ეშველათ. სტამბოლელებმა შესანიშნავად ითამაშეს და თუ ასე გააგრძელეს, ჯგუფში პირველ ადგილსაც დაისაკუთრებენ. „ციბონას“ მწვრთნელის ვინკო იელოვაცის საქმე კი ცუდადაა: იგი ნებისმიერ დროს შეიძლება დაითხოვონ. წარსულის დიდ მოთამაშეს (იელოვაცი მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონია იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში) მოთამაშეებთან ურთიერთობის გაფუჭებას აბრალებენ და მის სავარაუდო შემცვლელებსაც ასახელებენ: იასმინ რეპეშა, პეტარ სკანსი, ივიცა ბურიჩი, დანიელ იუსუპი, ჟელკო პავლიჩევიჩი...

წლეულს შინ არ დამარცხებულა სტამბოლის „ეფესი“. რიგით მეექვსე საშინაო გამარჯვება სტამბოლელებმა იტალიის ჩემპიონს, „ვარეზეს“ გამოგლიჯეს. თუმცა, სიტყვა „გამოგლეჯა“ აქ უადგილოა, რადგან „ეფესი“ მე-10 წუთზე ათი ქულით დაწინაურდა და ეს სხვაობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა.

ლიუბლიანის „ოლიმპიამ“ ზედიზედ მეოთხედ მოიგო, ამჯერად ჯგუფში მეორე ადგილის უშუალო მოცილე სალონიკის პაოკი დაამარცხა. მართალია, სლოვენიელებს ძალიან კარგად არ უთამაშიათ, მაგრამ ბერძენთა დასამარცხებლად ლიტველი შარუნას იასიკევიჩუსის ოსტატობამაც იკმარა, რომელმაც 22 ქულა, ხუთი მოხსნა, ოთხი პასი და ექვსი ჩაჭრა გააკეთა.

ზედმეტი ნერვიულობის გარეშე იმარჯვეს G ჯგუფის ლიდერებმა, განსაკუთრებით პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“, რომელმაც არ დაინდო პოდგორიცას „ბუდუჩნოსტი“. აღსანიშნავია, რომ იუგოსლავიური გუნდის რვა მოთამაშე გრიპით იყო ავად, მაგრამ უმრავლესობამ მაინც ითამაშა და 28-ქულიან მარცხსაც გამოკრა ხელი. თელ ავივის „მაკაბიმ“ მხოლოდ ათი ქულით კი დაამარცხა „პო ორტეზი“, მაგრამ პირველ ტაიმში მეტოქეს მხოლოდ 16 ქულა გააკეთებინა (ტაიმი 42:16 დასრულდა). სევილიის „კახა სან ფერნანდო“ კი დიდი რიხით ჩავიდა „ვილერბანთან“, მაგრამ ფრანგები პირველივე წუთიდან წინ გავიდნენ და მატჩი კვლავ ჯგუფის ლიდერის რანგში დაასრულეს.

**მერაბ რატიშვილი**

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისი. პრემიერლიგა. 22-ე ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 044 | არსენალი-სანდერლენდი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 045 | ჩელსი-ლესტერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 046 | ქოვენთრი-უიმბლდონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 047 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 048 | მიდლსბრო-დერბი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 049 | უენსდი-ბრედფორდი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 050 | უოტფორდი-ლივერპული | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 051 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 052 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 27-ე ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 053 | ბირმინგემი-ნორვიჩი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 054 | ბლექბერნი-ჰადერსფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 055 | ჩარლტონი-ქრიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 056 | კრისტალ პალასი-ბარნსლი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 057 | გრიმსბი-ნოტინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 058 | იფსვიჩი-სვინდონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 059 | პორტსმუთი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 060 | ქუინზ პარკი-ბოლტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 061 | ტრანმერი-სტოკპორტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 062 | უოლსოლი-შეფილდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 063 | ვესტ ბრომვიჩი-პორტ ვეილი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 064 | მანჩესტერ სიტი-ფულემი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 27-ე ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 066 | ბლეკპული-ლუტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 067 | ბორნმუთი-ბრისტოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 068 | როვერსი-ჯილინგემი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 069 | ბერი-რექსემი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 070 | კარდიფი-ოქსფორდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 071 | ჩესტერფილდი-ბარნლი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 072 | ნოტსი-კოლჩესტერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 073 | ოლდემი-ბრენტფორდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 074 | რედინგი-კემბრიჯი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 075 | უიგანი-მილუოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 076 | უიკომბი-სკანთორპი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 27-ე ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 077 | ბრაიტონი-ლეიტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 078 | კარლაისლი-სუონსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 079 | ჩელტენემი-მენსფილდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 080 | ჩესტერი-როტერჰემი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 081 | ექსეტერი-ბარნეტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 082 | ჰალიფაქსი-ჰარტლპული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 083 | ლინკოლნი-ჰალი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 084 | მაკლსფილდი-დარლინგტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 085 | პიტერბრო-ნორთჰემპტონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 086 | შრიუსბერი-პლიმუთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 087 | საუთენდი-როჩდეილი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 088 | იორკი-ტორკი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 22-ე ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 089 | სტრასბური-მეცი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 090 | ოსერი-ლიონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 091 | ლე ავრი-სენტ ეტიენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 092 | სედანი-ლანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 093 | ნანსი-ბასტია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 094 | ნანტი-ტრუა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 095 | მონაკო-რენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 096 | მარსელი-მონპელიე | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,3 | 2,2 |
| 097 | ბორდო-პარი სენ ჟერმენი | 2,3 | 3,0 | 2,6 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 23-ე ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 099 | ვალანსი-ნიორი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 100 | კანი-ლემანი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 101 | ლავალი-ნიმი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 102 | ამიენი-აიაჩო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 103 | ლილი-შატორუ | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 104 | სოშო-ლუანი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 105 | გენიონი-ტულუზი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 106 | ლორიანი-ვასკეალი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 107 | კაენი-კრეტეი | 1,5 | 3,1 | 7,0 |

### იტალია. სერია "ა". მე-17 ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 108 | ვენეცია-ფიორენტინა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 109 | ბოლონია-ბარი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 110 | ინტერი-კალიარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 111 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 112 | ლეჩე-პარმა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 113 | პიაჩენცა-ტორინო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 114 | რეჯინა-ლაციო | 5,3 | 2,8 | 1,7 |
| 115 | რომა-ვერონა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 116 | უდინეზე-მილანი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### იტალია. სერია "ბ". მე-19 ტური

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 118 | ალძანო-სამპდორია | 2,4 | 2.6 | 2.9 |
| 119 | ბრეშა-კოზენცა | 1,5 | 3.0 | 7.5 |
| 120 | ჩეზენა-ატალანტა | 2,9 | 2.6 | 2.4 |
| 121 | კიევო-ემპოლი | 1,9 | 2.6 | 4.2 |
| 122 | ფერმანა-ტერნანა | 2,7 | 2,6 | 2,6 |
| 123 | მონცა-პესკარა | 1,9 | 2.6 | 4.2 |
| 124 | პისტოიეზე-რავენა | 2,4 | 2.6 | 2.9 |
| 125 | სალერნიტანა-ტრევიზო | 2,0 | 2.6 | 3.8 |

17 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 126 | სავოია-ვიჩენცა | 3,5 | 2.6 | 2.1 |

### იტალია. სერია "C1/A". მე-19 ტური

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 127 | სიენა-ალბინოლეფე | 1,5 | 3,0 | 7.5 |
| 128 | კომო-ბრეშელო | 1,8 | 2.6 | 5.0 |
| 129 | სანდონა-კარარეზე | 2,3 | 2.5 | 3.2 |
| 130 | ლივორნო-ჩიტადელა | 2,5 | 2.6 | 2.8 |
| 131 | ლუმეცანე-კრემონეზე | 1,9 | 2.6 | 4.2 |
| 132 | რეჯანა-ლეკო | 1,6 | 2.7 | 7.0 |
| 133 | მონტევარკი-ლუკეზე | 3,8 | 2.6 | 2.0 |
| 134 | ვარეზე-მოდენა | 1,8 | 2.6 | 5.0 |
| 135 | სპალ-პიზა | 2,0 | 2.5 | 4.0 |

### იტალია. სერია "C1/B". მე-19 ტური

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 136 | გუალდო-არეცო | 3,0 | 2.5 | 2.4 |
| 137 | პალერმო-ასკოლი | 1,9 | 2.5 | 4.4 |
| 138 | ფ.ანდრია-ატლეტიკო | 1,7 | 2.6 | 6.0 |
| 139 | აველინო-ბენევენტო | 2,0 | 2,5 | 4.0 |
| 140 | ვიტერბეზე-კროტონე | 2,7 | 2,5 | 2.7 |
| 141 | ანკონა-ჯულიანოვა | 1,6 | 2.7 | 7.0 |
| 142 | კატანია-ლოდიჯანი | 1,7 | 2.6 | 6.0 |
| 143 | სტაბია-მარსალა | 1,5 | 3.0 | 7.5 |
| 144 | დი სანგრო-ნოჩერინა | 2,2 | 2,5 | 3.4 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. მე-20 ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 145 | რაიო ვალეკანო-ატლეტიკო | 2,3 | 2.9 | 2.8 |

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 146 | სელტა-ოვიედო | 1,5 | 3.4 | 5.6 |
| 147 | სარაგოსა-ბარსელონა | 2,5 | 2,9 | 2.5 |
| 148 | რასინგი-ვალენსია | 2,5 | 2.9 | 2.5 |
| 149 | ესპანიოლი-მალაგა | 1,9 | 2.8 | 3.8 |
| 150 | ალავესი-დეპორტივო | 2,9 | 2.8 | 2.3 |
| 151 | ბეტისი-ბილბაო | 2,3 | 2,9 | 2.8 |
| 152 | ვალიადოლიდი-ნუმანსია | 2,0 | 2.8 | 3.5 |
| 153 | სოსიედადი-სევილია | 1,7 | 2,9 | 5.0 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 22-ე ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 154 | ატლეტიკო "ბ"-ესტრემადურა | 3,0 | 2.9 | 2.2 |
| 155 | ტენერიფე-ლას პალმასი | 1,9 | 2.9 | 3.6 |

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 156 | ხეტაფე-ბადახოსი | 2,5 | 2.8 | 2.6 |
| 157 | ეიბარი-ალბასეტე | 2,2 | 3.0 | 2.7 |
| 158 | ელჩე-სალამანკა | 3,2 | 2.9 | 2.1 |
| 159 | ვილიარეალი-ლეიდა | 1,8 | 2.9 | 4.2 |
| 160 | ლევანტე-ლოგრონიესი | 1,5 | 3.4 | 5.6 |
| 161 | სპორტინგი-კორდობა | 1,5 | 3.2 | 6.5 |
| 162 | უელვა-კომპოსტელა | 2,4 | 2.8 | 2.7 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 163 | ტოლედო-ოსასუნა | 2,5 | 2,9 | 2,2 |
| 164 | მერიდა-ლეგანესი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

პორტუგალია. მე-17 ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 165 | მარიტიმუ-ბენფიკა | 3,0 | 2,9 | 2,2 |

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 166 | ბელენენსეში-ფარენსე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 167 | ალვერკა-რიუ ავე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 168 | კამპომაიორენსე-ამადორა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 169 | ლეირია-სეტუბალი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 170 | გიმარაეში-სანტა კლარა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 171 | ბრაგა-ბოავიშტა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 172 | სპორტინგი-სალგეირუში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

17 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 173 | პორტუ-ჟილ ვისენტე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

ბელგია. მე-19 ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 174 | გენკი-გენტი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 175 | გეელი-სენტ ტრუიდენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 176 | ლომელი-ბეერსხოტი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 177 | ბევერენი-ანდერლეხტი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 178 | მუსკრონი-ჰარელბეკე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 179 | შარლერუა-მეხელენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 180 | ბრიუგე-ლოკერენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 181 | ლიერსი-აალსტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 182 | სტანდარდი-ვესტერლო | 1,9 | 2,9 | 3,6 |

საბერძნეთი. მე-15 ტური

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 183 | კალამატა-ტრიკალა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 184 | არისი-იონიკოსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 185 | აეკ კავალა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 186 | ოფი-ოლიმპიაკოსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 187 | პაოკ-აპოლონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 188 | ქსანთი-პანილიაკოსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 189 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 190 | პანაჰაიკი-ირაკლისი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 191 | ეთნიკოსი-პროდეფტიკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

თურქეთი. მე-16 ტური

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 193 | ანკარაგიუჯიუ-გაზიანთეფი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 194 | ბურსა-ვანი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 195 | გალათასარაი-ალთაი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 196 | ანთალია-ქოჯაელი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 197 | ერზურუმი-გენჩლერბირლიგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 198 | გიოზთეფე-დენიზლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 199 | ადანა-ისთანბული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 200 | ფენერბაჩე-ბეშიქთაში | 2,4 | 2,8 | 2,7 |

კალათბურთი. NBA

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 867 | ნიუ იორკი-შარლოტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 868 | ნიუ ჯერსი-ბოსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 869 | ვაშინგტონი-დეტროიტი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 870 | ორლანდო-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 871 | ატლანტა-ფილადელფია | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 872 | ჩიკაგო-ჰიუსტონი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 873 | მილუოკი-ტორონტო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 874 | მინესოტა-ლეიკერსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 875 | დალასი-პორტლენდი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 876 | იუტა-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 877 | გოლდენ სტეიტი-საკრამენტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 878 | ფინიქსი-დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 879 | საკრამენტო-კლივლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 880 | ვანკუვერი-მაიამი | 2,0 | 12,0 | 1,5 |

17 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 881 | ნიუ იორკი-დეტროიტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 882 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 883 | ვაშინგტონი-ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 884 | შარლოტი-ტორონტო | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 885 | ატლანტა-მილუოკი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 886 | მინესოტა-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 887 | დალასი-ჰიუსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 888 | კლიპერსი-სან ანტონიო | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 889 | ლეიკერსი-სიეტლი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 890 | გოლდენ სტეიტი-ორლანდო | 1,9 | 12,0 | 1,55 |

ჰოკეი. NHL

15 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 897 | აილენდერსი-რეინჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 898 | მონრეალი-ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 899 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 900 | კალგარი-ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 901 | ტამპა ბეი-ფლორიდა | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 902 | ნეშვილი-პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 903 | კოლორადო-ჩიკაგო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 904 | ფინიქსი-ანაჰაიმი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 905 | ვანკუვერი-დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 906 | სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

16 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 907 | ვაშინგტონი-ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 908 | რეინჯერსი-ატლანტა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 909 | ედმონტონი-დეტროიტი | 2,1 | 4,4 | 1,9 |

17 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 910 | აილენდერსი-ოტავა | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 911 | ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 912 | ბოსტონი-ატლანტა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 913 | ფლორიდა-ფილადელფია | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 914 | ჩიკაგო-სან ხოსე | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 915 | კოლორადო-ფინიქსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 916 | ნიუ ჯერსი-კაროლინა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 917 | ვანკუვერი-ტორონტო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 918 | ანაჰაიმი-ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# პრეზიდენტთა სამება?

## აზმაიფარაშვილს აზმაიფარაშვილისა არ სჯერა

*ახლოვდება 21 იანვარი, დღე, როცა ჭადრაკის ფედერაციის ალმასკომის სხდომა უნდა გაიმართოს. ქართულ ჭადრაკში შექმნილი დაპირისპირების აღმოსაფხვრელად ამ სხდომას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სპორტის დეპარტამენტის ვერდიქტით, მისმა მონაწილეებმა ახალი პრეზიდენტის ასარჩევად რიგგარეშე ყრილობა უნდა მოიწვიონ. თუ ასე არ მოხდა, მაშინ დეპარტამენტი ფედერაციას უფლებამოსილების შეწყვეტით ემუქრება. ამიტომ ახლავე ცნობილი, როგორ დასრულდება 21 იანვრის სხდომა. გასარკვევი ყრილობის საბოლოო შედეგია*

გეხსომებათ, ეს დაპირისპირება ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილსა და სახელოვან მოჭადრაკე ქალთა კვარტეტს შორის წარმოიშვა. ორი წლის წინ დაწყებულმა ამ პროცესმა ბოლო ორ თვეში ახალი მასშტაბები შეიძინა — ქალების ფარგლებს გასცდა და სპორტის უმაღლეს მმართველთა დონემდე ავიდა. ამ კონფლიქტის ცალკეული ეტაპები — ქალბატონებისა თუ აზმაიფარაშვილის პრესკონფერენციები და 1999 წლის 23 დეკემბრის სპორტის დეპარტამენტის კოლეგიის სხდომა თავის დროზე ვრცლად გაშუქდა და ახლა ამაზე აღარ შევჩერდები.

21 იანვრისთვის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებული ფედერაციაც ემზადება. ოთხშაბათს მან პრეზიდიუმის სხდომა გამართა, რომელიც თითქმის 4 საათს გაგრძელდა. მას არ ესწრებოდნენ ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია. პირველმა თავისი ხმა თამაზ გიორგაძეს გადასცა, მეორემ — ზურაბ სტურუას. ემოციური, მღელვარე და ხმაურიანი შეკრება ამ გადაწყვეტილებით დამთავრდა, რომ ალმასკომს ურჩიეს, მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა. ამ წინადადებას თხუთმეტი წევრიდან მხარი ცამეტმა დაუჭირა. ორმა თავი შეიკავა. მათ შორის, ზურაბ აზმაიფარაშვილმაც. ის თვლის, რომ დღეს ამისი აუცილებლობა არ არის. სახელობითი კენჭისყრით ისიც დამტკიცდა, რომ ალმასკომს წარუდგენენ ფედერაციის პრეზიდენტისა და ალმასკომის მდივნის ხელმოწერით დადასტურებულ ალმასკომის წევრთა სიას, რათა ყოველგვარ ეჭვს საფუძველი გამოეცალოს.

სხდომის მერე კვლავ გაურკვეველი დარჩა საკითხი, უყარეს თუ არა კენჭი პრეზიდენტის გადადგომას. ოპონენტები მტკიცებენ, კი. აზმაიფარაშვილი ამას სასტიკად უარყოფს და დასძენს, ეს საკითხი არც დასმულა. თამაზ გიორგაძისა და ზურაბ სტურუას თქმით, კენჭი უყარეს ყრილობის მოწვევას ახალი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით. 'განცხადებადაწერილი, მაგრამ ჯერ ისევ თავის სავარძელში მჯდომი ვიცე-პრეზიდენტი დავით გურგენიძე ამბობს, რომ მან კენჭი მხოლოდ ყრილობის მოწვევას უყარა. აზმაიფარაშვილის თქმით, მან თავად შესთავაზა პრეზიდიუმს, მოეხდინათ ფორმულირება, რა მოტივით იწვევენ ყრილობას, მაგრამ პრეზიდიუმმა ეს ვერ შეძლო და საბოლოოდ ცნობად დეპარტამენტის ბრძანება, ყრილობის მოწვევას რომ ავალდებულებს, მიიღეს.

ზოგიერთთა აზრით, ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს, ოღონდ ერთგვაროვანი არგუმენტები არც მათ აქვთ. ზოგიერთის აზრით, საგანგებო ყრილობა სწორედ არჩევნების ჩასატარებლადაა საჭირო, რადგან ამ საკითხს სხვა ორგანო (პრეზიდიუმი ან ალმასკომი) ვერ გადაწყვეტს. აზმაიფარაშვილი კი ამბობს, რომ ეს აბსურდია. მეორეთა აზრით, ყრილობის დღის წესრიგი ალმასკომმა უნდა შეიმუშაოს და პრეზიდიუმი ამ საკითხში ვერ ჩაერევა.

აზრთა ერთიანობა არც ყრილობის მომხრეთა შორისაა. ზოგნი თუ პრეზიდენტს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, მეორენი ასეთ პრინციპულობას არ იჩენენ. ისინი აზმაიფარაშვილს პიროვნულად არ უპირისპირდებიან, მაგრამ თვლიან, რომ ძალაუნებურად მის პრეზიდენტობას ქართული ჭადრაკი ჩიხში შეჰყავს და მხოლოდ ამიტომ ითხოვენ ყრილობის მოწვევას.

ამ სიტუაციაში გადამწყვეტი სიტყვა სხდომის ოქმს ეკუთვნის, იქ კი ჩაიწერა, რომ ალმასკომმა მიეცეს რეკომენდაცია, მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა წესდების სრული დაცვით.

პრეზიდიუმის სხდომაზე სიტყვით მაია ჩიბურდანიძე გამოვიდა, რომელიც დაპირისპირებაში აქამდე არ ერეოდა. ჩარევით ის არც ახლა ჩარეულა, ოღონდ აზმაიფარაშვილს, როგორც მეგობარს, გადადგომა ურჩია.

რიგგარეშე ყრილობას რომ აუცილებლად დანიშნავენ, ეს უკვე გადაწყვეტილია. ფედერაციის წესდებით, მას 21 მარტამდე ვერ მოიწვევენ, რადგან პრეზიდენტობის კანდიდატები 2 თვით ადრე უნდა დაფიქსირდნენ. ჯერ არც ამ კანდიდატთა ვინაობაა ცნობილი, აზმაიფარაშვილის პოზიცია კი ასეთია — ამ ეტაპზე არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს, მაგრამ მომავალში არც ამას გამორიცხავს. საბოლოო გადაწყვეტილებას სამომავლოდ შექმნილი სიტუაცია უკარნახებს.

ფედერაციაში მისული იმითაც დავინტერესდი, შესრულდა თუ არა სპორტის დეპარტამენტის კოლეგიის გადაწყვეტილება. ის პრეზიდიუმისა და ალმასკომის, როგორც პარალელური სტრუქტურების გაერთიანებას და 82-კაციანი ალმასკომის შემცირებას ითხოვდა. დადგენილების პროექტი მაშინ დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანმა ასე წაგვიკითხა, გუშინ კი აზმაიფარაშვილმა დეპარტამენტიდან ფედერაციაში მისული 23 დეკემბრით დათარიღებული ბრძანება მაჩვენა, რომელიც პროექტისაგან პრინციპულად განსხვავდება. კერძოდ, მასში არაფერია ნათქვამი ამ ორი სტრუქტურის გაერთიანებაზე და არც ალმასკომის წევრთა შემცირებაზე. ამიტომ, აზმაიფარაშვილის თქმით, 21 იანვრის სხდომას ორივე სტრუქტურა ყოველგვარი ცვლილების გარეშე შეხვდება. 82 კაცი ალმასკომში პრეზიდენტსაც აწუხებს, მაგრამ ეს არჩევითი ორგანოა და ვერავის დაათხოვებო, მითხრა, თუ ვინმე თავისით წავა, მისი ნებაა, დაამატა.

აზმაიფარაშვილმა ისიც მითხრა, რომ კახი ასათიანმა ჭადრაკის სასახლის დირექტორი უკვე დანიშნა, მაგრამ ვინაობა არ გამხილა. უფრო მეტიც, ასათიანისთვის უთხოვია გაუქმებულიყო თავიდან ასაცილებლად ეს ამბავი 21 იანვრამდე არ გაეხმაურებინა. საზოგადოებას ასე თვალი და ასე ყური აქვს და რას გამოარკვევ. პოლო ჩვენც დავადგინეთ, რომ ეს კაცი ზურაბ რეხვიაშვილია, რომელიც აქამდე დეპარტამენტში კოორდინატორ და სპორტის ფედერაციებთან მუშაობდა. ასათიანის არჩევანი მასზე რატომ შეჩერდა, ვერ გეტყვით, მოჭადრაკეთა უკმაყოფილება რომ გამოიწვია, ეს კი ფაქტია. ისინი შიშობენ, რომ ამით სასახლე ჭადრაკისთვის დაიკარგება. აზმაიფარაშვილი და გია გიორგაძე ამ საკითხზე კახი ასათიანთან შეხვდნენ და თავიანთი პრეტენზია ხმამაღლა განუცხადეს. კითხვაზე, ამ დანიშვნის მერე ფედერაცია სასახლეში დარჩება თუ არა, პრეზიდენტმა ვერაფერი გვიპასუხა, თუმცა ხელმძღვანელობა მაშინ მასაც გაუჩნდა.

აზმაიფარაშვილი ასათიანს მხოლოდ საპრეზიდენტოდ არ ნწევს (ამ შეხვედრამ არცთუ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა). მან დეპარტამენტის თავმჯდომარეს ასეთი პროექტი შესთავაზა — შეიქმნას პრეზიდენტთა ტრიუმვირატი, რომელშიც მასთან ერთად საპატიო პრეზიდენტები ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე შევლენ. ამ ტრიოს მიენიჭება გადაწყვეტილებების უფლება, ხოლო ყოველ წევრს ექნება ვეტოს უფლება. მათი შეთანხმებით შეირჩეს ადმინისტრაციული დირექტორი, რომელიც მოაგვარებს ორგანიზაციულ საკითხებს. აზმაიფარაშვილის სიტყვით, ეს იდეა ასათიანს მოეწონა, თუმცა თავად ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძეს ჯერ არ სმენიათ. როგორი იქნება მათი პასუხი, ჯერ არავინ იცის.

აზმაიფარაშვილს კიდევ ერთი იდეა გააჩნია — ფედერაციის პრეზიდენტი ყოფილიყო დამოუკიდებელი მხარე, რომელიც მას საჭადრაკო ელიტა დაუპირისპირდა, უმაღლესი მხრიდან, რაც გაჭიანურებულ დავას გამორიცხავს.

21 იანვარს ალმასკომმა უნდა განიხილოს ვიცე-პრეზიდენტ დავით გურგენიძის განცხადება გადადგომის თაობაზე. ესეც ამ დაპირისპირების ჯერ ერთი მოვლენაა, რაც ქორის საბაბად კი იქცა.

**ირაკლი თაბაძე**



ბადრი კეთილაძის ფოტო

ზურაბ აზმაიფარაშვილი



# ალე, ალე! ჩემებურად მიდი, მიდი!



ბადრი კეთილაძის ფოტო

კლოდ სორელი

ქანცი გააცალა კლოდ სორელმა გუშინ ქართველ მორაგბეებს, დაახლოებით ორი საათი დაარბენინებდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის სტადიონზე. რას იზამ, სპორტული ცხოვრება საკმაოდ მძიმეა და დამქანცველ ვარჯიშებსაც ვერსად გაექცევი. თუ შედეგი გინდა, მცდელობაც არ უნდა დააკლო. ეტყობა, ეს საკმაოდ კარგად იციან ქართველმა მორაგბეებმა და ამიტომაც ფრანგი თავკაცის ნებისმიერ მოთხოვნას ხმის ამოუღებლად და მონდომებით ასრულებდნენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მორაგბეებსა და მწვრთნელს შორის მშვენიერი დამოკიდებულებაა. დიდად არც ენის უცოდინარობა უშლით ხელს. ცოტას ბიჭები აჩერჩებენ ფრანგულად, ცოტას სორელი, რომ იტყვიან, ჯაზირობს ქართულად, მაგრამ მშვენივრად აგებინებენ ერთმანეთს. თუ რაიმე გაუგებრობაა, კავშირის გენერალური მდივანი გია ჭუმბურიძეც იქვეა.

კლოდ სორელი ყველაზე ადრე მისულა ვარჯიშზე. სპორტულად გამოწყობილი მოთმინებით ელოდა მორაგბეების შეკრებას. რომ მივედით, ღიმილით მოგვესალმა. ზოგიერთი აგვიანებს და მათ ნაცვლად თქვენ ხომ არ გაიქცევითო, გაგვეხუმრა. სულ მალე მორაგბეებიც შეიკრიბნენ და ვარჯიშიც დაიწყო.

ადრე ჩატარებული ტესტების შედეგების გათვალისწინებით, კლოდ სორელმა სანაკრებოდ უკვე აარჩია კანდიდატები, სულ 26 კაცი — 14 შერკინების და 12 ხაზის მოთამაშე. აი, ისინიც

შერკინება: გოდერძი შველიძე, ტარიელ რატიანიძე, სოსო ნიკოლაენკო, სანდრო ესაკია, ავქსენტი გიორგაძე, ვანო ნადირაძე, სოსო პარტიკანაშვილი, ილია ზედგენიძე, ზურა მჭედლიშვილი, გია ლაბაძე, გიორგი იაშვილი, ვასო კაცაძე, დათო ბოლღაშვილი, კახა კობახიძე.

ხაზის მოთამაშეები: ირაკლი აბუსერიძე, შოთა მოდებაძე, პავლე ჯიმშელაძე, ნიკა იურინი, ბესო ხამაშურიძე, თედო ზიბზიბაძე, ნოდარ ანდღულაძე, არჩილ ქავთარაშვილი, გიორგი ბუღიანიშვილი, ბადრი ხეხელაშვილი, მალხაზ ურჯუკაშვილი, ვასო აბაშიძე.

ნაკრები 20 იანვარს გაფრინდება საფრანგეთში, უფრო სწორად, აქ მყოფი მორაგბეები შეუერთდებიან ლეგიონერებს და 26 იანვარს იტალიის ნაკრებთან შესახვედრად იქვე მოემზადებიან. გუშინდელ ვარჯიშზე პატიოსნად იშრომეს ბიჭებმა და საკმაოდ ბევრი ოფლიც ღვარეს. შიგადაშიგ, მცირე შესვენებებისას, კლოდ სორელი ეხუმრებოდა კიდეც შეგირდებს. მხოლოდ ერთხელ იყო, რაღაც არ მოეწონა სპრინტის დროს და გაბრაზებით შეუყვირა — ალე, ალეო. ეს სიტყვა მრავალჯერ გახმიანდა სტადიონზე. მთელი ვარჯიში ალე, ალეს აკომპანიმენტით ჩატარდა. მორაგბეებმა ჯერ ძუნძულით რამდენჯერმე შემოურბინეს სტადიონს, შემდეგ სპრინტზე გადავიდნენ, ამის მერე ერთი შეხედვით უცნაურ ვარჯიში დაიწყეს. მორაგბეები წყვილ-წყვილად ეჯაჯგურებოდნენ ერთმანეთს და მერე უცებ მოსწყდებოდნენ ხოლმე ადგილს. მწვრთნელმა იცის, რასაც აკეთებს. ასე სათამაშო სიტუაციის იმიტაცია ხდებოდა. ერთი სიტყვით, კლოდ სორელმა ორი საათის განმავლობაში არც თვითონ მოისვენა და არც სხვები დაასვენა. ვარჯიშის დამთავრების მერე დაღლილ-გასავათებული ბიჭები სულს ძლივს ითქვამდნენ. მერე გაიხუმრეს კიდეც, ასე თუ ვივარჯიშეთ, ახალ ზელანდიასაც კი მოვუგებთო.

**ზაზა ბენიძე**



ბადრი კეთილაძის ფოტო

ფრანგმა კლოდ სორელმა ქართველ შეგირდებს ბევრი ოფლი აღვრევინა

ხელბურთი

# ისრაელთანაც წააგეს

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მესამე მატჩი გამართა და ისევ წააგო. ჩვენებურებმა ამჯერად ისრაელთან წააგეს 24:30. შეხვედრა გუშინწინ თელ ავივში გაიმართა და მას მხოლოდ 300 კაცი დაესწრო. ქართველთაგან თავი ტიტე კალანდაძემ გამოიჩინა, რომელმაც რვა ბურთი გაუტანა მასპინძლებს. მესამე ჯგუფის კიდევ ერთი მატჩში შვეიცარიამ დაძაბულ ბრძოლაში 27:26 მოუგო ბელარუსს და 6 ქულით ჯგუფის ლიდერიც შეიქნა.

საქართველოს ნაკრები ებრაელებთან საპასუხო მატჩს დღეს კვლავ ისრაელში გამართავს.

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**შესარჩევი ტურნირი**

III ჯგუფი. მე-3 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 0 | 0 | 72:62 | 6 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 1 | 74:70 | 4 |
| ისრაელი | 1 | 0 | 2 | 73:72 | 2 |
| საქართველო | 0 | 0 | 3 | 60:75 | 0 |

კრივი

# შემოუშვით ტაისონი!



მაიკ ტაისონი

ასეც მოხდებოდა: ბრიტანეთის საშინაო ოფისის თავკაცმა ჯეკ სტროუმ მაიკ ტაისონს ქვეყანაში შესვლის უფლება მისცა.

გაერთიანებულ სამეფოში გიყმაყი ამერიკელი მოკრივის ყოფნის ვადა ორი კვირით განისაზღვრა. ჯულიუს ფრენსისთან ბრძოლის მეორე დღეს, 30 იანვარს ტაისონმა ქვეყანა უნდა დატოვოს.

გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე არ უშვებენ ადამიანს, რომელიც ოდესმე ერთ წელიწადს მაინც იჯდა ციხეში. მაგრამ ჯეკ სტროუმ გამონაკლისი დაუშვა და განმარტა კიდეც, რომ ასეთ შემთხვევაში არდაშვება აზირება იქნებოდა.

ტაისონის ბანაკი მიესალმა ბრიტანელთა ამ გადაწყვეტილებას.

„მადლობელი ვარ, რომ პრობლემა გადაწყდა", განაცხადა თავად ტაისონმა „მიხარია რომ ბრიტანეთში ვიბრძოლებ და ჩემს იქაურ გულშემატკივრებს გავახარებ. ფრენსისთან ბრძოლა ჩემი მორიგი ნაბიჯია საჩემპიონო შერკინებისკენ".

ფრენსის-ტაისონის ბრძოლის ბრიტმა პრომოუტერმა ფრენკ უორენმა თქვა, რომ საიმიგრაციო სამსახური დაერწმუნა მის სამოცდაშვიდ გვერდიან მოხსენებას, რომელშიაც განმარტებული იყო ტაისონის ქვეყანაში შემოშვების მართებულობა.

„ეს სასაცილოა", კმაყოფილებით აღნიშნა უორენმა, „ამ ქვეყანაში პინოჩეტიც კი შემოუშვიათ და იარაღით მოვაჭრეებიც. გარწმუნებთ, რომ ტაისონი ბრწყინვალედ წარმოაჩენს თავს. ყველა ბილეთი გაყიდულია. ყველა კმაყოფილი იქნება."

მანჩესტერისკენ კი დაიძრება სამოცდაათი სატელევიზიო ბრიგადა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

ასე რომ, ტაისონს ინგლისში შეუშვებენ. სამთავრობო გადაწყვეტილება კი იმისთვის შეიქნა საჭირო, რომ მავან საიმიგრაციო ოფიცერს დავთარი არ გადაეშალა და არ ეთქვა: „მისტერ ტაისონ, თქვენ ვერ შემოხვალთ ბრიტანეთში". ახლა აეროპორტის ლომებს მთავრობის ქაღალდი ექნებათ — შემოუშვით ტაისონი!

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

მძლეოსნობა

# ოქროს ქაცვი საკრუიზოდ გამზადებულა

ამერიკელი მსოფლიოს რეკორდსმენი და ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში მორის გრინი საოლიმპიადო „შეხურებას" 29 იანვრიდან ფეირფაქსში დაიწყებს.

ვირჯინიის შტატის ეს ქალაქი უმასპინძლებს, „ოქროს ქაცვის" იმ ტურს, რომელიც აშშ-ს მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელმა კრეიგ მასბეკომმა შარშან დააწესა, რათა ამით ქვეყანაში „სპორტის დედოფლის" პოპულარობა აემაღლებინა.

საინტერესოა მასბეკომის ამგვარი გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც აშშ ისედაც მოწინავეთა შორისაა მძლეოსნობაში.

შეჯიბრებათა სერიის ამ ტურზე მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ამერიკელი მძლეოსნები. ფეირფაქსის დახურულ სტადიონზე გამოვლენ ისეთი ცნობილი ვარსკვლავები, როგორებიც ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ჩარლზ ოსტინი და თარჯმრბენი ალენ ჯონსონი, მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში სტეისი დრაგილა და შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი 200 მეტრზე რბენაში ინგერ მილერი არიან. ეს უკანასკნელი მორის გრინთან ერთად გასული წლის აშშ-ს საუკეთესო მძლეოსნად დაასახელეს.

გარდა ამისა, ვარსკვლავთა ამ კრებულს მიამატეთ 200 მეტრზე რბენაში მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი, ტრინიდადელი ატო ბოლდონი და მსოფლიოს პატარ ჩემპიონატსაც მივიღებთ.

ფეირფაქსის ტურის დასრულების შემდეგ ესტაფეტას გააგრძელებს მილროუზის თამაშები, რომელიც 4 თებერვალს ნიუ-იორკში გაიმართება, მას 12 თებერვალს მოყვება ფაიეტვილის ტურნირი, ხოლო 19-ში პოკატელპო უმასპინძლებს მძლეოსნებს და მათი „კრუიზი" ატლანტაში 3-4 მარტს აშშ-ს ზამთრის ჩემპიონატით დასრულდება.

ტურის საპრიზო ფონდი, რომელიც 750 ათას დოლარია, გადაეცემა პროგრამის სხვადასხვა სახეობათა ექვს უძლიერეს სპორტსმენს.

**გიგა გურასპაშვილი**


ვყიდი
„ფიშერის" უხმარ თხილამურებს
და „ოუქენის" სათვალეს
☎ 69 19 39


ჰოკეი



REUTERS

ბუფა ელთა მეკარე მარტინ ბირონი ბოსტონელ სტივ ჰაინცსაც (23) მარჯვედ დაუხვდა

# მკვდარი მკვდარს წაეკიდა

13 იანვარი

**ბოსტონი — ბუფალო 0:0**

**დეტროიტი — ჩიკაგო 3:5**

1:2 1:0 1:3

0:1 სალივონი 0'55 (7); 0:2 მაკამონდი 4'25 (9); 1:2 ზონუნი 16'49 (10); 2:2 აიზერმანი 23'35 (20); 2:3 ამონტე 45'34 (21); 2:4 ნიულინდერი 51'02 (11); 2:5 დანზე 53'13 (16); 3:5 გოლუბოვსკი 59'26 (11)

**ტამპა — აილენდერსი 4:2**

2:0 0:0 2:2

1:0 პეტროვიცკი 8'44 (6); 2:0 ლეკავალიე 13'29 (14); 2:1 ჩერკავსკი 45'23 (16); 3:1 სილინჯერი 50'47 (13); 3:2 იუნსონი 52'35 (7); 4:2 ტაკერი 59'02 (10)

**ნეშვილი — ვანკუვერი 3:4**

2:2 1:0 0:1 0:1

1:0 ჩელბერგი 1'34 (13); 2:0 ბორდელო 5'25 (3); 2:1 კლეტი 15'09 (1); 2:2 შეფერი 19'10 (11); 3:2 იაჩმენევი 34'55 (4); 3:3 ბრაშერი 45'42 (7); 3:4 მესიე 43'29 (6)

**კოლორადო — პიტსბურგი 4:3**

1:1 2:0 1:2

1:0 რეიდი 0'55 (5); 1:1 ტიტოვი 11'03 (12); 2:1 ოზოლინში 35'02 (12); 3:1 ჰეიდუკი 36'16 (21); 3:2 ბარნაბი 44'42 (5); 3:3 რაიტი 45'47 (4); 4:3 როლსტონი 54'28 (10)

**ლოს ანჯელესი — სენტ ლუისი 2:3**

1:2 1:0 0:1

1:0 სმოლინსკი 3'36 (11); 1:1 მაიერსი 17'23 (3); 1:2 ბარტესკო 18'49 (10); 2:2 სმოლინსკი 39'31 (12); 2:3 იანგი 46'35 (14)

იყო დრო, როცა ნჰლ-ის ხსენებისას ოკეანისგაღმელი გლადიატორების ბატალიები დაგვიდგებოდა ხოლმე თვალწინ, მაგრამ ბოლო წლებში ლიგა მკაცრად იბრძვის უხეშობის წინააღმდეგ. ახლა წინა პლანზე ჩხუბი კი არა, წმინდა სათამაშო სიტუაციებია. „პოლიციელებს" საქმე მოაკლდათ. ცხადია, ზოგიერთ მათგანს ეს არ მოსწონს, მით უმეტეს მათ, ვინც სუსტ გუნდებში თამაშობს. მაგალითად, ტამპას და აილენდერსს რაიმეთი ხომ უნდა გაეხალისებინათ გულშემატკივარი. მაჩანჩალებმაც არ დააყოვნეს, გვარიანი ცემა-ტყეპა ატეხეს და ეს თამაში დღის ცენტრალურ მოვლენად აქციეს. სატურნირო ცხრილში ბოლოდან პირველ და მესამე ადგილზე მყოფმა გუნდებმა იმდენი მოახერხეს, რომ საბოლოო ჯამში 100 საჯარიმო წუთი მიითვალეს მაშინ, როცა მთელი სეზონის მსვლელობისას მხოლოდ 58 ქულა მოუგროვებიათ.

აღსანიშნავია, რომ ამ ვნებათაღელვის ინიციატორი პირველ პერიოდში ტამპელთა მეკარე დენ კლუტიე გახდა. იგი უსაქმურობისგან ისე დაიღალა (მოვლენები ძირითადად სტუმართა ზონაში ვითარდებოდა), რამდენჯერმე სრულიად უმიზეზოდ ეუხეშა მეტოქეთა ფორვარდებს. ბოლოს ნიუიორკელებმა ვეღარ მოითმინეს და მასიური შეტაკება წამოიწყეს. ჩხუბი და დაძაბულობა მთელი თამაშის განმავლობაში გაგრძელდა. განსაკუთრებით აილენდერსელმა ერიკ კეირნსმა და ტამპელმა რეიდ სიმპსონმა მოიწადინეს, ერთმანეთს ორჯერ შეეჯახნენ. საბოლოოდ კეირნსმა მეტოქეს ყბა გაუტეხა და, როგორც მატჩის შემდეგ გაირკვა, სიმპსონი მინიმუმ ექვს კვირას დაისვენებს. მატჩი ტამპამ მოიგო, რომელმაც 12-მატჩიანი წარუმატებელი სერია შეწყვიტა.

ბოსტონისა და ბუფალოს უგოლო თამაშიც კი უხვმოვლენიანი გამოდგა და რომ არა მეკარეები, ტაბლოზე ორი ნული ნამდვილად არ დარჩებოდა. ძირითად დროში ბუფალოელმა მარტინ ბირონმა იყოჩაღა. მან 39 დარტყმა მოიგერია, ბოლო წამებზე კი ენსონ კარტერის დარტყმის შემდეგ სასწაულებრივ იხსნა კარი. ეს ბირონის მესამე შათაუტია, თანაც ჩემპიონატში დაფიქსირებული სამი უგოლო მატჩიდან ორში სწორედ ის იდგა კარში. ოვერტაიმში კი მისმა კოლეგამ, ბაირონ დაფომ 5-ჯერ იხსნა თავისიანები და წლეულს მეოთხე შათაუტი შეასრულა.

კვლავ მოულოდნელი მარცხი განიცადა დეტროიტმა. საერთოდ ამ სეზონში „წითელფრთიანები" ყველაზე შინაარსიან ჰოკეის აჩვენებენ, მაგრამ რატომღაც აუტსაიდერებთან მატჩებში სრულ უპირატესობას ვერ იყენებენ და ხშირად მარცხდებიან. ამჯერადაც ასე იყო. მესამე პერიოდში ჩიკაგომ სამი კონტრშეტევა გოლებად აქცია და ზედიზედ მესამედ მოიგო. დეტროიტმა კი ზედიზედ მეორედ წააგო და ამით მისმა მდევარმა სენტ ლუისმა ისარგებლა. ლიდერის, პიერ ტარჯონის (გრიპით არის ავად) გარეშე მოთამაშე „ბლუზმენები" ამჯერად ისეთი მრისხანენი არ იყვნენ, სულ 16-ჯერ დაარტყეს, მაგრამ ლოს ანჯელესს მაინც მოუგეს და 60 ქულით დაწინაურდნენ ჩემპიონატში.

5 ნოემბრის შემდეგ პირველად გაიტანა მარკ მესიემ, ვანკუვერის კაპიტანმა, რომელიც ტრავმებისა და სხვა მიზეზების გამო თავის ყველაზე ცუდ სეზონს ატარებს ლიგაში, თუმცა „ყველა ვარსკვლავის" თამაშზე ჩრდილო ამერიკის გუნდში მოხვედრამ ისე გაამხნევა, რომ ვეტერანი ჩიტივით დაფრინავდა და საბოლოოდ ოვერტაიმში მოაგებინა თავისიანებს.

კოლორადოს და პიტსბურგის შეხვედრა, ცხადია, გუნდების ლიდერთა პაექრობით აღინიშნა. მართალია, ლეგენდარული იარომირ იაგრი ინდივიდუალურად ლიგაში საუკეთესოა, მაგრამ დუეტებს შორის პეტერ ფორსბერგსა (3 პასი) და ჯო საკიკს (4 პასი) ბადალი არ მოეძებნება. ათამაშებულმა კოლორადოელმა ტანდემმა პარტნიორებს გამორჩევის ყველანაირი საშუალება შეუქმნა და მათაც შრომა დაუფასეს ლიდერებს. იაგრიც (1 პასი), როგორც ყოველთვის, კვლავ საუკეთესო იყო, მაგრამ მისი რამდენიმე საუცხოო პასი პარტნიორებმა გააცუდეს.

**ALL STAR GAME 2000**

# ჩრდილო ამერიკა: ძველი სახელები

მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობის დასახელების შემდეგ, მეორე დღესვე, თავიანთი „ვარსკვლავური" სია ჩრდილოამერიკელებმაც გამოაქვეყნეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ოკეანისგაღმელთა შემადგენლობაში მეტწილად გამოცდილმა და ცნობილმა ხალხმა მოიყარა თავი, სიას კი უბერებელი ბოსტონელი მცველი რეი ბურკი (კანადა) უძღვება. უკვე ლეგენდადაქცეული ჰოკეისტისთვის ეს მე-19 „ოლ სტარია" (აქედან 18 ზედიზედ). რეკორდი, მოგეხსენებათ, გორდი ჰოუს (23) ეკუთვნის. მეთხუთმეტედ მიიღებს მონაწილეობას ამ შოუში ვანკუვერის კაპიტანი მარკ მესიე (კანადა), რომელიც წლეულს ნაკლებად გამოირჩევა და მისი დასახელება ძველი დამსახურების აღიარება უფრო გახლავთ.

ყველაზე დიდი რაოდენობით გუნდში ფილადელფიაა წარდგენილი. მცველ ერიკ დეჟარდენს (კანადა) ფორვარდების ჩინებული სამეული, ჯონ ლეკლერი (აშშ), ერიკ ლინდროსი და მარკ რეკი (ორივე კანადა) დაემატა. სამივე, მოგეხსენებათ, ჩემპიონატის ბომბარდირთა პირველ ათეულშია.

სამ-სამი ჰოკეისტი ერთბაშად სამ გუნდს ეყოლება. სენტ ლუისის ღირსებას საუკეთესო ექვსეულში მოხვედრილ კრის პრონგერთან ერთად მცველი ელ მაკინისი და ფორვარდი პიერ ტარჯონიც დაიცავენ. ნიუ ჯერსის მცველი სკოტ სტივენსი, მეკარე მარტინ ბროდო (ორივე კანადა) და სეზონის მთავარი აღმოჩენა ფორვარდი სკოტ გომესი (აშშ) წარადგენს. სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრილ ბრენდან შენაჰანსა და სტივ აიზერმანს (ორივე კანადა) კიდევ ერთი დეტროიტელი, მცველი კრის ჩელიოსი (აშშ) დაემატა.

*ჩრდილო ამერიკის გუნდში ასევე მოხვდნენ: მეკარე მაიკ რიხტერი (რეინჯერსი, აშშ); მცველი ფილ ჰაუსლი (კალგარი, აშშ); ფორვარდები: ტონი ამონტე (ჩიკაგო, აშშ), მაიკ მოდანო (დალასი, აშშ), ოუენ ნოლანი (სან ხოსე, კანადა), ჯერემი რენიკი (ფინიქსი, აშშ) და ჯო საკიკი (კოლორადო, კანადა).*

*შეგახსენებთ, რომ მანამდე ზემოდასახელებული სამი მოთამაშის გარდა ეს უფლება კიდევ სამმა ჩრდილო ამერიკის საუკეთესო ექვსეულში მოხვედრილმა მოთამაშემ მიიღო — მეკარე კერტის ჯოზეფმა (ტორონტო, კანადა), მცველმა რობ ბლეიკმა (ლოს ანჯელესი, კანადა) და ფორვარდმა პოლ კარიამ (ანაჰაიმი, კანადა).*

ჩრდილო ამერიკის გუნდს ტორონტოს თავკაცი პეტ ქუინი გაუძღვება, ხოლო მსოფლიოსას დეტროიტელი სკოტ ბოუმენი. აქვე გაუწყებთ, რომ 2001 წელს „ოლ სტარი" დენვერში გაიმართება.

**სამველ ლარიბიანი**

| საფრანგეთი | იტალია |
|---|---|
| II დივიზიონი | სერია B |
| XXIII ტური | XIX ტური |
| გენგამი 5:0 ნიცა | ჯენოა 0:1 ნაპოლი |

| ინგლისი | მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი |
|---|---|
| II დივიზიონი | მატჩი III ადგილისთვის |
| XXVII ტური | რეალი 1:1 (3:4 პენ.) ნეკაქსა |
| სტოკი 2:1 პრესტონი | 1:0 რაული (14), 1:1 დელგადო (57) |

# გაწმინდე

სიდნეიში მიმდინარე საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირის ქალთა ფინალში, ფრანგმა ამელი მორესმომ შეეიცარიელ მარტინა ჰინგისს სძლია — 7-5, 6-3. ხალხი ეგებ საპირისპიროსაც ელოდა, მაგრამ ზოგჯერ მხარბეჭისა და მუშტის ძალა აღმართსა ხნავს. ეს ნახევრადჩადრიანი ქალიშვილი კი ჰინგისის მხარეს ყოფილა და ორაზროვანი პლაკატიც გამოუფენია, რომლის შინაარსიც ასე მოითარგმნება: „მარტინა, გაწმინდე კორტი ემაგნაირებისგანო". ჩვენ ვფიქრობთ, ამ გულშემატკივარს არ მოსწონს ის ამბავი, რომ ამელი მორესო ლესბოსელია და ერთი კაი ცოლი, თუ ქმარიც ჰყავს იმ თავის საფრანგეთში.




# წითელი კაცები თეთრ თოვლზე

იტალიურ სამთო კურორტ მადონა დი კამპილიოში „ფერარის" საფორმულო გუნდის ლაღობა გრძელდება. ლამის მთელი მსოფლიოს ფოტორეპორტიორები დაბანაკებულან კამპილიოს თოვლიან ბორცვებზე და ფერარელთა თერთ თავგადასავლებს აღბეჭდავენ. მთავარი გმირი მაინც ლიდერი მიხაელ შუმახერია, ვისაც ფოტოაპარატიანი ადამიანები ფეხდაფეხ სდევენ და ხან ტოლ კორინთან ერთად გამოიჭერენ, ხან თანაგუნდელ ლუკა ბადოერთან ერთად, ხანაც მარხილის ძაღლებთან. „ფერარის ახალწვეული ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო თოვლს ევროპის სამთო კურორტებზე თუ გადააწყდება ხოლმე, თუმცა მსოფლიოს ყველაზე ვაჟკაც ძაღლებთან მეგობრობას არ გაურბის. ყოველივე ეს იმგვარ სიმსუბუქეს შეიცავს, რომ კაცს არც კი გაახსენდება, რომ ამ მხიარულ ჯეელებს წინ მომქანცველი და დაუნდობელი სეზონი უდევთ. ჩვენი გაზეთი შავ-თეთრია, მაგრამ მაინც წარმოიდგინეთ, „ფერარის" წითელ სამოსში გამოწყობილი თავზეხელაღებული ბიჭები თეთრ თოვლზე. ულამაზო არ უნდა იყოს.









# შეჯიბრი იწყება

დღეს ნორვეგიის ქალაქ ჰამარში ციგურაობის ევროპული ჩემპიონატი იწყება. ციგურაობის ოლიმპიურ დარბაზში ყინულს ეჩვევა ჰოლანდიელი მოციგურავე სიკო იანმაატი, რომელსაც უკან მწვრთნელი გერად კემკერსი ადევნებია.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაб ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli